N 2 2024

მასწავლებელი

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს: „დილემებით სწავლება“

მასწავლებელი

№2(99), 2024

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მანანა ბოჭორიშვილი,
თინათინ ზარდიაშვილი,
მაია ფირჩხაძე, ქრისტინა სურგულაძე,
თამთა კობახიძე,
გიტა თვალაბეიშვილი,
ლელა კოტორაშვილი,
ხათუნა ციხელაშვილი,
მეგი კავთუაშვილი, ნინო ლომიძე,
ქეთევან ოსიაშვილი,
თემურ სუყაშვილი, ქეთევან კობალაძე,
მარიამ ჯამდელიანი,
ნათია ნაფეტვარიძე, ნასტასია არაბული,
შორენა ტყეშელაშვილი,
ელიზბარ ელიზბარაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

www.tpdc.ge

ნატო ინგოროყვა

მასწავლებლები, სწავლების მეთოდებზე საუბრისას, ხშირად ვამბობთ, რომ შემთხვევის ანალიზით სწავლება კარგი მეთოდია, შემთხვევის განხილვა და ანალიზი ეფექტურია დილემების დანახვის, გააზრებისა და გამოსავლის პოვნისთვის.

მაინც რა ახასიათებს შემთხვევის ანალიზით სწავლებას?

ეს არის სწავლების აქტიური ფორმა, რომელიც ფოკუსირებულია შემთხვევაზე და გულისხმობს სწავლას კეთებით. შემთხვევები არის რეალური ან გამოგონილი ამბავი, რომელიც მოიცავს „საგანმანათლებლო გზავნილს“, ნარატივს, მოვლენებს, პრობლემებს, დილემებს, თეორიულ ან კონცეპტუალურ საკითხს, რომელიც საჭიროებს ანალიზს და/ან გადაწყვეტილების მიღებას.

შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება ერთგვარ სიმულაციას უკეთებს რეალურ სამყაროში არსებულ სიტუაციებს და შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად გაუმკლავდნენ რთულ პრობლემებს.

როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, შემთხვევის ანალიზით სწავლება ხელს უწყობს შესასწავლი საკითხის უფრო ღრმა გაგებას, რაც მდგომარეობს საკითხის კრიტიკულ გააზრებაში და საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზებაში. მოსწავლეები სვამენ კითხვებს მოცემული შემთხვევის გარშემო, მუშაობენ პრობლემის გადაჭრაზე, ურთიერთობენ თანატოლებთან, „ხსნიან“ შემთხვევას, აანალიზებენ, აჯამებენ, სწავლობენ არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში მუშაობას, ეკითხებიან საკუთარ თავს: **„რას გავაკეთებდი ამ კონკრეტულ სიტუაციაში?** ამ მეთოდით მოსწავლე აკავშირებს თეორიას პრაქტიკასთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში საკითხისადმი ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და კომუნიკაციის, აქტიური მოსმენის, კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და შემეცნებითი უნარების განვითარებას.

რატომ გავიხსენე ეს მეთოდი რედაქტორის წერილის წერისას. ცხადია, შემთხვევით არა. წინაპირობა ჩვენი რეალობა და ყოველდღიურობაა. როცა ჩვენი სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებსაც ვასწავლეთ ანალიზი, სწორი მიმართულებით მიდიან და ეს მიმართულება მხოლოდ ერთადერთ ადგილს მონიშნავს რუკაზე და ეს ადგილი მათი სამშობლო საქართველოა.

საშინელი წყევლაა ბებიაჩემი მეტყოდა ბავშვობაში, – „ღმერთმა შენი არ გაცოდინა და სხვისი არ გასწავლაო“ – არადა, ეს ჩვენი ისტორიაა. რაც თავი მახსოვს, ამ ისტორიას თავიდან ვწერთ და ერთხელაც ვერ დავისწავლეთ გაკვეთილი – ისევ განმეორებით, ისევ შეცდომების დაშვებით, ისევ ანალიზისა და კრიტიკულად გააზრების გარეშე.

არადა, სამშობლო ერთადერთია.

მოსაზრება

მანანა ბოჭორიშვილი

4 | დიფერენცირებული სწავლება – თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა

დიფერენცირებული სწავლება სწორედ იმიტომ იქცა ახალ საგანმანათლებლო პარადიგმად, რომ ის გვთავაზობს, გადავხედოთ კლასის სტრუქტურას, კლასის მართვას, მასალის შინაარსს და კლასის ყველა წევრი ჩავრთოთ სასწავლო პროცესში ისე, რომ ყველამ ნახოს სარგებელი.

თინათინ ზარდიაშვილი

8 | რემედიაცია სასწავლო პროცესში

მხარდამჭერი გარემოს შესაქმნელად მასწავლებელმა უნდა მისცეს დადებითი უკუკავშირი, უზრუნველყოს კლასში უსაფრთხოება, გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები; მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მოსწავლესთან და მშობელთან.

თემურ სუყაშვილი

48 | ციფრული ჩვევები და მათი შემოწმება

ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ მათ აქვთ ძალა, შესაძლებლობა და ნებისყოფა, წინ აღუდგნენ ისეთ ციფრულ ჩვევებს, რომლებიც არ მოსწონთ, ან დავანახოთ სასურველი ციფრული ჩვევების განმტკიცების გზები.

გამოცდილება

მაია ფირჩხაძე

11 | ადაპტირებული დავალებები მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზაციისთვის

რემედიაცია მოსწავლის ცოდნაში, გაგებასა თუ უნარებში არსებული ხარვეზის ან ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოსწორების პროცესია, რომლის დროს სწავლაში ჩამორჩენის აღმოფხვრისა და პრობლემის დაძლევისთვის მასწავლებელი მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციებით, ტექნოლოგიებითა და რესურსებით ეხმარება.

ქრისტინა სურგულაძე

16 | რატომ ხატავს მოსწავლე გაკვეთილზე

მოსწავლეს გაკვეთილზე ხატვის სურვილი ბევრი მიზეზის გამო შეიძლება გაუჩნდეს. შესაძლოა, ეს მოწყენილობით დაემართოს, ან თავის გამოფხიზლებას ცდილობდეს. ეს ქცევა სტრესთან გამკლავების მეთოდადაც შეიძლება აღვიქვათ. თუკი მოსწავლე ხატავს, ის რაღაცისგან თავისუფლდება და თუკი რაღაცისგან თავისუფლდება, ეს რაღაც მას აღარ აწუხებს, შესაბამისად, მეტად არის მზად, რომ გვისმინოს.

გიტა თვალაბეიშვილი

23 | პიროვნული განვითარება და მე-კონცეფცია სადამრიგებლო საათისთვის

იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ თავზე საუბარი, აუცილებელია, მასწავლებელმა ხაზი გაუსვას თითოეულის ღირებულებებსა და უნიკალურობას. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს მოსწავლეებში დადებითი მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე.

ლელა კოტორაშვილი

22 | საკლასო პროექტი – მე მიყვარს ჩემი მასწავლებელი

მასწავლებლებისადმი მშობლის მიერ გამოხატული პატივისცემა ბავშვის განწყობას აუცილებლად ცვლის, რაც საგაკვეთილო პროცესში მის ქცევაზეც აირეკლება. თუკი ბავშვს მშობლებისგან მუდამ ესმის მასწავლებლის კრიტიკა, აგრესიული ტონი საუბრისას, აუცილებლად მოექცევა გავლენის ქვეშ და სკოლაშიც გაიყოლებს უარყოფით განწყობას. მასწავლებლის როლიც გაუფასურდება. სწორედ ამიტომ შევეცადოთ, პატივისცემით ვისაუბროთ ჩვენი შვილების მასწავლებლების შესახებ.

ხათუნა ციხელაშვილი

36 | სახალისო აქტივობები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით

ხელოვნური ინტელექტი ახალ შესაძლებლობებს აძლევს პედაგოგს და მოსწავლეს. ამ მოცემულობის მიღება გაგვიადვილებს თანამშრომლობას იმასთან, რაც გარდაუვალია და საჭიროებს სწორად დანერგვას სასწავლო პროცესში, რათა შემდგომი ნაბიჯები ეფექტური და ქმედითი იყოს.

სარჩევი



საერთაშორისო გამოცდილება

თამთა კობახიძე

18 ესტონეთის განათლების სისტემის ზოგადი მიმოხილვა

ყველა ესტონელი ექსპერტი, პროფესორი, სკოლის დირექტორი, მასწავლებელი – რიგითი ჯარისკაცი თუ გენერალი აღნიშნავს უტყუარი მტკიცებულებების – მონაცემებისა და მათი ანალიზის მნიშვნელობას. სკოლის დონიდან განათლების პოლიტიკის დაგეგმვამდე – ყველა საფეხურზე მტკიცებულებებსა და კვლევების შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება მიიჩნევა პრიორიტეტად.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

43 კონფლიქტები მშობლებსა და შვილებს შორის – გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები

მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტმა შეიძლება ნებისმიერ ასაკობრივ საფეხურზე იჩინოს თავი, დაწყებული ადრეული ასაკიდან. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგანაც პატარები განვითარების პროცესში სწავლობენ სხვა ადამიანებთან ურთიერთობას, ემოციების მართვას, მოთხოვნილებებისა და სურვილების გამოხატვას.

ქეთევან კობალაძე

51 სწავლება და ვიდეოთამაშები

ჩვენ არ შეგვიძლია დროის უკუღმა შემობრუნება და არც არის ამის საჭიროება. სამაგიეროდ, უფროსებს შეუძლიათ დაეხმარონ იმ ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც არ აქვთ გამოცდილება, რომ დამოუკიდებლად გაერკვნენ ინტერნეტსივრცის შესაძლო ნეგატიურ შედეგებში.

მშობელი

მეგი კავთუაშვილი

39 პასიური მშობლების გასააქტიურებლად

პედაგოგები და სკოლის დირექტორები ხშირად ამბობენ, რომ აქტიური, მზრუნველი, გაბედული, მიზანმიმართული და ინტერესიანი მშობლების გვერდით ისეთი ადამიანებიც არიან, ვინც შვილის სასკოლო ცხოვრებაში არ ერთვებიან. მეტიც, მშობლების ყველაზე დიდი ნაწილი პასიურია, დრო არ აქვთ და/ან ინდიფერენტულები არიან სასკოლო ცხოვრების მიმართ.

ნინო ლომიძე

42 კითხვა – უწინ და ახლა, ჩუმად და ხმამაღლა

მხატვრულ გამონაგონში, მხატვრულ სამყაროში გადაბარგება, იქ ყოფნის განცდა, სხვა როლის მორგება და სხვად გარდასახვის მიმზიდველი მდგომარეობა საინტერესოა.

მარიამ ჯამდელიანი

54 მასწავლებლის დღიური

– და მარო რაზე ოცნებობდა, მას?
– თავისუფლებაზე, სიყვარულზე, ევროპაში მოგზაურობაზე, საკუთარ შემოსავალსა და დამოუკიდებელ ცხოვრებაზე.

მანანა ბოჭორიშვილი

დიფერენცირებული სწავლება – თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა

დიფერენცირებული სწავლება სწორედ იმიტომ იქცა ახალ საგანმანათლებლო პარადიგმად, რომ ის გვთავაზობს, გადავხედოთ კლასის სტრუქტურას, კლასის მართვას, მასალის შინაარსს და კლასის ყველა წევრი ჩავრთოთ სასწავლო პროცესში ისე, რომ ყველამ ნახოს სარგებელი.

რატომ იქცა დიფერენცირებული სწავლება, ახალ საგანმანათლებლო პარადიგმად?

დიფერენცირებული სწავლება სწორედ იმიტომ იქცა ახალ საგანმანათლებლო პარადიგმად, რომ ის გვთავაზობს, გადავხედოთ კლასის სტრუქტურას, კლასის მართვას, მასალის შინაარსს და კლასის ყველა წევრი ჩავრთოთ სასწავლო პროცესში ისე, რომ ყველამ ნახოს სარგებელი.

რამ განაპირობა დიფერენცირებული სწავლების მოდელის შექმნა?

რამდენიმე ათეული წლის წინ კლასში მოსწავლეთა მრავალფეროვნებამ, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ კლასებში თავი მოიყარეს სხვადასხვა-ენოვანმა, სხვადასხვა კულტურული წარმოშობის, სხვადასხვა ცოდნის დონის მქონე მოსწავლეებმა, პედაგოგები აიძულა, გადაეხედათ თავიანთი პედაგოგიური პრაქტიკისათვის და სწავლების მეთოდები მოერგოთ კლასის საჭიროებებისთვის. დიფერენცირებული სწავლების მოდელი შეიქმნა, როგორც პასუხი ჰეტეროგენულ კლასებში სწავლა-სწავლების ეფექტიანად წარმართვაზე.

რას ეფუძნება ჰეტეროგენულ კლასებში დიფერენცირებული სწავლების კონცეპტუალური ჩარჩო?

დიფერენცირებული სწავლება აღიარებულია, როგორც დამაჯერებელი და ეფექტიანი საშუალება იმისათვის, რომ მრავალფეროვან კლასში შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სწავლების დიფერენცირებულ მოდელს მეცნიერულად დასაბუთებული უპირატესობა აქვს ჰეტეროგენულ კლასებში სწავლებისას. ჰეტეროგენულ კლასებში დიფერენცირებული სწავლების კონცეპტუალურ ჩარჩოდ მკვლევრები აღიარებენ **ვიგოტსკის** (1896-1934) სოციოკულტურულ თეორიას.

სოციოკულტურულმა თეორიამ, რომელიც ეყრდნობა ვიგოტსკის (1962) და მოგვიანებით ვერტშის (1991), შარპის, გალიმორეს ნაშრომებს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სწავლებაზე, სკოლასა და განათლებაზე (Tharp, R. G., and Gallimore, R., 1988). ეს თეორია ეფუძნება წინაპირობას, რომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ მოსწავლის სოციოკულტურული კონტექსტი, რადგან სოციალური ურთიერთქმედება ფუნდამენტურია შემეცნების განვითარებისთვის. უფრო მეტიც, ვიგოტსკის თეორია განათლებას განიხილავს როგორც მიმდინარე პროცესს და არა პროდუქტს.

რა მოიაზრება ვიგოტსკის თეორიის ერთ-ერთ ცნებაში, რას გულისხმობს პროქსიმალური განვითარების ზონა?

ვიგოტსკის თეორიის ერთ-ერთი ცნება – **პროქსიმალური განვითარების ზონა** – ამ თეორიის ცენტრალური ცნებაა და ეხება განვითარების დონეს, რომელიც მიღწეულია მაშინ, როდესაც მოსწავლეები ებმებიან სოციალურ ინტერაქციაში.

პროქსიმალური განვითარების ზონას ვიგოტსკი განმარტავს როგორც მანძილს განვითარების რეალურ და პოტენციურ დონეებს შორის. აქედან გამომდინარე, პროქსიმალური განვითარების ზონა აკავშირებს ცნობილს უცნობთან. როგორც კერსლი (1996) აღნიშნავს, განვითარებისთვის

მოსწავლეებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ მასწავლებელთან ან უნარიან თანატოლებთან (Kearsley, 1996). შესაბამისად, მოსწავლემ უკვე იცის ის, რასაც დაეუფლა ამ ინტერაქციით. მასწავლებელი არის ერთგვარი შუამავალი აქტივობებზე მუშაობის დროს. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მიაღწიოს პროქსიმალური განვითარების ზონას.

რას ეყრდნობა დიფერენცირებული სწავლების თეორიული ჩარჩო?

ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების თეორია გამოიყენებოდა როგორც დიფერენცირებული

როგორ უნდა იქცეს დიფერენცირებული სწავლება პედაგოგიურ ინსტრუმენტად სასწავლო პროცესის გასაადვილებლად?

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის შემუშავებული ინსტრუქციები, რომელსაც შეუძლია მოსწავლე გადაიყვანოს ეკვილიბრიუმის მდგომარეობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ინსტრუქცია-ხარაჩოები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება, მიაღწიონ პროქსიმალურ ზონას, აქედან გამომდინარე, დიფერენცირებული სწავლება არის პედაგოგიური ინსტრუმენტი სასწავლო პროცესის გასაადვილებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტრუქცია-ხარაჩოების



სწავლების თეორიული ჩარჩო. ამან სერიოზული გავლენა მოახდინა სწავლებასა და სწავლაზე (Flem, A., Moen, T., and Gudmundsdottir, S., 2000). სოციალური ინტერაქციის სფეროები, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კომუნიკაცია, ფიზიკური სივრცის მოწყობა, აქტივობის ინსტრუქცია, ხარაჩოები, მოსწავლის უნარი და სასწავლო შინაარსი სწავლების ელემენტებია.

გამოყენება. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, როგორ უპასუხონ თანამედროვე საკლასო ოთახების მზარდ მრავალფეროვნებას.

რა გავლენა აქვს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას მოსწავლეთა მოტივაციაზე?

მოსწავლეთა განსხვავებებისა და ინტერესების გათვალისწინება, როგორც ჩანს, აძლიერებს

დიფერენცირებული სწავლება აღიარებულია როგორც დამაჯერებელი და ეფექტიანი საშუალება იმისათვის, რომ მრავალფეროვან კლასში შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სწავლების დიფერენცირებულ მოდელს მეცნიერულად დასაბუთებული უპირატესობა აქვს ჰეტეროგენულ კლასებში სწავლებისას.

მათ მოტივაციას(Tomlinson C. A., 2004b). ამ ფუნდამენტური განსხვავებების იგნორირებამ კი შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი მოსწავლის ჩამორჩენა, დემოტივაცია და წარუმატებლობა (Tomlinson C. A., 1998). მოსწავლეებმა, რომელთაც შეუძლიათ იყვნენ წარმატებულები და მოტივირებულები, შეიძლება დაკარგონ მოტივაცია, თუ მასწავლებელი ორიენტირებულია პროგრამის გავლაზე. მოსწავლე წარმატებული და მოტივირებულია, როდესაც მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

ტომლინსონის განმარტებით დიფერენცირებული სწავლება რა მთავარ ფილოსოფიაზეა დაფუძნებული?

ტომლინსონი (2005) დიფერენცირებულ სწავლებას განმარტავს როგორც ფილოსოფიას, რომლის თანახმადაც, სწავლება დაფუძნებულია იმ წინაპირობაზე, რომ მოსწავლეები საუკეთესოდ სწავლობენ მაშინ, როცა მასწავლებლებმა კარგად იციან განსხვავებები მათი მზაობის დონეებს შორის, ასევე მათ ინტერესებს შორის. დიფერენცირებული სწავლება არის ყველა მოსწავლის სწავლის უნარის სრულად გამოყენება (Tomlinson C. A., 2000a).

ტომლინსონი ამტკიცებს, რომ დიფერენციაცია არ არის მხოლოდ სასწავლო სტრატეგია და არც სწავლების რეცეპტი, არამედ ეს არის სწავლებისა და სწავლის შესახებ აზროვნების ინოვაციური გზა. დიფერენციაციის თეორია ეფუძნება ასეთ დასკვნას – მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ყველა მოსწავლე ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდება (Tomlinson C. A., 2000).

რა ტიპის სტრატეგიებით სწავლებას უწევს რეკომენდაციას დიფერენცირებული სწავლება?

ამ დასკვნიდან გამომდინარე თეორია რეკომენდაციას უწევს სტრატეგიებს, რომლებიც მასწავლებლისთვის არის ერთგვარი გზამკვლევი, რათა მან შეძლოს, სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნას ეფექტიანი სასწავლო გარემო, რისთვისაც მასწავლებელი ინტენსიურად იყენებს სხვადასხვა დავალებებს, განსხვავებულ სასწავლო მასალებს და მოქნილ, ადაპტირებულ სასწავლო პრაქტიკას.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას მასწავლებელი მიმართავს კლასის მართვის და სწავლა-სწავლების ფასილიტაციის იმ პრინციპებს, რომელთა ეფექტიანობა თითო-

ეული მოსწავლის საჭიროებებთან მიმართებაში ეჭვს არ იწვევს. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ პერმანენტულად იცვლება გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების შინაარსი, აქტივობის მიმდინარეობის პროცესი, აქტივობისას შექმნილი პროდუქტის ტიპი – მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით.

რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკაში გამოყენებისას?

დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას –

1. მასწავლებელს დაკონკრეტებული აქვს, რა არის გაკვეთილის სასწავლო მიზანი;
2. მასწავლებელმა იცის ჰეტეროგენული კლასის მონაცემები და მოსწავლეების შესაძლებლობებს შორის არსებულ განსხვავებებს ეყრდნობა;
3. სწავლების კომპონენტი პირდაპირ კავშირშია შეფასების კომპონენტთან;
4. მასწავლებელი დაკვირვების შედეგების საფუძველზე არეგულირებს სასწავლო შინაარსს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, მიღებულ შედეგებს;

5. სწავლებას აქვს ორმაგი სასწავლო მიზანი: პირველი მდგომარეობს მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის ზრდაში, მეორე კი წარმატების მაქსიმალურ ზრდაში;
6. მასწავლებელმა დიფერენცირებული სწავლებისას: დაგეგმვის, სწავლების და შეფასების ეტაპებზე უნდა გამოიყენოს მოქნილი მიდგომები(Tomlinson C. A., 2000).

დიფერენცირებული სწავლებისას რისი მოდიფიკაცია უნდა მოახდინოს მასწავლებელმა?

იმისათვის, რომ მასწავლებელმა საკლასო ოთახში პრაქტიკულად გამოიყენოს დიფერენციაციის თეორია, მან უნდა მოახდინოს სწავლის კომპონენტების მოდიფიკაცია. მოდიფიკაცია უნდა შეეხოს:

1. იმ სასწავლო გარემოს, სადაც მიმდინარეობს სწავლა-სწავლება;
2. იმ სასწავლო შინაარსს, რაც უნდა ასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს;
3. იმ სასწავლო რესურსებს, რომლითაც უნდა ასწავლოს მასწავლებელმა სამიზნე აუდიტორიას.

დიფერენცირებული სწავლებისას რა ასპექტები განაპირობებს მოდიფიკაციის აუცილებლობას?

მოდიფიკაციის აუცილებლობას განაპირობებს სამი ძირითადი ასპექტი:

1. მოსწავლეთა სწავლის განსხვავებული შესაძლებლობები;
2. მოსწავლეთა განსხვავებები სწავლის მოტივაციაში;
3. სწავლის ეფექტიანობა.

ეს ასპექტები პირდაპირ კავშირშია: მოსწავლეთა განსხვავებულ მზაობასთან, მოსწავლეთა განსხვავებულ ინტერესებთან და მოსწავლეთა განსხვავებულ სწავლის სტილთან.

ბიბლიოგრაფია

1. Flem, A., Moen, T., and Gudmundsdottir, S. (2000). ECER Conference. *Towards inclusive schools: a study of how a teacher facilitated differentiated instruction.* Edinburgh.
2. Kearsley, G. (1996). *Social Development Theory.* Open Learning Technology Cooperation.
3. Tharp, R. G., and Gallimore, R. (1988). *Rousing Minds to Life: Teaching, Learning and Schooling in Social Context.* Cambridge, Engaland: Cambridge University Press.
4. Tomlinson, C. A. (1998). Teach me, teach my brain: A call for differentiated classrooms . *Educational Leadership, 56(3),* 52-55.
5. Tomlinson, C. A. (2000). *The Differentiated Classroom: Responding to the Needs of all Learners.* Alexandria: Association for Supervision and Curriculum Development.
6. Tomlinson, C. A. (2000a). *The Differentiated Classroom: Responding to the Needs of all Learners.* Alexandria: Association for Supervision and Curriculum Development.
7. Tomlinson, C. A. (2004b). Research evidence for differentiation. *School Administrator 61(7),* 30.

თინათინ ზარდიაშვილი

რემედიაცია სასწავლო პროცესში

მხარდამჭერი გარემოს შესაქმნელად მასწავლებელმა უნდა მისცეს დადებითი უკუკავშირი, უზრუნველყოს კლასში უსაფრთხოება, გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები; მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მოსწავლესთან და მშობელთან.

თითოეულ მოსწავლეს მასწავლებლისგან განსხვავებული მხარდაჭერა სჭირდება. სწავლების მრავალი სტრატეგია შეიძლება დაეხმაროს მასწავლებელს მოსწავლესთან მუშაობისას. ერთ-ერთია საგნის რემედიაციული სწავლების სტრატეგია. წერილში რემედიაციული სწავლების არსსა და ტიპებზეა საუბარი.

რა არის რემედიაციული სწავლება?

ეს ინსტრუქციების ერთობლიობაა, რომელიც ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული საგნისა თუ უნარის გაუმჯობესებაში. მასწავლებლის მთავარი მიზანია ჩამორჩენის დონის დადგენა და მასზე მუშაობა. ის განსხვავდება ჩვეულებრივი პრაქტიკული ვარჯიშისა და მარტივი გამეორებისგან. მიდგომა მოიცავს დამატებით მხარდაჭერას, ინსტრუქციების, რეკომენდაციების შემუშავებას, რაც მოსწავლეს დაეხმარება სირთულეებთან გამკლავებაში.

რემედიაციული სწავლების სტრატეგია მასწავლებელს იმ მოსწავლეების გამოვლენასა და დაჯგუფებაში ეხმარება, რომლებსაც საგანში აქვთ ჩამორჩენა, ასევე ადგენს, რა სახის ჩამორჩენაა. მოსწავლეებისთვის კი ეს მოტივაციის აღდგენისთვის არის მნიშვნელოვანი.

რა არის სწავლების სირთულეები?

პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რა გამოწვევის წინაშე დგას მოსწავლე. სასწავლო სირთულეებს მიეკუთვნება, როცა მოსწავლე:

- ვერ იგებს წაკითხულს;
- ვერ იმახსოვრებს წაკითხულს;
- სწავლების დაბალი მოტივაცია აქვს;
- უჭირს აბსტრაქტული აზროვნება;
- სჭირდება დამატებითი დრო;
- უჭირს დამოუკიდებლად მუშაობა;
- ვერ ახერხებს პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო ალგორითმის შედგენას.

რემედიაციული სწავლების მიზნები

- საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროგრამის შედგენა ან მოდიფიცირება;
- რესურსების მობილიზაცია;
- პერსონალური ინსტრუქციების, მუშაობის გეგმის, გრაფიკის შედგენა;
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ამოცანის ამოხსნის, თვითსწავლის, კომუნიკაციის და ტექნოლოგიების სარგებლიანად გამოყენების უნარების განვითარების ხელშეწყობა.

რემედიაციული სწავლების სტრატეგიები

1. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

პროცესში ჩართულია მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. მიდგომა ძალიან ეფექტურია დაწყებით საფეხურზე. მასწავლებლის მიერ გამოვლე-

ნილია სწავლების სირთულეები, სასწავლო დანაკარგები და მის მიხედვით შემუშავებულია ინსტრუქციები, რაც ყველაზე ეფექტური მეთოდია რემედიაციული სწავლების და მასში აუცილებლად გასათვალისწინებელია მოსწავლის სწავლის სტილი.

2. მხარდამჭერი პროგრამა

მოსწავლეებს, რომლებსაც უკეთესი შედეგები აქვთ კონკრეტულ საგანში, გამოიყენებენ როგორც მხარდამჭერებს, მასწავლებლებს. წყვილებში ან მცირე ჯგუფებში მიმდინარეობს სწავლების პროცესი. ეს ერთ ჯგუფს ეხმარება ახალი საკითხის ათვისებაში, მეორეს კი – განმტკიცებაში. ასევე აძლიერებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს.

3. წახალისების სქემა

მასწავლებელი ქმნის მოსწავლის წახალისების სქემას, მოსწავლე ისახავს მიზანს და არჩევს სწავლის ფორმას, სტილს. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მიზანი ცხადია და მიღწევადი. პროცესში მშობლისა და მასწავლებლის ჩართულობა და სისტემატური კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია დადებითი შედეგების მისაღწევად.

4. მულტისენსორული სწავლება

მულტისენსორული სწავლების შემთხვევაში პროცესში გააქტიურდება სხვადასხვა შეგრძნება, მხედველობა, სმენა და უკეთესად მოხდება სასწავლო პროგრამის ათვისება. აქ ჩართულია ვიზუალური, აუდიო და სხვა ინტერაქციული საშუალებები.

5. ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლება

ტექნოლოგიური რესურსები, სასწავლო რუკები, ონლაინ-სწავლების პლატფორმები და მულტიმედია რესურსები კარგი ინსტრუმენტებია რემედიაციისთვის, დამატებით უწყობს ხელს და აჩქარებს პროცესს.

6. დადებითი საყრდენი

მოიცავს დადებით უკუკავშირს, პროგრესის წახალისებას და მცირე მიღწევების აღიარებას. ეს მოსწავლეს თავს აგრძნობინებს უფრო თავდაჯერებულად საკუთარ უნარებსა და შესაძლებლობებში. ამის შედეგად ის შეიძლება უფრო მიზანდასახული და მოტივირებული გახდეს.

რემედიაციული სწავლების ტიპები

- ერთი-ერთზე სწავლება, სადაც მასწავლებელი ინდივიდუალურ ინსტრუქციებს აძლევს მოსწავლეს მისი საჭიროებების გათვალისწინებით;
- სწავლება მცირე ჯგუფებში, სადაც ყველა მოსწავლეს მსგავსი საჭიროება აქვს და ყველა წევრი მასწავლებლისგან ერთსა და იმავე ინსტრუქციას იღებს;
- დიფერენცირებული სწავლება გაკვეთილის პროცესშივე, სადაც მოსწავლეებს აქვთ დიფერენცირებული

მოსწავლეების იდენტიფიცირება რემედიაციული სწავლებისთვის შესაძლებელია დიაგნოსტიკური ტესტით, ქცევაზე დაკვირვებით, მშობელთან კონსულტაციით. ეფექტური რემედიაციული აქტივობებია: დამატებითი მხარდაჭერა, დიფერენცირებული მეთოდების გამოყენება, დავალების პირობისა და შინაარსის გამარტივება, ინდივიდუალური უკუკავშირი, ტექნოლოგიური რესურსები.

დავალებები ან დიფერენ-ცირებული ინსტრუქციები;

- დიფერენცირებული სწავლება სწავლის სტილის მიხედვით საგაკვეთილო პროცესშივე;
- ტექნოლოგიაზე დაფუძნე-ბული რემედიაცია, როცა მოსწავლე მასწავლებლის-გან იღებს ონლაინ-ინსტრუ-მენტების შესახებ ინფორმა-ციას და დამოუკიდებლად ამუშავებს მასალას;
- თანამშრომლობითი სწავ-ლება, ინტერაქცია კლასში მცირე ჯგუფის ფარგლებში.

შეჯამების სახით:

1. ეფექტური რემედიაციული აქტივობებია: დამატებითი მხარდაჭერა, დიფერენ-ცირებული მეთოდების გამოყენება, დავალების პირობისა და შინაარსის გა-მარტივება, ინდივიდუალუ-რი უკუკავშირი, ტექნოლო-გიური რესურსები.
2. მოსწავლეების იდენტიფი-ცირება რემედიაციული სწავლებისთვის შესაძლე-ბელია დიაგნოსტიკური ტესტით, ქცევაზე დაკვირვე-ბით, მშობელთან კონსულ-ტაციით.
3. მხარდამჭერი გარემოს შე-საქმნელად მასწავლებელმა უნდა მისცეს დადებითი უკუკავშირი, უზრუნველ-ყოს კლასში უსაფრთხოება, გამოიყენოს მრავალფერო-ვანი მეთოდები და სტრა-ტეგიები; მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მოსწავლეს-თან და მშობელთან.

საბუნებისმეტყველო დისციპ-ლინების სწავლებისას საინტე-რესო და ეფექტური რესურსი განთავსებულია პორტალზე: https://ck12.edu.ge/ . ელექტ-რონული წიგნების თითოეული პარაგრაფი შეიცავს წინა მასალის გამეორებისა და ახალი მასალის გაცნობისთვის საჭირო როგორც ტექსტურ, ასევე მულ-ტიმედია-რესურსებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.ltu.ca/wp-content/uploads/2020/10/remedial-teacher-guidelines.pdf
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2023-24.

მაია ფირჩხაძე

ადაპტირებული დავალებები მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზაციისთვის

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს პრაქტიკული ასპექტები მასწავლებლისგან მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური ფაქტორების ფართოდ გათვალისწინებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების პერსონალიზაციას, მოსწავლის საჭიროებასთან მაქსიმალურ შესაბამისობას მოითხოვს. მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ სასწავლო ამოცანების გადაწყვეტისთვის **მასწავლებლები ცდილობენ, იპოვონ ის ოპტიმალური მეთოდები და მიდგომები, რომელიც მიზანთან მიახლოებაში დაეხმარებათ. შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობების რეალიზაციისთვის აქცენტი კეთდება პრაქტიკაში ადაპტირებული, მოდიფიცირებული დავალებების აქტიურად გამოყენებაზე.** ამ კუთხით **განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რემედიაციამ, დიფერენცირებული სწავლის პრინციპებმა და ინდივიდუალურმა სწავლებამ.**

ზოგადად, რა ურთიერთმიმართება არსებობს მათ შორის და როგორ შეიძლება მათი გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზაციისთვის?

რემედიაცია მოსწავლის ცოდნაში, გაგებასა თუ უნარებში არსებული ხარვეზის ან ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოსწორების პროცესია, რომლის დროსაც, სწავლაში ჩამორჩენის აღმოფხვრისა და პრობლემის დაძლევისთვის, მასწავლებელი მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციებით, ტექნოლოგიებითა და რესურსებით ეხმარება. სწორად შერჩეული რემედიაციული ჩარევით შესაძლებელია სწავლის ხარვეზების დაძლევა და მოსწავლის აკადემიური ზრდისა და წარმატების მიღწევა.

რემედიაცია ეყრდნობა ისეთ მეთოდებსა და მიდგომებს, როგორიცაა:

- **მიზანზე ორიენტირებული სწავლება ანუ კონკრეტულ ცნებებსა და უნარებზე ორიენტირებული სწავლება.** ის ხორციელდება როგორც ინდივიდუალური სწავლების ფორმით, ასევე მცირე ჯგუფების ან დიფერენცირებული სწავლების კომპონენტების გამოყენებით;
- **პირდაპირი სწავლება,** რომლის დროსაც მასწავლებელი მკაფიო ახსნა-განმარტებებს, მაგალითებს, პრაქტიკულ აქტივობებს სთავაზობს მოსწავლეს. პირდაპირი სწავლება განსაკუთრებით ეფექტურია საბაზისო ცოდნისა და უნარების გასაძლიერებლად;
- **მცირე ჯგუფებში ვარჯიში,** რომელსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეთა მცირე რაოდენობას აქვს მსგავსი, სპეციფიკური სასწავლო საჭიროებები. მცირე ჯგუფებში სწავლა განსაკუთრებით უწყობს ხელს თანატოლებთან ურთიერთობის გაადვილებასა და ურთიერთსწავლას;
- **ინდივიდუალური სწავლება,** რომელიც მიმართულია მოსწავლის კონკრეტული სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. რამდენადაც ამ დროს სამუშაო პროცესი მთლიანად ეყრდნობა მოსწავლის ტემპსა და გაგების დონეს, შესაბამისად, მოსწავლე მეტად აღწევს წარმატებას;
- **დიაგნოსტიკური შეფასება** ანუ იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც მოსწავლეს აქვს

რემედიაცია მოსწავლის ცოდნაში, გაგებასა თუ უნარებში არსებული ხარვეზის ან ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოსწორების პროცესია, რომლის დროს სწავლაში ჩამორჩენის აღმოფხვრისა და პრობლემის დაძლევისთვის მასწავლებელი მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციებით, ტექნოლოგიებითა და რესურსებით ეხმარება.

ჩამორჩენა. ამით გამოიკვეთება ის კონკრეტული საკითხები, რაშიც მოსწავლეს დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება;

- დიაგნოსტიკური შეფასებების საფუძველზე შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია მიზნის მიღწევის სტრატეგიები და რესურსებიც;
- პასუხისმგებლობისგან თანდათან გათავისუფლება: თუ დასაწყისში მოსწავლეს მეტი მხარდაჭერა სჭირდებოდა, მუშაობის შედეგად ის უფრო თავდაჯერებული ხდება, მეტად პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ სწავლას და დატვირთვაც გადადის მასწავლებლიდან მოსწავლეზე;
- ტექნოლოგიებით სწავლება: საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს, ინსტრუმენტებსა და რესურსებს რეალურად შეუძლიათ, გააუმჯობესონ სწავლის შედეგი. ინტერაქტიური პროგრამული უზრუნველყოფა, ონლაინ გაკვეთილები, ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო აპლიკაციები და სახალისო ციფრული თამაშები ის დამატებითი აქტივობებია, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევებში მიმართავს მასწავლებელი და აორმაგებს წარმატების შანსს;
- სკაფოლდინგი, ხარაჩოებით სწავლება შედარებით მოკლე დროში წარმატების მიღწევაში ეხმარება მოსწავლეს;
- უწყვეტი განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, აკონტროლოს მოსწავლის პროგრესი და საჭიროებისამებრ ცვალოს სტრატეგიები. ვიქტორინები, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, საკლასო დისკუსიები და სხვ. შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, რეალურ დროში დააკვირდეს მოსწავლის გაგება-გააზრების პროცესს, განსაზღვროს, როდის დგება ეფექტური შედეგი და როდის არის საჭირო დამატებითი მხარდაჭერა;
- განმავითარებელი შეფასების შედეგებზე დაფუძნებული დროული და კონსტრუქციული უკუკავშირი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, დაინახოს წინსვლა და მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი უნარები;
- დიფერენცირებული სწავლება, რომლის დროსაც მოსწავლეთა მრავალფეროვანი სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება სასწავლო მეთოდების, შინაარსისა და შეფასების კორექტირების გზით. ამ დროს ინფორმაციის წვდომის, გაგების, გააზრების და მასალის დაუფლებისთვის მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან საშუალებებს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების კომპონენტით დიფერენცირებულმა სწავლებამ შეიძლება ხელი შეუწყოს რემედიაციის პროცესსაც.

აღნიშნული საკითხი ხშირად არის განათლების სპეციალისტების განხილვის საგანი. ამ მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა **ლევ ვიგოტსკის** სოციოკულტურულ თეორიას (როდესაც აქცენტი გაკეთდა სწავლებაში ხარაჩოს მნიშვნელობაზე); **ჟან პიაჟეს** კოგნიტური განვითარების თეორიას („..მოსწავლის შემეცნებითი ზრდის პროცესში უმნიშვნელოვანესია განვითარების უახლოესი ზონის განსაზღვრა“); **ბლუმის** საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომიას (რომელშიც სასწავლო მიზნების დასახვა/გაუმჯობესებაზეა აქცენტი); **გარდნერის** მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას (სწავლებაში მოსწავლეთა ინდივიდუალურ განსხვავებებზე ყურადღების გამახვილება, მათი ძლიერი მხარეების განსაზღვრა სწავლებაში შესაფერისი სტრატეგიების ჩართვის მიზნით) და სხვ. აღსანიშნავია თანამედროვე კვლევებიც (John Hattie: Visible learning: A synthesis of over 800 meta-analyses relating to achievement. Routledge, Abingdon, 2008, 392 pp.), რომელიც ადასტურებს სასწავლო პროცესში რემედიაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მიუთითებს მის გადამწყვეტ როლზე მოსწავლის აკადემიური მიღწევების ზრდაში, რადგან აძლევს მას საშუალებას, რეალურად გაიუმჯობესოს უნარები და სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი.

ამ მოცემულობით რემედიაცია, ერთი შეხედვით, ახლოს დგას დიფერენცირებულ და ინდივიდუალურ სწავლებასთან, თუმცა, ამავდროულად, განსხვავდება მათგან. **მაინც რა განსხვავებაა რემედიაციასა და დიფერენცირებულ სწავლებას შორის?**

ზოგადად ორივე – ცოდნის ხარვეზის გამოსწორება და დიფერენცირებული სწავლება – **საგანმანათლებლო სტრატეგია,** რომელიც მიმართულია მოსწავლის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ, მაგრამ განსხვავდებიან

საკითხზე ფოკუსირებით, მიზნითა და განხორციელების გზებით:

1 – რემედიაცია:

ა) ფოკუსირებულია კონკრეტული მოსწავლის/მოსწავლეთა მცირე ჯგუფის ცოდნის ხარვეზის აღმოფხვრაზე, გამოსწორებაზე, რაც მოსწავლეს კონკრეტულ საგნობრივ დისციპლინაში ჰქონდეს. მას აქტიურად მაშინ მიმართავენ, როდესაც მოსწავლე ცდილობს ფუნდამენტური უნარების ან ცნებების დაუფლებას;

ბ) მისი მიზანია, აღმოფხვრას კონკრეტული ხარვეზი, შეავსოს კონკრეტული ცოდნის/უნარის დეფიციტი, მიიყვანოს მოსწავლე/მოსწავლეთა მცირე ჯგუფი მიზნობრივი უნარების ან კონცეპტუალური ცოდნის გარკვეულ დონემდე (ასე ვთქვათ, დაეწიოს დანარჩენ მოსწავლეებს, თანაკლასელებს);

გ) განხორციელების გზა მოიცავს დამატებით ინსტრუქციებს, პრაქტიკულ აქტივობებს, კონცეფციების ხელახლა სწავლებას, დამატებითი პრაქტიკის შესაძლებლობების შეთავაზებას ან ინდივიდუალურ ინტერვენციებს.

2 – დიფერენცირებული სწავლება:

ა) ფოკუსირებულია კლასის ყველა მოსწავლეზე, მათ საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, სწავლების მეთოდების, მასალებისა და შეფასების ტექნიკის მრავალფეროვნებაზე;

ბ) მისი მიზანია, უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის მხარდაჭერა, სწავლის პოტენციალის მაქსიმალიზაცია;

გ) განხორციელების გზა: დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს შინაარსის, პროცესის, პროდუქტის და სასწავლო გარემოს ისე მოწყობას, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს პრაქტიკული ასპექტები მასწავლებლისგან მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური ფაქტორების ფართოდ გათვალისწინებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების პერსონალიზაციას, მოსწავლის საჭიროებასთან მაქსიმალურ შესაბამისობას მოითხოვს.

მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები. უზრუნველყოფს დავალებების და აქტივობების ისე შეთავაზებას, რომ მოსწავლეებს მათი შესრულებისათვის აღმოაჩნდეთ სათანადო მზაობა, მიეწოდოთ ამოცანის გადაწყვეტის მრავალფეროვანი ვარიანტები, ალტერნატიული სასწავლო აქტივობები.

მაშასადამე, **თეორიულად, რემედიაცია მიზნად ისახავს** ცალკეულ მოსწავლეებში სწავლის სპეციფიკური ხარვეზების ან კონკრეტული ნაკლოვანებების აღმოფხვრას და კლასის საერთო დონესთან მათ მიახლოებას. **დიფერენცირებული სწავლება** კი უფრო ფართო მიდგომაა, რომელიც შედარებით პერსონალიზებული სასწავლო გამოცდილებით და მოქნილი სასწავლო პრაქტიკის გამოყენებით ცდილობს, დააკმაყოფილოს ყველა მოსწავლის მრავალფეროვანი სასწავლო საჭიროებები და მოთხოვნილებები.

რემედიაციის მაგალითი: მასწავლებელმა აღმოაჩინა, რომ კლასში რამდენიმე მოსწავლეს უჭირდა წილადების გაგება. შედეგად ამ მოსწავლეებს უძნელდებოდათ სხვადასხვა მნიშვნელის მქონე წილადების შეკრება და გამოკლება.

პრობლემის შესაბამისად, მასწავლებელმაც დაგეგმა რემედიაციული მეცადინეობა: **ა)** გაკვეთილებზე შესვენების დროს (ან გაკვეთილების დასრულების შემდეგ) გამოიყენა მცირე ჯგუფებში მუშაობა, განიხილა დამატებით სხვა აქტივობებიც, რომელიც ფოკუსირებული იყო კონკრეტულად წილადების შეკრებასა და გამოკლებაზე, მათ კონცეპტუალურ გაგებაზე; **ბ)** შეადგინა ინდივიდუალური სწავლების გრაფიკი და დაგეგმა კონკრეტული გაკვეთილები როგორც დამატებითი მხარდაჭერა მოსწავლეთა ხარვეზიანი ცოდნის აღმოსაფხვრელად; **გ)** რეგულარულად, უწყვეტად გამოიყენა განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეების პროგრესის მონიტორინგისთვის და საჭიროებისამებრ, ცვლიდა კიდეც რემედიაციის გეგმას. **დ)** შედეგად მოსწავლეებმა მიაღწიეს წარმატებას – კონკრეტული პრობლემა აღმოიფხვრა.

დიფერენცირებული სწავლების მაგალითი: მათემატიკის იმავე გაკვეთილზე მასწავლებელმა აღიარა, რომ მოსწავლეებს წილადების შესახებ ნამდვილად ჰქონდათ ცოდნის სხვადასხვა დონე და ინტერესიც. მასწავლებელმა გადაწყვიტა დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება და **ა)** მოსწავლეებს, რომლებსაც არ უჭირდათ წილადებზე მოქმედებები, შეეძლოთ, გაეაზრებინათ წილადებთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ოპერაციები, მასწავლებელმა შეურჩია უფრო რთული ამოცანები (როგორიცაა წილადების შემცველი სიტყვების ამოცანების ამოხსნა ან წილადების ეკვივალენტობის შესწავლა); **ბ)** მოსწავლეებს, რომლებსაც გაუჭირდათ წილადებთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულება, მისცა მარტივი ტიპის ამოცანები და ასევე გამოიყენა ხარაჩოც ვიზუალური საშუალებების სახით (როგორიცაა წილადების მოდელები ან მანიპულატივები) შემდეგ კი **გ)** მოსწავლეებს შესთავაზა ცოდნის გაგების, ცოდნის დემონსტრირების რამდენიმე გზა: წერილობითი ახსნა-განმარტებები, ზეპირი პრეზენტაციები, ციფრული პროექტები; მუშაობისას გამოიყენა დაჯგუფების ისეთი სტრატეგიები, რომელიც მოსწავლეებს ურთიერთსწავლების გამოყენების საშუალებას აძლევდა. ამავე დროს, გამოიყენა არჩევანის თავისუფლებაც და მოსწავლეებს შესთავაზა, აერჩიათ აქტივობები ან დავალებები მენიუდან, რომელიც უფრო მეტად შეესაბამებოდა მათ ინტერესებს და სასწავლო მიზნებს. შედეგიც შთამბეჭდავი აღმოჩნდა – მოსწავლეთა მიღწევები საგრძნობლად ამაღლდა.

როგორც ვხედავთ, **პრაქტიკული კუთხით, რემედიაცია** კონკრეტული ცოდნისა და უნარების, სპეციფიკური ნაკლოვანებების აღმოფხვრაზეა ორიენტირებული, **დიფერენცირებული სწავლება კი** მიმართულია ყველა მოსწავლის მრავალფეროვანი სასწავლო საჭიროებებისა და ინდივიდუალური მიდგომების დაკმაყოფილებაზე და ამისთვის იყენებს მოქნილ სასწავლო სტრატეგიებს.

ამავე დროს, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ **ინდივიდუალურ სწავლებაზეც,** რომელიც ასევე ახლოს დგას დიფერენცირებულ სწავლებასთან და რემედიაციასთან.

თუ **რემედიაცია** გულისხმობს ცალკეული მოსწავლის ან მოსწავლეთა მცირე ჯგუფების კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში არსებული

ცოდნის დეფიციტის ან ხარვეზის დაძლევას, კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრას და მოსწავლის ცოდნისა და უნარების დაახლოებას კლასის სწავლის საერთო დონესთან და ის ძირითადად მიმდინარეობს გაწერილი გრაფიკის შესაბამისად, **დიფერენცირებული სასწავლო პროცესი** მოიაზრებს მრავალფეროვან კლასში სწავლებას და კონკრეტული მოსწავლის საჭიროებების დაძლევის საფუძვლად გვთავაზობს ადაპტირებულ სასწავლო მასალას, მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებსა და სტრატეგიებს. ასეთი აქტივობები შეიძლება ჩაშენებული იყოს საგაკვეთილო პროცესში, ან მიმდინარეობდეს გაკვეთილების ბოლოს. **ინდივიდუალური სწავლებისას** აქცენტი კეთდება თითოეულ მოსწავლეზე, მისი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გამოკვეთაზე, რაც შეიძლება გულისხმობდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასაც, სწავლის ტემპსაც და შეფასებასაც. ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესი ნებისმიერ დროს შეიძლება მიმდინარეობდეს, რამდენადაც ის არის უაღრესად პერსონალიზებული სასწავლო პროცესი ფართოდ ადაპტირებული სასწავლო რესურსებითა და სწავლის მეთოდებით. შეიძლება ითქვას, **ინდივიდუალური მიდგომა უფრო მეტად ჰგავს დიფერენცირებულ სწავლებას,** ვიდრე რემედიაციას, თუმცა **სამივე მათგანს ახასიათებს საერთო მიდგომები სწავლის პროცესთან, მაგრამ განსხვავდებიან მიზნის, მასალის მოცულობისა და სწავლებისთვის განკუთვნილი დროის მიხედვით.**

როგორც ვხედავთ, პრაქტიკულად, სასწავლო პროცესში აქცენტი გადადის სწავლების პერსონალიზაციაზე ანუ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად ხდება სასწავლო პროცესის მთლიანი მოდიფიცირება და მიზნის მიღწევის მთავარ ორიენტირად მოსწავლის ინტერესების და შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება მოიაზრება. რეალურადაც, პრაქტიკულ საქმიანობაში, მასწავლებლები ხშირად აერთიანებენ როგორც დიფერენცირებული სწავლების, ასევე რემედიაციის ელემენტებს, რათა შექმნან მხარდამჭერი სასწავლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლის საჭიროებები მაქსიმალურად იქნება დაკმაყოფილებული. ამისთვის ისინი მიმართავენ ადაპტირებულ, მოდიფიცირებულ დავალებებს. **ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული, ადაპტირებული ამოცანების შეთავაზებით, მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა აკადემიურ ზრდასა და მიღწევებს.**

ნიმუში – ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებლის და მოსწავლის საქმიანობა:

რემედიაციის პროცესი	ინდივიდუალური სწავლება	დიფერენცირებული სწავლება
– სწავლების ადაპტაცია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც წარმატების მისაღწევად უჭირთ მასალის ათვისება ან საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას. მაგალითად, თემა: „როგორ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები“ მასწავლებლის დავალებაა, მოსწავლეებმა დაწერონ ისტორიული თემა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მოსწავლეს, რომელსაც არ გაუვლია, არ იცის ინგლისის კოლონიების წარმოშობის ისტორია, ვერ წერს, უჭირს დავალების შესრულება. აი, აქ სჭირდება მოსწავლეს საკითხის/თემის/ხელახლა სწავლა ან სწავლაში ხარვეზის გამოსწორება. და მასწავლებელიც შეეცდება ეს პრობლემა დააძლევინოს მოსწავლეს ინდივიდუალური გეგმის მიხედვით.	– საშუალებაა ყველა მოსწავლისთვის, ისწავლოს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, საკუთარი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მაგალითად, მოცემულ საკითხთან მიმართებაში, გავითვალისწინოთ აუდიო, ვიზუალი, კინესთეტი მოსწავლის დამახასიათებელი თვისებები და ისე მივცეთ დავალებები აშშ-ის წარმოშობის შესახებ (ანუ გავუკეთოთ მოდიფიცირება სასწავლო გარემოს, რესურსებს და აშ.).	– მიზნის მიღწევის რამდენიმე გზის შეთავაზება მოსწავლისთვის, მათი ინტერესებისა და დონის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება იყოს პროექტები, ისტორიული ნახატების ან მოვლენების რეკონსტრუქცია და ა.შ. მოსწავლეები, რომლებიც არიან შემოქმედებითები, შეუძლიათ მულტიმედიური პროდუქტების შექმნა, ეფექტურ პრეზენტაციებს მოამზადებენ, სხვები – სხვაგვარი ფორმით წარმოადგენენ. მაგალითად, შეადგინეთ დავალება „ვიზუალი“ მოსწავლისთვის“, აუდიო-მოსწავლისთვის (მაგ., აუდიოპრეზენტაციის გამართვა) და სხვ. კინესთეტი მოსწავლე კი შეადგენს დროის ხაზს, ან – მიმართავს როლურ თამაშს და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზაციისთვის, ამგვარი მიდგომებით მოხდა შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინება და სამივე მიმართულებით დავალება მიეცათ მზაობის, სწავლის სტილის და ინტერესის შესაბამისად. სწავლების შინაარსის, ასევე სწავლის სტილისა და სასწავლო რესურსების ადაპტირებით მოსწავლეთა შედეგები გახდა წარმატებული და სასწავლო მიზნებიც – მიღწეული. მსგავსი დავალებები აქტიურად შეგვიძლია გამოვიყენოთ სასწავლო პრაქტიკაში.

ქრისტინა სურგულაძე

რატომ ხატავს მოსწავლე გაკვეთილზე

მოსწავლეს გაკვეთილზე ხატვის სურვილი ბევრი მიზეზის გამო შეიძლება გაუჩნდეს. შესაძლოა, ეს მოწყენილობით დაემართოს, ან თავის გამოფხიზლებას ცდილობდეს. ეს ქცევა სტრესთან გამკლავების მეთოდადაც შეიძლება აღვიქვათ. თუკი მოსწავლე ხატავს, ის რაღაცისგან თავისუფლდება და თუკი რაღაცისგან თავისუფლდება, ეს რაღაც მას აღარ აწუხებს, შესაბამისად, მეტად არის მზად, რომ გვისმინოს.

ჩემთვის ხშირად უთქვამთ: იცი, შენ ძალიან კარგი მსმენელი ხარო. ზუსტად ვიცი, ეს რას ნიშნავს. მე ვარ ადამიანი, რომელიც გულისყურით ისმენს, როცა რაღაცას უამბობენ. თავის ქება არ მინდა, ეს უდავოდ კარგი თვისებაა, რასაც სხვებშიც ნამდვილად ვაფასებ, თუმცა სწორედ იმიტომ, რომ მეც კარგ მსმენელად მივიჩნევი, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ზოგჯერ არ ვუსმენთ, უბრალოდ, ისე ჩანს, რომ ვუსმენთ. შესაძლებელია, მოსმენის პროცესში მთელი სხეული იყოს ჩართული, თვალები მოსაუბრეს უყურებდნენ, მაშინაც კი, თუკი მოსაუბრე გადაადგილდება, მსმენელის მზერა მას დაჰყვება, მზერასთან ერთად თავი აქეთ-იქით ტრიალებს, მსმენელი მშვიდად ზის ან დგას და მთელი ყურადღება მოსაუბრისკენ აქვს მიმართული, შესაძლოა, პერიოდულად თავსაც უკრავდეს იმის ნიშნად, გისმენო. მაგრამ ეს მხოლოდ ავტომატური მოძრაობებია. სინამდვილეში, მარტივად შესაძლებელია, მსმენელის გონება საერთოდ სხვაგან დაქროდეს და მოსაუბრის ყველა სიტყვას ისხლეტდეს. ასე ეს უბრალოდ ფონური ხმაურია, რომელსაც ყურს არ ვუგდებთ და, შესაბამისად, ვერაფერს ვიგებთ. ეს მდგომარეობა ისეთივე საგანგაშოა, როგორც იმ მოსწავლისა, რომელზეც ვწუწუნებთ, რომ სულ ცელქობს და არაფერს ისმენს. ორივე უკიდურესი მხარეა, ვერცერთი კონცენტრირებას ვერ ახერხებს. განსხვავება ისაა, რომ „ჩუმი“ ხელს არ გვიშლის, პირიქით, გვგონია, რომ გვისმენს და თუკი სარკედ ქცეულ მის თვალებს თვალს ვერ მოვკრავთ, ვერც მივხვდებით, რომ როცა დავუძახებთ: „გაიმეორე, ბოლოს რა ვთქვი“ კი არა, „რომელი წელია?“-საც ვერ უპასუხებს, ვიდრე კარგად არ გამოერკვევა.

მაშ ასე, ჩვენ ვიცით, რომ ეს დიდი პრობლემაა. ვიცით, რომ შესაძლოა, სწორედ ის არ გვისმენდეს, ვინც გვგონია, რომ გვისმენს. ვიცით, რომ რამე უნდა მოვუხერხოთ იმ მოსწავლეს, რომელსაც ცხადად ეტყობა, რომ არ გვისმენს, რადგან ცდილობს, თანაკლასელებს გამოელაპარაკოს, წიგნი სხვა გვერდზე გადაშალოს და იქ დაიწყოს კითხვა, ფანჯარაში იყუროს ან მოულოდნელად კონტექსტიდან ამოვარდნილი კითხვით გაგვაწყვეტინოს საუბარი. მაგრამ რატომღაც თვალში სწორედ ის მოსწავლე გვხვდება, რომელიც მშვიდად ზის და რვეულში რაღაცას ხატავს? დიდი ალბათობით, სწორედ ეს მოსწავლე ინტუიციით ხვდება, თუ რა უნდა აკეთოს მაშინ, როდესაც მისი სხეული და გონება გადაღლილია და კონცენტრირებას ვეღარ ახერხებს. ჩემს გაკვეთილზე ხატვის დრო არ არისო, – სამართლიანად იწყენს ხოლმე მასწავლებელი. ასეა, მე არც ხელოვნებას ვასწავლი, არც რამე მსგავსს, მაშინ რატომ ხატავს აქ? რადგან მხოლოდ ასე ახერხებს, რომ მოგისმინოს! ცხადია, ხშირად იქნება შემთხვევები, როდესაც მოსწავლე თავის ესკიზებში უჩინარდება და გარესამყაროსთან კავშირს კარგავს, მაგრამ ამის გამოცდა მარტივად შეგვიძლია. შემდეგ ჯერზე, როდესაც დაინახავთ, რომ მოსწავლე რაღაცას ხატავს, უბრალოდ, ჩაეკითხეთ იმ თემის ირგვლივ, რომელზეც საუბრობდით. დიდი ალბათობით, გაოცდებით.

მოსწავლეს გაკვეთილზე ხატვის სურვილი ბევრი მიზეზის გამო შეიძლება გაუჩნდეს. შესაძლოა, ეს მოწყენილობით დაემართოს, ან თავის გამოფხიზლებას ცდილობდეს. ეს ქცევა სტრეს-

თან გამკლავების მეთოდადაც შეიძლება აღვიქვათ. თუკი მოსწავლე ხატავს, ის რაღაცისგან თავისუფლდება და თუკი რაღაცისგან თავისუფლდება, ეს რაღაც მას აღარ აწუხებს, შესაბამისად, მეტად არის მზად, რომ გვისმინოს. ცხადია, მასწავლებლის გადასახედიდან, რთულია იმის მიღება და დაჯერება, რომ ასე უსმენენ, თუმცა ეს უფრო მეტად სარწმუნოა, ვიდრე ის, რომ რვეულ და ფანქარჩამორთმეული მოსწავლე მოგვისმენს, რადგან ის აღარ ხატავს.

თუკი მოსწავლეს ხატვას ავუკრძალავთ, მაშინ ის ხელის, კალმის ან ფეხის ნერვიულ ქნევას მოჰყვება, შესაძლებელია, მერხზე კაკუნიც დაიწყოს ან მთელი სხეულის რწევა, რადგან ყველას საკუთარი გამოწვევები აქვს, ყველა სხვადასხვანაირად გამოავლენს იმას, რასაც ხატვაში ჩუმად ავლენდა და ასე გონებას იმშვიდებდა. მახსოვს, როგორ მითხრა ჩემმა უფროსმა მეგობარმა, რომელიც ასევე მასწავლებელია – ლექციაზე ვიჯექი, მოწყენილობისგან ფეხსაცმელს ვიხდიდი და ვიცვამდი, მერე უცებ გამძვრა და მერხის იქით გადამივარდაო. ასეა, მსგავსი რამეები დიდ ადამიანებსაც გვემართება, როცა ვიცით, რომ ვალდებულები ვართ, ვისხდეთ და ვისმენდეთ, თუნდაც ჩვენთვის საინტერესო რამ იყოს. მსგავსად ხდება მოსწავლეების შემთხვევაშიც. თუკი მათ ხატვას ავუკრძალავთ, მოვთხოვთ, რომ ყველაფერი შეინახონ, რითაც და რაზეც კი შეიძლება ხატონ და მშვიდად ისხდნენ, დიდი ალბათობით, ასეც მოიქცევიან, თუმცა მათი სტრესი გაორმაგდება და უარესად შეუშლით ხელს გაკვეთილზე კონცენტრირებაში.

ამის ნაცვლად მასწავლებლებს შეგვიძლია, რომ მცირე გადახვევა გავაკეთოთ გაკვეთილიდან, მოსწავლეებს ვთხოვოთ, ჩვენთან ერთად რამდენიმე ხატვითი სავარჯიშო შეასრულონ. სთხოვეთ მათ, დაგიხატონ ნებისმიერი ემოჯი იმის მიხედვით, თუ რას გრძნობენ და სად არის მათი გონება მოცემულ მონაკვეთში. ან სთხოვეთ უფრო კომპლექსური სკეტჩის შექმნა დამხმარე კითხვების საშუალებით: რას ვგრძნობ? სად ვარ ახლა ჩემი ემოციების მიხედვით? სხეულის რომელ ნაწილში ვგრძნობ ყველაზე მეტად სიმძიმეს? რა მჭირდება ამ წამს? რით შემიძლია შევამსუბუქო ჩემი მდგომარეობა? შესანიშნავი დამხმარეა წერტილების შეერთების სავარჯიშოც, რომელიც ყველაზე მარტივი და ყველაზე სასარგებლოც კი შეიძლება აღმოჩნდეს. დაუხატეთ მოსწავლეებს რამდენიმე წერტილი ფურცელზე და სთხოვეთ, როგორი ხაზებითა და გზებითაც სურთ, ისე დააკავშირონ ერთმანეთთან. ეს მათ დაეხმარება, გათავისუფლდნენ სტრესისგან და ნელ-ნელა გამოგყვნენ იქ, სადაც თქვენ გსურთ – გაკვეთილზე, სადაც თქვენ საუბრობთ, ისინი კი გისმენენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი დაინახავთ, რომ თქვენს გაკვეთილზე ხატავენ, ნუ შეიქმნით წარმოდგენას, რომ არ გისმენენ არც თქვენ და არც თანაკლასელებს. სინამდვილეში, სწორედ მცირე სკეტჩებისა და პატარ-პატარა ჩანახატების გაკეთებაა მათი მცდელობა თქვენკენ შემობრუნებისა და კონცენტრაციის.

თუკი მოსწავლეს ხატვას ავუკრძალავთ, მაშინ ის ხელის, კალმის ან ფეხის ნერვიულ ქნევას მოჰყვება, შესაძლებელია, მერხზე კაკუნიც დაიწყოს ან მთელი სხეულის რწევა, რადგან ყველას საკუთარი გამოწვევები აქვს, ყველა სხვადასხვანაირად გამოავლენს იმას, რასაც ხატვაში ჩუმად ავლენდა და ასე გონებას იმშვიდებდა.

თამთა კობახიძე

ესტონეთის განათლების სისტემის ზოგადი მიმოხილვა

ყველა ესტონელი ექსპერტი, პროფესორი, სკოლის დირექტორი, მასწავლებელი – რიგითი ჯარისკაცი თუ გენერალი აღნიშნავს უტყუარი მტკიცებულებების – მონაცემებისა და მათი ანალიზის მნიშვნელობას. სკოლის დონიდან განათლების პოლიტიკის დაგეგმვამდე – ყველა საფეხურზე მტკიცებულებებსა და კვლევების შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება მიიჩნევა პრიორიტეტად.

ბოლო ათწლეულში საერთაშორისო კვლევების (PISA, OECD) შედეგები განხილვის საგანია მთელ მსოფლიოში. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA – Program for International Student Assessment) განმეორებითი საერთაშორისო კვლევაა. ის 2000 წლიდან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ეგიდით, სამ წელიწადში ერთხელ ტარდება ორგანიზაციის წევრი და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით. საქართველო PISA-ში, როგორც პარტნიორი ქვეყანა, 2009 წლიდან ჩაერთო და მას შემდეგ 2015, 2018 და 2021 წლების ციკლში მიიღო მონაწილეობა (Naec.ge). სწორედ ამ დროიდან გახდა საქართველოში ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი 15 წლის მოსწავლეების მიღწევები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, კითხვასა და მათემატიკაში. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრად ჩამორჩება მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, ხოლო რეიტინგის სათავეში ჯერ სკანდინავიის ქვეყნები, კერძოდ ფინეთი, და შემდეგ მისი მეზობელი ესტონეთი არიან.

ფინეთის ლიდერობის შემდეგ აქტიურად დაიწყო ფინური განათლების სისტემის განხილვა, მიდგომებისა და პოლიტიკის ანალიზი. საქართველოსთვის კი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ესტონეთის წარმატება. ამ პატარა, მილიონნახევრიანი მოსახლეობის მქონე, თითქმის რესურსების გარეშე მყოფმა ქვეყანამ საბჭოთა ოკუპაციისაგან თავის დაღწევის შემდეგ მოახერხა იმდენი, რამდენიც დანარჩენმა „მოძმე“ რესპუბლიკებმა 30 წლის განმავლობაში ვერ შეძლეს – განათლების სისტემის გადაყვანა ახალ ღირებულებით რელსებზე და ამ მიღწევის არა მხოლოდ ერთი რეფორმის ფარგლებში შექმნა, არამედ შენარჩუნება და განვითარებაც. სწორედ ქვეყნის მოცულობის, მოსახლეობის რაოდენობის, საერთო წარსულის კონტექსტში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ მიაღწიეს მათ მსგავს წარმატებას.

განათლების სისტემის რეფორმირებაზე ფიქრი ესტონეთში ჯერ კიდევ საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში, 1987 წლიდან დაიწყო. იმ დროისათვის ესტონური საზოგადოება მიხვდა, რომ სისტემაში არსებითი ცვლილებები იყო საჭირო, რის ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელებაც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დაიწყო. მასწავლებლების ამ კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებების პოლიტიკური განხორციელება 1991 წლიდან სისტემის დეცენტრალიზაციით გადაწყდა. 2005 წლიდან 2015 წლამდე ესტონეთში, ისევე როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, სტრატეგიული დაგეგმვის აფეთქება იყო. არსებობდა ბევრი მინისტრატეგია, რომლებიც საბოლოოდ დაიხვეწა და გაერთიანდა 2012-2020 წლების ერთიან ხედვაში, ხოლო ამჟამინდელი 2021-2035 წლების სტრატეგიის დოკუმენტი გვთავაზობს იმ მსხვილი მიზნების გაერთიანებას, რომლებიც ამ წლების განმავლობაში ცვლილებებისა და შესწორებების შედეგად დარჩა.

2020 წელს ქვეყანამ ასევე მიიღო მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სტრატეგია, რომლის ძირითადი პრინციპებია: სწავლისადმი მიდგომის ცვლილება, კომპეტენტური და მოტივირებული მასწავლებელი და სკოლის დირექტორი, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობებსა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ციფრული ფოკუსი მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობები და თანაბარი შესაძლებლობის შეთავაზების გზით LLL პროგრამებში მონაწილეთა ზრდაა.

მთავარი, რასაც ქვეყანამ მიაღწია, არის შეთანხმება სამთავრობო და ოპოზიციურ პარტიებს შორის. განათლების ის ექსპერტები, ვინც იმთავითვე ჩართულნი იყვნენ ახალგაზრდა ქვეყნის საგანმანათლებლო სტრატეგიისა და პოლიტიკის დაგეგმვაში, ამბობენ, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციურ თუ ნეიტრალური მიდგომის მქონე პარტიებთან. მოლაპარაკებების მიზანი იყო, მიღწეულიყო საერთო შეთანხმება განათლების პოლიტიკის, მისი განხორციელებისა პრინციპებისა და მექანიზმების შესახებ. ქვეყანაში შედგა კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ღირებულებების მქონე მოსწავლე, მასწავლებელი და სკოლის დირექტორი იყო საჭირო სამომავლო განვითარებისათვის. ამიტომაც განათლების სისტემა დაცული იყო სამთავრობო ცვლილებების შემთხვევაში საფუძვლიანი რყევებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთის მოსახლეობის 35% რუსულენოვანია, ამიტომ რუსეთისაგან მომავალი საფრთხეები დღემდე აქტუალურია საზოგადოებისათვის. დღისათვის ქვეყნის გაცხადებული პოლიტიკაა რუსულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაცია ესტონურ სოციუმში, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მაშინ, როდესაც ბევრ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) ენობრივ და ეთნიკურ ნიადაგზე გაღვივებული ომები მიმდინარეობდა, ესტონურმა საზოგადოებამ კარგად შეძლო შეეფასებინა რისკები, საფრთხეები და განათლება ექცია ქვეყნის განვითარების მთავარ იარაღად.

განათლების სისტემის ფორმირებაში ესტონეთს აქტიურ დახმარებას უწევდნენ სხვა ქვეყნებიც, განსაკუთრებით მეზობელი ფინეთი. მასწავლებლების მომზადება-გადამზადების, საუნივერსიტეტო პროგრამების დახვეწისა და სხვა მიმართულებით ფინეთთან თანამშრომლობა ბევრის მომცემი იყო ქვეყნისათვის. მათ შეძლეს (რასაც დღემდე აგრძელებენ) სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან აეღოთ საუკეთესო და მოერგოთ ის ადგილობრივი კონტექსტისათვის, საკუთარი ხალხის ხასიათის, რეალობის, ქცევისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

მეორე და მნიშვნელოვანი მიდგომა განათლების პოლიტიკისადმი არის მისი ცენტრალიზება – მკაცრი კონტროლი, ვინ შემოვა სისტემაში. ქვეყანაში მხოლოდ 6 უნივერსიტეტია, აქედან მხოლოდ ორია კერძო, რომელსაც ვიწრო კვლევითი პროფილი აქვს (სახელოვნებო და ბიზნესი). ძალიან მცირეა კერძო სკოლების რაოდენობა საჯარო სკოლებთან შედარებით. განათლებასთან დაკავშირებით ესტონეთში არ მუშაობს თავისუფალი ბაზრის პრინციპები. განათლების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის უსაფრთხოების, უთანასწორობის აღმოფხვრისა და სამომავლო განვითარების საკითხებთან, ამიტომ ახალი, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემაში შემოსვლა ძალიან გართულებულია – თითქმის შეუძლებელი უმაღლეს განათლებასთან მიმართებით.

მეორე და მნიშვნელოვანი პუნქტი უნივერსიტეტების გაძლიერებაა. სახელმწიფო განსაკუთრებით ყურადღებით ადევნებს თვალს იმ ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც მასწავლებლის მომზადების პროგრამებს ახორციელებს. ყოველ წელს მთავრობა უნივერსიტეტებს უფორმებს ხელშეკრულებას, სადაც ასახულია, დაახლოებით რა რაოდენობის მასწავლებელი იქნება საჭირო ესტონეთისათვის მომდევნო რამდენიმე წელში. ასევე კონტროლდება შინაარსი – რას ასწავლიან საუნივერსიტეტო პროგრამებში და პერსონალი – ვინ ასწავლის. ქვეყანას სურს, დარწმუნებული იყოს, რომ იმ ღირებულებებისა და ცოდნის მასწავლებელი გადის უნივერსიტეტიდან, რომელიც მისი განვითარებისთვისაა საჭირო, ხოლო სკოლაში შესულს აძლევს თავისუფლებას – თავად დაგეგმოს და მიიღოს გადაწყვეტილებები სწავლებასთან დაკავშირებით. ავტონომიურობა და ნდობა სწავლა-სწავლების პროცესის მთავარი პრინციპებია.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ესტონეთმა დიდი ყურადღება დაუთმო უნივერსიტეტში განათლების სკოლების/ფაკულტეტების გაძლიერებას. საუნივერსიტეტო სივრცე მთლიანად ინტერნაციონალიზებულია. დაიწყო კვლევები განათლების სხვადასხვა სფეროში და, რაც მთავარია, კვლევების მთავარი დამკვეთი და მომხმარებელი თავად სახელმწიფოა. ამან ხელი შეუწყო აკადემიური პერსონალის კომპეტენციების ზრდას და ახალგაზრდების შემოდინებას

საუნივერსიტეტო სივრცეში. ყველა ესტონელი ექსპერტი, პროფესორი, სკოლის დირექტორი, მასწავლებელი – რიგითი ჯარისკაცი თუ გენერალი აღნიშნავს უტყუარი მტკიცებულებების – მონაცემებისა და მათი ანალიზის მნიშვნელობას. სკოლის დონიდან განათლების პოლიტიკის დაგეგმვამდე – ყველა საფეხურზე მტკიცებულებებსა და კვლევების შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება მიიჩნევა პრიორიტეტად. თუ რაიმე მიმართულებით მონაცემები არ არსებობს (რაც უკვე ფაქტობრივად შეუძლებელია), სახელმწიფო მაშინვე იწყებს ამ მხრივ კვლევასა და მონაცემთა ბაზების შექმნას.

და ბოლოს, სისტემის წარმატების კიდევ ერთ მთავარ პირობად ესტონელი ხალხის სახასიათო თვისებაც სახელდება – პრობლემების ძიება. ესტონელი ექსპერტები ხუმრობენ – ყველაფერი გამართულად რომ ფუნქციონირებდეს, ესტონელი მაინც იპოვის რაიმე პრობლემას და ჩაეძიება, რა არის ამის მიზეზიო. პრობლემები და შეცდომების დაშვება მიღებულია ნორმად, მთავარია, ორგანიზაციას/პიროვნებას ჰქონდეს პრობლემების გააზრებისა და მათი აღმოფხვრის შესახებ მკაფიო წარმოდგენა, ან იცოდეს, მაინც სად შეიძლება იპოვოს დახმარება. ასევე არ მალავენ პრობლემებს – რომ დღემდე არიან სისტემაში მასწავლებლები, ვისაც დახმარება სჭირდება, თუმცა წარმატების ერთ-ერთ საიდუმლოდ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა უმრავლესობის პროფესიონალიზმს ასახელებენ („ჩვენ ვენდობით ჩვენს მასწავლებლებს და სკოლის დირექტორებს, რადგან უკვე დარწმუნებული ვართ, რომ მინიმუმ 80% კომპეტენტური და პროფესიონალია“).

ესტონეთის განათლების სტრატეგიის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2021 წლიდან 2035 წლამდე. ის ხანგრძლივი პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. სტრატეგიის მთავარი დოკუმენტი სულ 36 გვერდია და შედგება შესავალი ნაწილის, ძირითადი ტერმინების აღწერის, მთავარი მიზნისა და ქვემიზნების, სიტუაციის აღწერის, სტრატეგიული

მიზნების შესრულების აქტივობების აღწერისა და განხორციელების სტრატეგიისაგან. სტრატეგია თავის მიზნებს უკავშირებს ევროკავშირის ძირითად პოლიტიკურ დოკუმენტებსაც.

განათლების სტრატეგიის ძირითადი მიზანია ესტონეთის მოსახლეობის აღჭურვა იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით, რომლებიც, თავის მხრივ, ეხმარება ადამიანებს პოტენციალის რეალიზებაში – პირად, პროფესიულ და სოციალურ ცხოვრებაში და წვლილი შეაქვს როგორც ესტონეთში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში, ისევე გლობალურ მდგრად განვითარებაში.

ძირითადი მიზნები:

- სწავლის შესაძლებლობები მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომია, ხოლო სისტემა იძლევა განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე შეუფერხებლად გადასვლის საშუალებას;
- ესტონეთში არიან კომპეტენტური და მოტივირებული მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები, არის მრავალფეროვანი სასწავლო გარემო და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება;
- სწავლის შესაძლებლობები პასუხობს საზოგადოებისა და შრომის ბაზრის განვითარების საჭიროებებს.

ამ სამი ძირითადი მიზნის მისაღწევად სტრატეგიული გეგმა ჩაშლილია წვრილ აქტივობებად, რომლებიც ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს ეხმიანება. გეგმას თან ახლავს მიზნის შესრულებისათვის რეკომენდაციები და სახელმძღვანელოები, რომლებიც სისტემის შემადგენელ ორგანიზაციებს ეხმარება დოკუმენტის გაგებაში. სტრატეგია ასევე პასუხისმგებლობას აკისრებს სხვა აქტორებს – სკოლებს, მშობლებს, სამთავრობო და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებს, უნივერსიტეტებს, მასწავლებლებს და დამსაქმებლებს. ყველა მათგანის პასუხისმგებლობა ჩაშლილია დონეების მიხედვით.

დოკუმენტის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, სადაც დეტალურადაა ასახული, თუ რა გამოწვევები დგას ქვეყნის წინაშე 2035 წლამდე. მაგალითად, სწავლის შესაძლებლობებსა და ორგანიზებასთან დაკავშირებით (პირველი მიზანი) არსებული გამოწვევები:

- მთავრობას, ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების საკითხი ბუნდოვანია. ეს აფერხებს სკოლების ქსელების რეორგანიზაციის პროცესსა და სასკოლო მენეჯმენტს. (შენიშვნა: უნდა აღინიშნოს, რომ სკოლები ესტონეთში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის „საკუთრებაა“. არსებობს სკოლები, რომელთა დამფუძნებელიც პირდაპირ სახელმწიფოა, თუმცა მათ უმრავლესობის „მეპატრონე“ ადგილობრივი ხელისუფლებაა. სწორედ ისაა პასუხისმგებელი სკოლის განვითარებაზე როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სწავლა-სწავლების თვალსაზრისით. სკოლის დირექტორსაც ადგილობრივი ხელისუფლება არჩევს).
- სკოლის სავალდებულო კლასების დახურვის შემდეგ სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი მოზარდ ბიჭებში განსაკუთრებით მაღალია, გოგონებთან შედარებით. ასევე დაწყებითი განათლების დასრულების შემდეგ ბიჭების მაჩვენებელი ჩამოუვარდება გოგონებისას. ეს განპირობებულია არა მათი შესაძლებლობების, არამედ სწავლისადმი დამოკიდებულების გამო.
- სკოლამდელი და ზოგადი განათლების ხარისხის შეფასება არ არის სისტემური. გარე და შიდა შეფასების შედეგები არ შეესაბამება ერთმანეთს. მოქნილი, ხარისხიანი შეფასების ჩარჩო უწყვეტ განათლებასთან მიმართებით არ იძლევა განათლების ხარისხის შეფასების შესაძლებლობებს.
- უმაღლეს განათლებაში ინგლისურ ენაზე სწავლების წილი გაიზარდა ესტონურთან შედარებით და სხვ.

სასწავლო გარემოსა და მასწავლებლებთან მიმართებით გამოწვევები მრავალფეროვანია, მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

- რუსულენოვან სკოლებში შემაშფოთებელია მასწავლებლების ცოდნის დაბალი დონე ესტონურ ენაში. ასევე ენის სწავლებასთან დაკავშირებული მიდგომები არასრულყოფილია.
- სადოქტორო განათლება ესტონელი სტუდენტებისათვის არ არის მიმზიდველი მისი ხარისხის გამო. დაბალია იმ აკადემიური პერსონალის ანაზღაურება, ვინც ჩართულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.

განათლების სტრატეგიის ძირითადი მიზანია ესტონეთის მოსახლეობის აღჭურვა იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით, რომლებიც, თავის მხრივ, ეხმარება ადამიანებს პოტენციალის რეალიზებაში – პირად, პროფესიულ და სოციალურ ცხოვრებაში და წვლილი შეაქვს როგორც ესტონეთში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში, ისევე გლობალურ მდგრად განვითარებაში.

- არ არსებობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების მოდელი, რომელიც მოიცავს კომპეტენციას პროფესიული კვალიფიკაციის დონეების მიხედვით.

- გამოწვევები განათლების, საზოგადოებისა და დამსაქმებლების სექტორებთან მიმართებით: უნივერსიტეტსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობა სუსტია და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელი არასრულყოფილია. დამსაქმებლების წვლილი პროფესიული და უმაღლესი განათლების განვითარებაში არასაკმარისია.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების ჩართვა განათლების სხვადასხვა საფეხურზე ჯერ კიდევ რჩება გამოწვევად. მათი ტრანსფერი დასაქმების ბაზარზე არასათანადოდ მხარდაჭერილია.
- ციფრული განათლებისა და ტექნოლოგიური უნარების დონე ყველა ასაკობრივ კატეგორიაში დასახვეწია.

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის დოკუმენტში სამივე მიზანს ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი ახლავს. თუმცა ძლიერ მხარეებთან მიმართებით საჭიროებები უფრო მეტადაა წარმოდგენილი. ამ სტატიაში მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე მწვავე განვიხილეთ, რაც იმის დადასტურებაა, რომ სისტემა არ გაურბის პრობლემებზე ხმამაღლა საუბარს და მზადაა, 2035 წლამდე მათ გადაჭრაზე იმუშაოს. ძლიერი და სუსტი მხარეების ნაწილში ყველა წინადადებას თან ახლავს მონაცემების დიდი ბაზა, რომელიც ზურგს უმყარებს მიზანს, ინდიკატორსა და მისაღწევ აქტივობას.

სტრატეგიული მიზნის ინდიკატორები დოკუმენტში შეფასებულია პროგრესის მიხედვით, 2019 წლიდან, და დასახულია 2035 წლამდე გასაუმჯობესებელი რაოდენობრივი მაჩვენებელი. ასევე მოცემულია აუცილებლად გასათვალისწინებელი აქტივობების ჩამონათვალი.

სტრატეგიის მენეჯმენტისა და იმპლემენტაციის ნაწილში ასახულია პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულებების საკითხები, განსაზღვრულია შესრულებაზე, მონიტორინგსა და მენეჯმენტზე პასუხისმგებელი ორგანოები. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ანგარიშვალდებულება ვრცელდება როგორც მთავრობაზე, ასევე სოციუმზე. კომისია მუდმივად აფასებს, როგორ მიმდინარეობს სტრატეგიის განხორციელების პროცესი. კომისიის წევრები არჩეული არიან საზოგადოების ფართო ჩართულობით. მათ შორის არიან სხვადასხვა ასოციაციების, გაერთიანებების, სამინისტროს, მთავრობის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლები.

სტრატეგიის შუალედური შეფასება ხდება მის დასრულებამდე, სულ ცოტა, ორჯერ და ბოლო შეფასება – არა უგვიანეს 2032 წლისა. შეფასების შედეგები გამოქვეყნდება საჯარო განხილვისათვის.

შენიშვნა: სტატია მომზადებულია ტალინის უნივერსიტეტის პროგრამის „საგანმანათლებლო ლიდერობა და ინოვაცია“ ფარგლებში მიღებული გამოცდილებისა და მასალების გათვალისწინებით. მხარდაჭერისათვის ავტორი მადლობას უხდის ტალინის უნივერსიტეტის პროფესორს, ევე აიზენშმიდტს და საერთაშორისო ექსპერტს, პეტერ მეჰისტოს.

გიტა თვალაბეიშვილი

პიროვნული განვითარება და მე-კონცეფცია სადამრიგებლო საათისთვის

ერთ-ერთი გაკვეთილის დაგეგმვისას სტუდენტმა თქვა, რომ სამოქალაქო განათლების მიმართულებით ლიტერატურის გაცნობისას დაამახსოვრდა „კარგი ვაშლების“ აქტივობა, რომელიც თეორიულად ძალიან მოეწონა, თუმცა პრაქტიკულად როგორ შეიძლებოდა მისი განხორციელება საგაკვეთილო პროცესზე – ეს მისთვის ამოცანად რჩებოდა. რადგან სიახლეების გაცნობა და გამოცდა ჩემი მოსწავლეების საყვარელი საქმიანობაა, გადავწყვიტე, ეს საგაკვეთილო პროცესისთვის მომერგო და აქტივობა კლასის საათზე გამომეყენებინა.

დამრიგებლებისთვის კლასის საათი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოვალეობაა. მას დაწყებით კლასებში კვირაში ორჯერ ვატარებთ. მისი ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კი გახლავთ პიროვნული და მორალური განვითარება – მე – პიროვნება, სოციუმი ჩემ გარშემო, ურთიერთობა თანატოლებსა და უფროსებთან, ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, ეტიკეტი.

ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეორე ადამიანთან ახლო, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. მეგობრობისა და თანამშრომლობის წყალობით, ბავშვები სწავლობენ სოციალურ ნორმებს და ივითარებენ ურთიერთობისთვის საჭირო უნარებს. 11-12 ასაკის ბავშვებში აქტუალური ხდება მცირე სოციალური ჯგუფების მეგობრობა. ამ ჯგუფებში ერთიანდება რამდენიმე ბიჭი და გოგო, რომლებიც სისტემატურად არიან ჩართულნი რაღაც საქმიანობებში. ხშირად ხდება, რომ ზოგი ბავშვი კლასიდან გარიყული აღმოჩნდება ხოლმე, რაც საფრთხეს უქმნის სოციალურ გარემოში მათ ჯანსაღ ადაპტაციას.

სამეგობრო წრიდან გარიყულნი სწორედ ის ბავშვები აღმოჩნდებიან,რომლებიც ან აგრესიულობით გამოირჩევიან, ან ზედმეტი სიმორცხვით. გარიყვისა და მუდმივი იმედგაცრუების გამო აგრესიულები უფრო მეტად აგრესიულები ხდებიან, მორცხვი და მშფოთვარე ბავშვები კი – მუდმივი თავდასხმის ობიექტები.

ბავშვის მდგომარეობა კლასში თვითდარწმუნებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, მარტოობა, სოციალური შფოთვა და იზოლაცია მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე შემდეგნაირად აისახება: გარიყული ბავშვები საკუთარ წარუმატებლობას მეტად მიაწერენ გარემო ფაქტორებს, ვიდრე ჯგუფებში გაერთიანებული ბავშვები.

ჯგუფი არის იმ ბავშვების შედარებით მყარი ერთობა, რომლებიც მუდამ ურთიერთობენ ერთმანეთთან და იზიარებენ ღირებულებებს. ჯგუფს აქვს ნორმები, რომლებიც გავლენას ახდენს თითოეულ წევრზე. ჯგუფის წევრებს გარკვეული სტატუსიც გააჩნიათ, ზოგი ლიდერია, ზოგი კი მას ემორჩილება. თუმცა 6-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვების ჯგუფს არ ახასიათებს ძალიან მკაცრი ნორმები და განაწილებული როლები. უკვე 11-12 წლის ასაკიდან ჯგუფში წესების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი ხდება.

როგორ შეიძლება დავეხმაროთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ჯანსაღი კომუნიკაციის უნარის განვითარებაში?

სახლის უსაფრთხო გარემოდან მოსული ბავშვისთვის

წარმოუდგენელია პოზიტიური მე-კონცეფციის ჩამოყალიბება, თუ მშობელი და მასწავლებელი მოსწავლეს პატივისცემით არ ეპყრობა. ბავშვი მაშინ გრძნობს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას, როცა უფროსი გარკვეულ მოვლენაზე მისი მოსაზრებით ინტერესდება. ბავშვისადმი პატივისცემა მაშინაც ვლინდება, როდესაც მასწავლებელი „იარლიყებს“ არ აწებებს მოსწავლეებს და სახელებით მიმართავს.

მეტად მნიშვნელოვანია ახალ „ოჯახთან“ – კლასთან შერწყმა და მასთან ერთიანობის განცდა. ხშირად ბავშვისთვის „არასასურველი ქცევა“ გამოწვეულია იზოლაციით და მარტოობის განცდით. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ასოციალური ქცევით ცდილობს ყურადღების მიპყრობას. იმისთვის, რომ ბავშვმა თავი არ იგრძნოს იზოლირებულად, საჭიროა, რომ მან მიიპყროს ყურადღება თავისი „პირადი ისტორიით“ – თუ ვინ არის იგი, ვინ არიან მისი ოჯახის წევრები, რა არის მისი საყვარელი საქმიანობა, ინტერესი, რა გამოსდის კარგად. ამიტომ ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს თვითპრეზენტაციის უნარის განვითარებაზე, გამოყოს დრო, როდესაც მოსწავლეები შეძლებენ ისაუბრონ საკუთარ თავზე ან რაიმე მოვლენაზე. ასეთ დროს მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს აქტიური მსმენელის როლში.

იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ თავზე საუბარი, აუცილებელია, მასწავლებელმა ხაზი გაუსვას თითოეულის უნიკალურობას. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს მოსწავლეებში დადებითი მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. ამისთვის საჭიროა, მივიღოთ ისინი ისეთები, როგორებიც არიან. შესრულებულ აქტივობებზე უკუკავშირის მეშვეობით, გამოვკვეთოთ როგორც ძლიერი, ასევე განსავითარებელი უნარები.

წარმოუდგენელია პოზიტიური მე-კონცეფციის ჩამოყალიბება, თუ მშობელი და მასწავლებელი მოსწავლეს პატივისცემით არ ეპყრობა. ბავშვი მაშინ გრძნობს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას, როცა უფროსი გარკვეულ მოვლენაზე მისი მოსაზრებით ინტერესდება. „რა გვასწავლა ამ შემთხვევამ, შენი აზრით?“, „რა იგრძენი, როცა მოისმინე/უყურე?“ მე-კონცეფციის სწორად ჩამოყალიბების, საკუთარი თავის შეცნობისა და თვითპრეზენტირების უნარების განვითარების მიზნით დაიგეგმა სადამრიგებლო საათი მეოთხე კლასში, სადაც მოწვეული გვყავდა მშობლებიც. ისინი ბავშვებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ საგაკვეთილო პროცესში.

აქტივობა 1. მოკლე **ანიმაციური ვიდეოფილმის** ჩვენება და დისკუსია;

მიზანი: ბავშვებსა და მშობლებს დაენახათ, რომ ირგვლივ მრავალი განსხვავებული ადამიანია/ბავშვია, განსხვავებული ქცევებითა და მანერებით, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს ცუდს.

ფილმის ჩვენების შემდეგ სადისკუსიო კითხვები:

- რა მოგეწონათ ანიმაციაში? რა არ მოგეწონათ?
- როგორ ფიქრობთ, სწორად იქცეოდნენ მშობლები? ბავშვები?
- ეთანხმებით უხუცესების გადაწყვეტილებას?
- რა გზავნილია ამ მედიარესურსში ჩადებული, რისი თქმა სურთ, თქვენი აზრით, მის შემქმნელებს?

აქტივობა 2. მსგავსება თუ განსხვავება?

მიზანი: ერთმანეთში მსგავსება-განსხვავების აღმოჩენა, მისი მნიშვნელობის გაზიარება, ჯგუფის შეკვრა.

მასწავლებელი კლასს სთავაზობს ჯგუფებად დაყოფას. ჯგუფების ადგილად შეიძლება გამოიყოს საკლასო ოთახის კუთხეები და მოსწავლეები ასე განაწილდნენ, ან უბრალოდ ხელი აიწიონ. მაგალითად, გადანაწილდით კუთხეებში იმის მიხედვით, ვინც ზაფხულშია დაბადებული, ან ზამთარში და ა.შ. ხელი აიწიეთ, ვისაც უყვარს ნაყინი, ხატვა. მასწავლებელი ასახელებს ისეთ თვისებებს, რომლებიც, მისი აზრით, კლასის უმრავლესობისთვის საერთოა.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, დახატონ ადამიანი ცისფერი თვალებითა და ხვეული თმით. დასრულების შემდეგ საილუსტრაციოდ ნახატებს ამაგრებს დაფაზე. სთხოვს მათ, დააკვირდნენ, ჰგავს თუ არა მათი ნამუშევრები ერთმანეთს. მოსწავლეთა ნამუშევრები, ბუნებრივია, განსხვავდება ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ ორი მახასიათებელი ყველასთვის საერთო იყო. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- რა აჯობებდა, რომ ყველა ნამუშევარი ზუსტად ერთნაირი ყოფილიყო თუ განსხვავებული?
- როგორ ფიქრობთ, კარგია, რომ ჩვენ ყველას განსხვავებული თვისებები ან გარეგნობა გვაქვს?
- ყველა ზუსტად ერთნაირები რომ ვიყოთ, რა სირთულეს წავაწყდებოდით?

აქტივობა 3. **მედიარესურსის** ჩვენება და შესაბამისი დისკუსია;

მიზანი: მშობლებს ესაუბრეთ მედიარესურსში გაჟღე-

რებულ გზავნილზე, რომ მნიშვნელოვანია, შვილებში ამოვიცნოთ, რა არის მათი სიხარულის მიზეზი და დავეხმაროთ მათ ბედნიერების პოვნაში.

მედიარესურსისთვის განკუთვნილი სადისკუსიო კითხვები:

- რა მოგეწონათ ანიმაციაში? რა არ მოგეწონათ?
- როგორი იყო თავდაპირველად პერსონაჟი? როგორ შეიცვალა ის?
- რამ გამოიწვია, თქვენი აზრით, ბავშვის ასეთი ცვლილება?
- როგორ ფიქრობთ, სწორად იქცეოდა მამა ფილმის დასაწყისში/ბოლოს? რატომ?
- რა გზავნილია ამ ვიდეოში ჩადებული? რისი თქმა სურთ, თქვენი აზრით, მედიარესურსის შემქმნელებს?

აქტივობა 4. დაამყარე კავშირები

მიზანი: მედიაგზავნილების კავშირების აღმოჩენა გარესამყაროსთან, სხვა ფილმებთან/ წიგნებთან და პირად გამოცდილებასთან; მოსწავლეთა მოტივაციისთვის და გარკვეული მიმართულებისთვის მასწავლებელს თავად შეუძლია წინასწარ ჰქონდეს მომზადებული რაიმე სახის მასალა საჩვენებლად. ეს ბავშვების ფიქრისთვის ერთგვარი ბიძგი იქნება.

გარესამყარო – აქ მოვიყვანეთ თომას ალვა ედისონის ძალიან ცნობილი ისტორია, როცა მას გონებრივად ჩამორჩენილი უწოდეს სკოლაში, ხოლო მშობლის დახმარებით ის მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერი და გამომგონებელი გახდა.

გავიხსენეთ ალბერტ აინშტაინი, რომელსაც დისლექსია დაუდგინეს და ბავშვობაში არცთუ ისე კარგად სწავლობდა, თუმცა საკუთარ თავში იპოვა ძალა, შესაძლებლობა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფიზიკოსი გახდა.

აქვე წავიკითხეთ მისი ცნობილი გამონათქვამი: **„ყველა ჭკვიანია, მაგრამ თუ თევზს განვსჯით იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა ხეზე ასვლა, დავიჯერებთ, რომ ის სულელი და უნიჭოა“**, და ლინდა მალალა ჰანდის გამორჩეული წიგნი „თევზი ხეზე“, რომელსაც ეს აზრი ლაიტმოტივად გასდევს.

მივუთითე არნე სვინგენის „ბალადა გატეხილ ცხვირზეც“. წაკითხული არავის ჰქონდა, თუმცა დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა შინაარსმა და მშობლები დამპირდნენ, რომ აუცილებლად წაიკითხავდნენ შვილებთან ერთად.

ცოტათი **კინემატოგრაფიასაც** შევეხეთ და ვნახეთ ნაწყვეტები ფილმებიდან „მე მქვია ენი“ (განსხვავებულობის საოცარი მაგალითი), „ვარსკვლავები დედამიწაზე“ და „ბილი ელიოტი“, სადაც მთავარი გმირები სწორედ დაკვირვებული მასწავლებლების წყალობით აღმოაჩენენ საკუთარ თავში იმ ღირებულებასა თუ ინტერესს, რაც შემდეგში მათ ცხოვრებას დადებითად შეცვლის.

მშობლებმა პირადი გამოცდილებიდანაც ბევრი მაგალითი გაიხსენეს, როგორ აღმოაჩინეს საკუთარ თავში ნიჭი და მისწრაფებები, თუმცა გარკვეული ფაქტორების გამო მათი განვითარება ზოგმა შეძლო, ზოგს კი არ გამოუვიდა.

ბავშვებს და მშობლებს აქვე მივეცი სარეკომენდაციო ფილმებისა და წიგნების ბარათები, რომლებსაც აუცილებლად ერთად გაეცნობოდნენ და იმსჯელებდნენ მათ მთავარ სათქმელზე.

აქტივობა 5. ვაშლები და ვარსკვლავები

მიზანი: ბავშვები გაიგებენ, რომ ადამიანები რაღაცით ერთმანეთს ჰგვანან და ამავდროულად, განსხვავდებიან კიდეც; რომ ადამიანთა განსხვავებულობა დადებით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ეს განსხვავებები კი ადამიანთა ცხოვრებას ფასეულს ხდის.

მასალა: თითო ვაშლი ყოველი მოსწავლისათვის (ასევე დამატებითი 2-3 ვაშლი).

ვაშლები უნდა იყოს სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის. ასევე კარგი იქნება, თუ შევარჩევთ განმასხვავებელი თავისებურებების მქონე ვაშლებს – ფოთლები, ნაოჭები და ხაზები, ლაქები და დაჟეჟილი ადგილები. მჭრელი დანა.

უთხარით მოსწავლეებს, რომ გსურთ, დაადგინოთ ადამიანთა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

დაალაგეთ ვაშლები მოსწავლეების წინ მაგიდაზე. აარჩევინეთ ყოველ მათგანს თითო ვაშლი.

სთხოვეთ, დააკვირდნენ და განსაჯონ, კარგია თუ არა მათ მიერ არჩეული ვაშლი. შესთავაზეთ, ყურადღება მიაქციონ ვაშლის სპეციფიკურ თავისებურებებს. დაავალეთ, შეადგინონ პატარა ამბავი საკუთარ ვაშლზე და უამბონ მეგობარს. სთხოვეთ, ამბები მთელ კლასს გააცნონ. უთხარით, რომ ვაშლები მაგიდაზე დაბრუნონ. ვაშლები აურიეთ და სთხოვეთ მოსწავლეებს საკუთარი ვაშლის მოძებნა. როდესაც ადგილებზე დაბრუნდებიან, ჰკითხეთ, როგორ გამოიცნეს საკუთარი ვაშლი (ისინი აუცილებლად ისაუბრებენ ფერზე, ფორმაზე, ზომასა და განსაკუთრებულ თავისებურებებზე). ჰკითხეთ, რა საერთო აქვს ამ ყველაფერს ადამიანებთან. სთხოვეთ, ჩამოთვალონ, რით განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისაგან. იმსჯელეთ, რატომ არის ეს განსხვავება მნიშვნელოვანი.

გაკვეთილის შეჯამება: შესთავაზეთ გარკვეული დასკვნა ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებისა და მსგავსების მნიშვნელობის შესახებ. უთხარით, რომ ადამიანებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი საერთო ნიშანია ვარსკვლავი, რომელიც მათ შიგნით არსებობს – რაღაც განსაკუთრებული, რაც შიგნიდან ასხივებს და მათ ყველაზე მეტად მოსწონთ საკუთარ თავში. სწორედ ასევე ყოველ ვაშლს აქვს შიგნით ვარსკვლავი. გაჭერით ყოველი ვაშლი ნახევრებად, მაგრამ არა ჩვეული წესით – სიგრძეზე, არამედ სიგანეზე. დაიხმარეთ მშობლები. დაანახეთ თითოეულ ბავშვს ვარსკვლავი თავიანთი ვაშლის შიგნით. სანამ ბავშვები ვაშლს მიირთმევენ, სთხოვეთ, მოიფიქრონ და შემდეგ დაწერონ საკუთარი ვარსკვლავის – საკუთარი ღირსებებისა და ინდივიდუალურობის შესახებ.

www.mastsavlebeli.ge



საგანმანათლებლო პროცესი ცოცხალი პროცესია, გამუდმებულად ვითარდება. შესაბამისად, ვითარდება და იცვლება მოსწავლეთა დამოკიდებულებაც სწავლისა და სწავლების მიმართ. რა თქმა უნდა, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული და ამაზე ლაპარაკი ახლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ერთ რამეზე მინდა, შევაჩერო ყურადღება: მოსწავლეებს გამუდმებით უკვირთ და აინტერესებთ, რაც ხდება, რატომ ხდება; რასაც სწავლობენ, რატომ სწავლობენ. და ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავალ თაობას რაც შეიძლება ბევრ კითხვაზე გავცეთ პასუხი (თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ ამის მერე გაჩნდება ახალი შეკითხვები). ლიტერატურაც დიდწილად იმისთვისაა, რომ, ესთეტიკური სიამოვნების მიღების გარდა, ამ კითხვებსაც გასცეს პასუხი...

თუმცა, ახლა ლიტერატურაზე არ ვსაუბრობ, გრამატიკულ წესებში გამონაკლისებს ვგულისხმობ.

გავიხსენოთ თუნდაც ხარისხის ფორმები. როგორ იწარმოება ისინი? გრამატიკის სახელმძღვანელოებში დაახლოებით ამდაგვარ განმარტებებს წავაწყდებით:

„ვითარებით ზედსართავ სახელს ხარისხის სამი ფორმა აქვს: დადებითი (შავი), ოდნაობითი (მო-შავ-ო) და უფროობითი (უ-შავ-ეს-ი). ოდნაობით ხარისხს აწარმოებს მო – ო თავსართ-ბოლოსართი და გამოხატავს თვისებას ძირეულ ზედსართავ სახელზე ნაკლები ოდენობით. უფროობით ხარისხს აწარმოებს უ – ეს თავსართ-ბოლოსართი და აღნიშნავს თვისებას იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ძირეული ზედსართავი სახელი“.[1]

წესები გამონაკლისების გარეშე თითქმის არ არსებობს. ასეა ცხოვრებაში, ასეა გრამატიკაში.

შესაბამისად, ამ თეორიასაც, ხარისხის ფორმების წარმოებასთან დაკავშირებით, იქვე დართული აქვს ასეთი სახის შენიშვნაც (გამონაკლისების შესახებ):

„შენიშვნა:

-ელ და -ილ სუფიქსიან ზოგიერთ ზედსართავ სახელს ხარისხის წარმოებისას შორდება ეს დაბოლოება: გრძ-ელ-ი მოგრძ-ო უ-გრძ-ეს-ი, ტკბ-ილ-ი მო-ტკბ-ო უ-ტკბ-ეს-ი.

რამდენიმე ზედსართავი სახელი ხარისხის გამოსახატავად იყენებს სხვა ფუძეს: კარგი უკეთესი (ოდნაობითის მნიშვნელობით; ამოსავალია „კეთილი“), ცუდი უარესი (ოდნაობითის მნიშვნელობით)...

„ფერის“ შემცველი ზედსართავი სახელები სხვა ხარისხის ფორმით კუმშვადია: ცისფერი მოცისფრო“.

-ილ და -ელ დაბოლოება რომ ხარისხის ფორმის წარმოებისას ამოვარდება, ეს მარტივად გასაგებია ბავშვებისთვის, თანაც ასეთი ფორმა მრავლადაა.

სხვა საქმეა, როცა ხარისხის ფორმების განსხვავებულ წარმოებაზე ვსაუბრობთ: კარგი – უკეთესი, ცუდი – უარესი, პატარა – მომცრო – უმცირესი...

ალბათ, თქვენც გეკითხებიან მოსწავლეები, რატომ, მასწ?

საკითხის ასახსნელად რამდენიმე საუკუნით მოგვიწევს უკანდახევა: ძველ ქართულ ლექსიკურ მარაგში სიტყვა „კარგი“ არ არსებობდა, მის ნაცვლად იყენებდნენ „კეთილს“: „თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი. და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ“ (შდრ.: „თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. და ნახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო“) (დაბადება 1,3-4). კეთილის აღსანიშნავად ძველ ქართულში სიტყვა „სახიერი“ გამოიყენებოდა. მოგვიანებით ეს სიტყვა ღმერთის ეპითეტად გადაიქცა და საჭირო გახდა მისი ჩანაცვლება. ასე შეიცვალა დატვირთვა სიტყვა „კეთილმა“, მაგრამ მისი ხარისხის ფორმა „უკეთესი“ არსად არ წასულა...

და ცუდი და უარესი?

ისევ კითხვა: რატომ, მასწ?

ისევ რამდენიმე საუკუნით უკან დავბრუნდეთ: ძველ ქართულში სიტყვა „ცუდი“ ტყუილუბრალოს, ამაოს აღმნიშვნელი იყო, თანამედროვე გაგებით ცუდს კი სიტყვა „ავი“ შეესაბამებოდა („ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა...“). შესაძლოა, ის ავის უფროობითი ხარისხის ფორმა იყოს, თუმცა ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს...

პატარა – მომცრო – უმცირესი? ისევ: რატომ, მასწ?

ისევ ძველი ქართული მოვიშველიოთ: პატარა დიალექტური ფორმაა და ის მოგვიანებით დამკვიდრდა საელიტერატურო ენაში, მანამდე კი ამ მნიშვნელობით სიტყვა „მცირე“ გამოიყენებოდა (ჩვენს მოღვაწეებსაც ხომ ასე მოიხსენიებდნენ: ეფრემ მცირე, გიორგი მცირე...). მომცრო და უმცირესიც სწორედ ამ სიტყვის ხარისხის ფორმებია...

რა თქმა უნდა, ამ წერილით ახალი არაფერი მითქვამს. უბრალოდ, ჩვენი საჭიროებები ვახსენე, ყოველთვის რომ გვიწევს შეხება, ყოველთვის რომ გვიწევს ახსნა და ვიფიქრე, აქვე იყოს-მეთქი, შორიახლოს... თორემ კიდევ ბევრი საკითხია (და არა მარტო გამონაკლისი), რომლებზეც მოსწავლეები დაუსრულებლად დაგვისვამენ კითხვას: რატომ, მასწ?..

[1] https://grammar.emis.ge/exercisedetails/250

ნასტასია არაბული

როგორ შევინახოთ მოგონებები

ხშირად გამიგონია ფრაზა, რომ სხვების შვილები სწრაფად იზრდებიან, ჩვენები – ნელა. თინეიჯერობას მიღწეული ორი შვილის ყურებისას არ მტოვებს განცდა, რომ საკუთარი შვილებიც ძალიან სწრაფად იზრდებიან და იმის გააზრება, რომ მალე მათ ცხოვრებაში ჩემი ჩართულობის საჭიროება უფრო და უფრო ნაკლები იქნება, ჯერ კიდევ მასევდიანებს. არაფერი სჯობს იმის ყურებას, როგორ ხდებიან პატარა ადამიანები დამოუკიდებელი პერსონები, თუმცა ამ პროცესის პარალელურად თავს არ მანებებს ფიქრები, რომ უნდა მოვასწრო, სანამ ყველა აქტივობაში ჯერ კიდევ ერთად ვართ ჩართულები, სანამ ამბებს მიყვებიან და მათთვის თავგადასავლების მოწყობა ჩემი საქმეა, ამ დროით უნდა ვისარგებლო: მეტი მოგონება შევქმნათ და დავიმახსოვროთ. ხომ, დამახსოვრებაც საქმეა.

თავიდან, როცა დამწყები დედა ვიყავი, მეგონა, რომ სულ მემახსოვრებოდა მათი ინტერპრეტირებული სიტყვები, ფრაზები, სიზმრები, მაგრამ ფუჭი აღმოჩნდა ჩემი იმედები. დრო ბევრ ამბავს შლის.

აღმოჩნდა, რომ ბავშვობის ყველაზე ცოცხალი მოგონებები ადამიანების უმეტესობისთვის ისეთი ბანალური რამეებია, როგორიცაა კბილის ექიმთან პირველი ვიზიტი, არდადეგები, დაბადების დღის წვეულებები, სკოლის პირველი დღე, დაშავების შემთხვევები, კბილის მოცვლა, საშობაო საჩუქრები, დაჭერობანას თამაში და მშობლებთან ერთად ხარისხიანად გატარებული დრო. ყოველდღიურობაში პატარა სიხარულების პოვნა და დაუვიწყარი ამბების მოწყობა ადვილი საქმე არ არის, თუმცა ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ლაღი ბავშვობა და ამ დროის ემოციები და მოგონებები დიდწილად განსაზღვრავს იმას, როგორი იქნება ცხოვრება ზრდასრულობისას. ხშირად საკუთრივ ამბებზე მეტად ემოციები და შეგრძნებები გვამახსოვრდება, რაც სხვადასხვა დროს გაგვჩენია.

მე, მაგალითად, ჩემი ბავშვობიდან განსაკუთრებით ტკბილად „მეორეხარისხოვანი პერსონაჟები“ მახსოვს – მოხუცი ბებიები სამეზობლოებიდან: მათმა ნაწილმა „შელოცვები“ იცოდა, ზოგი ყველაზე მშიერ წლებშიც ორცხობილებით და მცენარეული ჩაით მიმასპინძლდებოდა, ზოგი ისე ქსოვდა და ქარგავდა, მათ ყურებას არაფერი სჯობდა; ერთი იყო, ისე ხმამაღლა იცინოდა და ისე მოურიდებლად იგინებოდა, ყოველ ჯერზე გაოგნებულს მტოვებდა. ამ დრომდე ცოცხალია პატარა ქალების, სოფლების ბიბლიოთეკებში გატარებული დღეებისა და იქ აღმოჩენილი უცნობი წიგნების პოვნის სიხარულის შესახებ მოგონებები. საახალწლო საჩუქრებიც მახსოვს, რომლებიც ძირითადად ჩვენი იმყამინდელი ხელმოკლე ცხოვრების საუკეთესო ილუსტრაციები იყო და მამასთან ერთად მაღალ მთებსა თუ დაბურულ ტყეებში ლაშქრობებიც. არც კი ვიცი, ეს ლაშქრობები უფრო ძვირფასია თუ ის დღეები, როცა მარტო სადმე წასვლის ნებართვას მოვიპოვებდი ხოლმე და საკუთარი გულისცემა უფრო ხმამაღლა მესმოდა, ვიდრე მთის მდინარეების ხმაური – ძვირფასია ის შეგრძნება, რაც სახლში უვნებლად დაბრუნებულს გაქვს. ჩემი ამბების გახსენებისას არ მტოვებს განცდა, რომ ორ ათეულ წელიწადში, რაც ჩემი და ჩემი შვილების ბავშვობებს აშორებს ერთმანეთისგან, განუზომლად შემცირდა ბუნებაში გატარებული დრო ოჯახებისთვის და შემაწუხებლად გაიზარდა ციფრული გაჯეტების კონცენტრაცია.

მოგონებების შექმნისა და არქივირებისას ვცდილობ ხოლმე, რომ ბუნებასთან სიახლოვეც შევინარჩუნო და ტელეფონიც ნაკლებად გამოვიყენო. აი, რამდენიმე ხრიკი, რაც წლების განმავლობაში გამოვიმუშავე:

- სეირნობის შემდეგ სახლში მოგვაქვს ყვავილები, ფოთლები, ნიჟარები, ზოგჯერ ტოტებიც და სხვადასხვა სახელოვნებო პროექტისთვის ვიყენებთ – ჩემი ფავორიტი თიხაზე ანაბეჭდების გადატანაა.

- საღამოობით, ძილის წინ წიგნის კითხვისას ხატავენ, ილუსტრაციებს და სკეტჩებს აკეთებენ ან შემხვედრ შთამბეჭდავ სიტყვებს და ფრაზებს იწერენ – წლების შემდეგ ამ ნახატებით გავსებული წიგნაკების დათვალიერება დროში მოგზაურობას ჰგავს და უფრო სახალისოა, ვიდრე საოჯახო ფოტოალბომის თვალიერება, სადაც უცნობი ადამიანების ფოტოები სჭარბობს ნაცნობი ნათესავების ფოტოებს.
- ტელეფონით ფოტოების გადაღების ნაცვლად, თუკი სეირნობისას ბევრი დრო გვაქვს ან უცხო ქალაქში ვართ, ვიმახსოვრებთ ხედებს, არქიტექტურას და ლანდშაფტებს. ასე მეტი დრო გვაქვს დეტალების აღსაქმელად, დასვენებისთვის, ფიქრისთვის.
- ფოტოებს მოგზაურობისას ფირის კამერით ვიღებთ – სახლში დაბრუნებულებისთვის ამ ფირების გამჟღავნება ერთი სიხარულია. ათასი წვრილმანი გვახსენდება, რაზეც მაშინ ყურადღება არ მიგვიქცევია.
- ლაშქრობების რუკებს ვაკეთებთ და ვადარებთ, როგორ იზრდება წლიდან წლამდე გავლილი მანძილი და თავგადასავლები.
- ვუშვებთ გამონაკლისებს – ღამე ვმგზავრობთ მეტროს ცარიელი ვაგონებით ან განსაკუთრებით ცივ დღეებში ნაყინის საჭმელად ვსტუმრობთ სანაყინეს. ზოგჯერ მეგობრებს ვიტოვებთ ღამისთევით, ზედიზედ ვუყურებთ რამდენიმე ფილმს ან ვუსმენთ ერთი მომღერლის ყველა სიმღერას, რისი პოვნაც შეიძლება.
- ჩვენ საკუთარ ტრადიციებს ვქმნით – მეგობრებისთვის ხელნაკეთ საჩუქრებს ვამზადებთ, ახალ სეზონს ახალი ფლეილისტით ვხვდებით, სიმღერებს გამოგონილ ისტორიებს „ვაწებებთ“, თვის ყოველ პირველ კვირა დღეს ჯანმრთელი სასუსნავების დღედ ვაცხადებთ და ჩვენი ხელით ვაცხობთ და ვა-

კეთებთ სახრამუნოებს და ტკბილეულს.

- სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ წიგნაკში ვიწერ განსაკუთრებით დასამახსოვრებელ რეპლიკებს, ფრაზებს, კითხვებს.



- ვქმნით და ვინახავ „დოკუმენტურ მასალას“ – ბავშვების დაწერილი სიმღერების აუდიოჩანაწერებს, ნახატებს, დღიურებს, თოვლის ბაბუისთვის თუ ერთმანეთისთვის მიწერილ წერილებს – ერთ დღეს, უკვე გაზრდილებმა, შეიძლება ეს ყველაფერი ხელის ერთი მოსმით გადაყარონ, მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

ბოლოს კი სოლიდარობა და ჩემი გულის ნაწილი ყველას, ვისი მოგონებების ანაბეჭდებიც ემსხვერპლა ომს, სტიქიას და სხვა უბედურებებს. წლებია, ვერ ვიშორებ სევდას იმ ადამიანების გამო, რომლებიც შესაძლოა ჩემზე ბევჯითად აგროვებდნენ შვილებისთვის დასამახსოვრებელ ამბებს, მეტს წერდნენ, ხატავდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, მოგზაურობდნენ, უყვარდათ და უხაროდათ სიცოცხლე და ერთ დღეს ღია ცის ქვეშ დარჩნენ მოუნელებელი დანაკარგებით. მათზე ფიქრისას ხშირად მითქვამს ბავშვებისთვის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის ცხოვრებაში, რასაც ჩვენი ტვინი და გული იმახსოვრებს, ინახავს და ატარებს. მინდა, ესეც ახსოვდეთ სხვა ამბებთან ერთად, როცა დიდი ქალები იქნებიან და ჩემ გარეშე იცხოვრებენ.

„სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას“.

დიმიტრი უზნაძე

ШОРЕНА ТУЕШЕЛАШВИЛИ

რა არის საშინაო დავალების მიზანი?

იშვიათად, მაგრამ მაინც მიწევს ჩემი შვილების საშინაო დავალებებში გარკვევა, მათთვის დახმარების გაწევა და ორიენტირების დასახვა. ვხედავ, როგორი ინტერესით ან როგორი მოწყენით ასრულებენ ზოგიერთ დავალებას და ზოგჯერ როგორი აღშფოთებულები არიან იმის გამო, რომ ვერანაირ კავშირს ვერ ხედავენ სამეცადინოსა და მის პრაქტიკულ დანიშნულებას შორის.

ვფიქრობ, მოსწავლეს საშინაო დავალება თავგზას არ უნდა უბნევდეს, არ უნდა იყოს მოსაწყენი და მოსწავლე სიხარულით უნდა ასრულებდეს მას. საშინაო დავალების მიზანი უნდა იყოს მოსწავლის შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა. სწავლის საწყისი ეტაპი არ უნდა წარმოადგენდეს დაუძლეველ გზას, რომელსაც მოსწავლე ვერ გაუმკლავდება, მოიწყენს და გზაში მიატოვებს. პირიქით, დავალება იმგვარად უნდა იყოს მოწოდებული, რომ მოსწავლეს მოტივაციას უჩენდეს, ძიების, დაბრკოლებების გადალახვისა და ახალი უნარებისა და ცოდნის გამომუშავების სურვილს უმძაფრებდეს.

ხშირად კი როგორია საშინაო დავალება, რომელიც მოსწავლის გონებრივი შრომის საბოლოო პროდუქტი უნდა იყოს? მოსწავლეებს ისეთი დავალებები ეძლევათ, საფუძველშივე ეკარგებათ ხალისი და ინტერესი. ასეთი დავალებებია: უზარმაზარი პოემები, ლექსები, რომელთა დაზეპირება მათ ძალებს აღემატება, მათი ასაკისთვის შეუფერებელია, იმაზე მეტ დროს ართმევს, ვიდრე საშინაო დავალებამ უნდა წაართვას. მათ სხვა დავალებებიც აქვთ შესასრულებელი და ყოველდღიური შრომის ლიმიტი არ არის უსაზღვრო. იწყება მოწყენა, მობეზრება, ინტერესის დაკარგვა და გაღიზიანება. ამ დროს მოსწავლე, იმის ნაცვლად, რომ ჩაუღრმავდეს ნაწარმოების შინაარსს, გაიაზროს მისი მხატვრული თავისებურებები/ღირებულებები და კავშირი დაამყაროს ნაწარმოებში აღწერილ რეალობასთან, ფიქრობს მხოლოდ იმაზე, როგორ დაისწავლოს ლექსი/პოემა იმგვარად, რომ მეორე დღეს გაკვეთილზე სხაპასხუპით და შეუცდომლად წაიკითხოს.

„რატომ უნდა ვისწავლო ეს ტექსტი ზეპირად, როდესაც სხვა რაღაცებიც მაქვს სამეცადინო? სხვა გაკვეთილებისთვის დრო საერთოდ აღარ მრჩება. ყველაფერი ვიცი, რაც ამ ლექსში წერია, ყველაფერი კარგად გავიგე, ვიცი შინაარსი, ამბავი, რაც ხდება და რატომ დაიწერა. ბიჭები ამ ლექსის გამო სკოლაში მოსვლას არ აპირებენ, იმიტომ, რომ ძალიან დიდია და ვერ ისწავლიან. წინასწარ იცოდე, თუ ორიანს დამიწერს, ეს იმიტომ, რომ ამხელა პოემას არ ვისწავლი ზეპირად“, – სამართლიანი გაღიზიანების კასკადს ვისმენ და ვხვდები, რომ ნამდვილად არასწორია ის მიდგომები, რომლებითაც ვცდილობთ, მოსწავლეებს ზედმეტად ბევრი და ზოგჯერ მართლაც აუტანლად დიდი რაოდენობის ინფორმაცია ჩავუტვირთოთ გონებაში.

ბოლოს მაინც ერთად წავიკითხეთ ტექსტი, ვიმსჯელეთ იქ გადმოცემულ ამბავზე, მოგვეწონა ახალი და მშვენიერი სიტყვები და ვეცადეთ, დაგვემახსოვრებინა, თუმცა იმაზეც დავთანხმდი, რომ პოემას ზეპირად ვერ ისწავლიდა და თუ საჭირო იქნებოდა, მასწავლებელს შინაარსს მოუყვებოდა. მთავარია, შინაარსსა და კონტექსტთან წვდომა, როგორ გავიგეთ ტექსტი შინაარსობრივად, აზრობრივად და ემოციურად.

რა უნდა იყოს საშინაო დავალების მიზანი? რისთვის უნდა განაწყობდეს ის მოსწავლეს? პირველ რიგში, მიზანი უნდა იყოს მოსწავლეების გონებრივი რესურსების მობილიზაცია, მოტივაციის აღმძვრელი და საინტერესო პროექტი, რომელსაც სიამოვნებით დაუთმობენ დროს და გონებრივ რესურსებსაც ჩართავენ მის განხორციელებაში, ისიამოვნებენ პროცესით და ცოდნასაც აიმაღლებენ.

ხშირად ვსვამთ კითხვას: რა არის თანამედროვე განათლების სისტემის საბოლოო მიზანი? როგორი უნდა იყოს განათლება, რომელიც მოსწავლეებისთვის, ჩვენი შვილებისთვის საჭიროა, რომელიც მათ ცოდნის მიმართ ინტერესს და მისი დაუფლების სურვილს აღუძრავს? ვხედავთ, როგორი მოქნილნი არიან ბავშვები თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში და ამ დინამიკურ პროცესს ჩვენზე მეტადაც უწყობენ ფეხს. მათთვის ის უნარები, რომლებიც თანამედროვე სამყაროს მოქალაქეს დასჭირდება, საბაზისო უნარებია, რომლებსაც თამაშ-თამაშით ეუფლებიან. ასეთ აქტიურ, ცნობისმოყვარე მოსწავლეს ისეთი დავალება სჭირდება, რომელიც კიდევ უფრო დააინტერესებს შემეცნების დიდ გზაზე.

„იმის ცოდნა, რას ფიქრობდნენ არისტოტელე, მეფე სოლომონი და თომა აკვინელი პოლიტიკაზე, ხელოვნებასა და ეკონომიკაზე, კარგია, თუმცა, რადგან აზრისა და ძალაუფლების უმთავრესი წყარო თავად ჩვენშია, მთავარი ისაა, ამ საკითხებზე პირადად ჩვენ რას ვფიქრობთ. ბაღის აღმზრდელი, სკოლის მასწავლებელი თუ უნივერსიტეტის ლექტორი ერთნაირად გიპასუხებენ კითხვაზე – რა არის მათი მიზანი?

მე ბავშვებს ისტორიას, კვანტურ ფიზიკას ან ხელოვნებას ვასწავლი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ვცდილობ, ყველა მათგანი დამოუკიდებლად აზროვნებას მივაჩვიო“, – ამოვიკითხე ისრაელელ ფილოსოფოსთან, იუვალ ნოახ ჰარარისთან, რომელიც საკუთარ ნაშრომებში ხშირად მსჯელობს განათლების მიზნებსა და შესაძლებლობებზე.

თანამედროვე მოსწავლე პრაქტიკულია ცოდნის მიღებასთან მიმართებით. პრაქტიკულია იმ გზების მოსინჯვისასაც, რომელმაც ახალ სამყაროში უნდა ატაროს და შესაძლებლობებით აღჭურვოს. ის პრაქტიკულია მაშინაც, როდესაც შეუძლია, გამოარჩიოს სასურველი ცოდნა სხვა ცოდნების ერთობლიობისგან და გადაწყვიტოს, როგორ იშრომოს და რამდენი დრო დახარჯოს მის დასაუფლებლად. საინტერესოა, რას ვფიქრობთ ჩვენ, როდესაც მას რაიმე ახალს და საინტერესოს ვასწავლით? რა არის ჩვენი სწავლების საბოლოო მიზანი?

დაჭექე, ცაო, დაჭექე

უსიცოცხლოო... პირდაპირ ასე დაარქვეს... მონათვლამდე ბევრს ეცადნენ, მისი ზნე და ხასიათი დაედგინათ – იმ დროის მეცნიერების ტიტანებმა, ჰენრი კავენდიშმა, ჯოზეფ პრისტლიმ, კარლ შეელემ, დანიელ რეზერფორდმა და კიდევ, ალბათ, სხვებმა, რომელთა სახელები ისტორიის ქარტეხილებში გაიფანტა. ერთი, რაც დანამდვილებით გაირკვა, იყო ის, რომ უსუნო და უფერო იყო, ჰაერში დიდი რაოდენობით შედიოდა და მის გარემოში სიცოცხლე და ანთებული სანთელი ერთნაირად წყვეტდა არსებობას... ამიტომაც, ნათლობისას ყველა ძველი სახელი – „ფლოგისტირული“, „საზიანო“, „გაფუჭებული თუ მახრჩობელა“ ჰაერი უკუაგდეს და აზოტი („აზოტოს“) უწოდეს. თუმცა გამოხდა ხანი და ვნახეთ, რომ ავჩქარდით ვერდიქტის გამოტანისას. შევცდით, როცა ელემენტს სახელი მისი ერთ-ერთი ნივთიერების მიხედვით დავარქვით. მეცნიერების განვითარებამ აჩვენა, რომ ელემენტი აზოტი სულაც არ არის „უსიცოცხლო“. პირიქით, ნახშირბადის, წყალბადისა და ჟანგბადის ელემენტებთან ერთად, აზოტი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ცოცხალ ორგანიზმებში. დედამიწაზე მის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია, რადგან იგი ცილების, ამინო- და ნუკლეინის მჟავების, ქლოროფილის, ჰემოგლობინის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი და თვისებების განმსაზღვრელი ელემენტია.

მაგრამ ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: თუ ატმოსფეროში გავრცელებული აზოტი ასეთი „ინერტულია“ და არ ურთიერთქმედებს სხვა ნივთიერებებთან, მაშ, როგორღა ხვდება იგი ცოცხალ ორგანიზმებში? დიდი კირკიტისა და ძიების შემდეგ მივაგენით, რომ ნიადაგში მცხოვრებ ზოგიერთ მიკროორგანიზმს შეუძლია, თავის სტომაქში ნივთიერება აზოტი მოინელოს – გახლიჩოს ორი აზოტის ატომს შორის მტკიცე სამმაგი ბმა და მცენარეებს „ელემენტური“ აზოტი მიაწოდოს ამონიუმის ნიტრატის სახით. ეს ბიოქიმიური გზაა აზოტის ნიადაგში მოხვედრის. მეორე გზა წმინდა „ქიმიურია“ და ატმოსფეროში საავდრო ღრუბლების დაგროვებით იწყება. ღრუბლები წყლის მოლეკულებთან ერთად დიდი რაოდენობის მუხტსაც იგროვებენ და როდესაც მუხტის შეკავების ფიალა გადაეევსებათ, დიდი გრგვინვითა და ნათებით გვაუწყებენ ხოლმე ამ ამბავს. არ მეგულება სულიერი, ეს ხმა რომ არ აკრთობდეს. მაგრამ ბუნების კანონით, რაც მეტს ქუხს, მით მეტი პური ჩვენი არსობისა მოდის. განმუხტვის დროს გამოყოფილი ენერგიით ატმოსფეროში შემავალი აზოტი და ჟანგბადი ახერხებენ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას, რის შედეგადაც მჟავა ოქსიდი მიიღება. ეს უკანასკნელი წყალში იხსნება და დედამიწაზე აზოტმჟავა წვიმის სახით მოდის. აზოტმჟავა ნიადაგში პოულობს ახალ მეწყვილეს და მარილის ფორმაში გადადის, რომელსაც უკვე მცენარე იყენებს ზრდა-განვითარებისათვის.

აზოტის ცოცხალ ორგანიზმებში მოხვედრის ასეთი წრებრუნვა საუკუნეებია, არსებობს და დედამიწის დასალიერამდე ასეც გაგრძელდება. მაგრამ დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობა პერმანენტულად იზრდება. ასევე პერმანენტულად იზრდება დისპროპორცია ქალაქის და სოფლის მოსახლეობას შორის. ჩნდება ერთობ შემაშფოთებელი კითხვა: სავარგულების ფართობის მუდმივობის პირობებში, როგორ გამოვკვებოთ მოსახლეობა? სამწუხაროდ, ყოველთვის და ყველგან არ ქუხს, თან ისეთი რაოდენობით, რომ მოსალოდნელი შიმშილობის პრობლემისგან გვიხსნას.

ეს კითხვა ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. ერთი და იმავე ადგილზე ერთი და იმავე კულტურის მოყვანით ნიადაგი ნელ-ნელა იფიტებოდა აზოტით და მოსავლიანობა უფრო და უფრო მცირდებოდა. ამიტომ გამოსავალს ტყეების მასივების გაჩეხით და დაწვით აგვარებდნენ. ასეთი ფორმით გაჩენილ ახალ სავარგულებს ახოები ეწოდება და ზოგიერთ ადგილზე დღესაც კი შემორჩენილია სახელიცა და მდელოც შუა ტყეებში. ცხადია, ეს ახოც ცოტა ხანში ისევე გამოიფიტებოდა, როგორც სხვა მდელოები და ასე, თანდათანობით მიიწევდა მეურნე ტყის სიღრმეებში ჯერ ნაჯახითა და ტალ-კვესით, შემდეგ ხარ-გუთნით. თავის დროზე ჩილეში მცხოვრებ ინკებს უფრო მეტად გაუმართლა, ვიდრე დედამიწის სხვა კუთხეებში მცხოვრებთ. ჩილეს მისადგომებთან უკაცრიელ კუნძულებზე ფრინველები იზამთრებენ და ადგილზე ექსკრემენტებს ტოვებდნენ. საუკუნეების განმავლობაში ამ ნარჩენებისაგან ოცდაათმეტრიანი კლდეები წარმოიქმნა. ინკებმა შემთხვევით შენიშნეს, რომ მას თუ ნათესებში შეიტანდნენ, მოსავლიანობა ბევრად იზრდებოდა. ამ მიგნების წყალობით კი ახალ-ახალი, მანამდე უსარგებლო ტერიტორიების ათვისებას მიყვეს ხელი და იმპერიის საზღვრები გააფართოვეს. ცნობამ აღმოჩენის შესახებ ესპანეთამდეც მიაღწია და ისინიც ცოტა ხანში მთელი სამხედრო არსენალით მიადგნენ მათ სანაპიროებს. 1800-იანი წლების შუა პერიოდისათვის ამ მარაგმაც იწყო კლება და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა აკრძალეს მისი ექსპორტი.

კრიზისი გარდაუვალი იყო. პირველი ვილიამ კრუკსმა გამოთქვა შეშფოთება – 30 წელში დიდი შიმშილობა დაიწყებაო და კოლეგა ქიმიკოსებს მოუწოდა დახმარებისათვის. ამოცანის გადაჭრა პირველმა გეორგ ჰილდერბრანდტმა სცადა. დახშულ ჭურჭელში ერთმანეთს შეურია აზოტი და წყალბადი ამიაკის მისაღებად, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ სარეაქციო ჭურჭელი წყალში ჩაძირა 300 მ სიღრმეზე მაღალი წნევის მისაღებად, მაგრამ ისევ უშედეგოდ. მართალია, ჰილდერბრანდტის ექსპერიმენტები უშედეგოდ დამთავრდა, მიდგომა სწორი იყო და შემდეგი ასი წლის განმავლობაში რეაქციის მაღალ წნევაზე ჩატარებას ცდილობდა სხვადასხვა მკვლევარი შედარებით დახვეწილ პირობებში. თუმცა შედეგი მაინც არ ჩანდა 1904 წლამდე, სანამ ფრიც ჰაბერმა არ მიაღწია საწადელს.

ფრიც ჰაბერი იმ დროისთვის კარლსრუეს უნივერსიტეტის უმცროსი მეცნიერის პოსტს იკავებდა და პარალელურად ნათურების მწარმოებელი კომპანიის კონსულტანტი იყო. ამ უკანასკნელი პოზიციის გამო მას ხელი მიუწვდებოდა ისეთ მასალებზე, რომელმაც საშუალება მისცა, შეექმნა მაღალ წნევასა და ტემპერატურაზე მომუშავე რეაქტორი. წინა მკვლევრებისაგან განსხვავებით, ჰაბერმა აზოტისა და ამიაკის ურთიერთქმედება სცადა კატალიზატორის თანაობისას. კატალიზატორად კი ისევ ნათურების წარმოებიდან წამოღებული სუფთა ოსმიუმი გამოიყენა. რეაქციას ატარებდა სხვადასხვა წნევასა და ტემპერატურაზე და როდესაც წნევამ 200 ატმოსფეროს, ხოლო ტემპერატურამ 500 °C-ს მიაღწია, რეაქტორიდან ამიაკის წვეთებმა იწყო დენა. სულ რამდენიმე წვეთი გამოიყო, თუმცა გზა უკვე ნაპოვნი იყო. რეაქციის პირობების შემდგომი დახვეწა სწრაფად მოხდა და რამდენიმე წელში ამიაკის პირველი საწარმოც გაეშვა, რომელიც დღეში 5 ტონა ამიაკს აწარმოებდა. ამიაკის საფუძველზე მიღებული გვარჯილით კი მოსავლიანობა ოთხჯერ გაიზარდა. არსებობს მოარული მოსაზრებაც: რომ არა ჰაბერის გამოგონება, დღეს დედამიწის მოსახლეობა 4 მილიარდით ნაკლები იქნებოდაო.

მაშ ასე, კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გადაწყვეტილი იყო. შიმშილობაზე გამარჯვების აღსანიშნავად, 1904 წელს, ჰაბერს ნობელის პრემიაც მიენიჭა, თუმცა დაჯილდოების ცერემონიას რამდენიმე ნობელიანტი პროტესტის ნიშნად არ დაესწრო. მიზეზი? ჰაბერი ასევე პასუხისმგებელი იყო მილიონობით ადამიანის სიკვდილზე და ეს არ აპატიეს კოლეგებმა. ჰაბერსაც, აინშტაინის მსგავსად, ებრაული ფესვები ჰქონდა, თუმცა, ალფრედისაგან განსხვავებით, ფრიცი პაციფისტი არ იყო. პირიქით, თვლიდა, რომ მთელი ცოდნა გერმანიის ძლიერებისათვის უნდა გამოეყენებინა ყველა სფეროში. ამიტომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სასუქების ქარხანა სასიკვდილოდ მნიშვნელოვან ასაფეთქებელი მასალების საწარმოდ გადააკეთა. უფრო მეტიც, პირველივე დღეებიდან ფრონტის ხაზზე იყო და აქტიურად იყო ჩართული ბრძოლებში. ჰააგის კონვენციის მიუხედავად, თვლიდა, რომ ქიმიას უფრო მეტის შეთავაზება შეეძლო ომისათვის, ვიდრე გვარჯილა და დენთი იყო.

დასასრული იხილეთ
WWW.MASTSAVLEBELI.GE-ზე

იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ თავზე საუბარი, აუცილებელია, მასწავლებელმა ხაზი გაუსვას თითოეულის უნიკალურობას. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს მოსწავლეებში დადებითი მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე.

თამაშის პრინციპით ყველამ აღმოაჩინა, რომ ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით, თუმცა თითოეულში არსებობს ერთი ან მეტი ვარსკვლავი, რომელსაც პოვნა და აკიაფება სჭირდება.

აქტივობა 6. შეიცან თავი შენი

მიზანი: მოსწავლეებს საკუთარ თავში, მშობლებს კი შვილებში ეპოვათ ის მთავარი მისწრაფება და ღირებულება, რაც მათ ყველაზე მეტად აინტერესებდათ და უკეთ გამოსდიოდათ.

პატარა ბარათებზე თითოეულმა მოსწავლემ დაწერა ის, რის კეთებაც ყველაზე მეტად გამოსდიოდა ან აბედნიერებდა, ხოლო თითოეულმა მშობელმა თავის ბარათზე დაწერა ის, თუ რას ხედავდა საკუთარ შვილში, რისი კეთება მოსწონდა მას ყველაზე მეტად. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი შვილისა და მშობლის ფიქრები ერთმანეთს დაემთხვა, თუმცა იყო ის წყვილებიც, რომლებიც ერთმანეთისთვის აღმოჩენად იქცა.

თითოეული ბარათი დავამაგრეთ დიდ ფერად ფორმატზე. ამით ყველას მიეცა საშუალება, აღმოეჩინათ და დაჰკვირვებოდნენ ერთმანეთის ფიქრებს, აღმოეჩინათ აქამდე შეუმჩნეველი თვისებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სატრენინგო მასალა – „ეფექტური კომუნიკაციის განვითარება დაწყებითი კლასების მოსწავლეებში“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018 .
2. საპრეზენტაციო მასალა გაკვეთილისთვის – შეიცან თავი შენი.

ლელა კოტორაშვილი

საკლასო პროექტი – მე მიყვარს ჩემი მასწავლებელი

დაფიქრებულხართ, რას ვლაპარაკობთ, როდესაც მასწავლებლებზე ვლაპარაკობთ? რა გესმით, როგორც მშობელსა თუ მასწავლებელს? როგორ კომენტარს აკეთებთ, როდესაც მასწავლებლებზე გესაუბრებიან?

სემესტრის დასაწყისში სადამრიგებლო კლასის აყვანისას დილემის წინაშე აღმოვჩნდი – საგნის მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ემოციათა გამტარის როლი დამეკისრა, რამაც მუდმივი შფოთვა მომიტანა. შიშით ველოდებოდი თითოეული გაკვეთილის დასრულებას და მასწავლებლების რეაქციას ბავშვების ქცევის შესახებ. თითოეული საყვედური გულზე ეკალივით მესობოდა და მეორე დღემდე მტანჯავდა. დროდადრო მშობლების უკმაყოფილების მოსმენა მიწევდა და ვგრძნობდი, რომ მეტს ვეღარ გავუძლებდი. ორი თვის შემდეგ დაგროვილმა ბრაზმა, წყენამ და უმწეობის განცდამ ერთბაშად ამოხეთქა და ერთ დღესაც იმდენად მძაფრად გამოვხატე დაგუბებული ემოციები, რომ მეხუთეკლასელი ბავშვების წინაშე მთელი ხმით ავყვირდი, შემდეგ კი ტირილი ამიტყდა. ბავშვებიც ჩემთან ერთად ტიროდნენ. არასდროს დამავიწყდება ჩემი საქციელის გამო მათ თვალებში არეკლილი შეშფოთება.

მაშინ მივხვდი, რომ სასწრაფოდ რაღაც უნდა გამეკეთებინა ისეთი, რაც არსებულ სიტუაციას შეცვლიდა.

პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე ფიქრმა გარკვეულ დასკვნებამდე მიმიყვანა. სკოლაში ორმაგი როლი მაკისრია – ჩემი ორი შვილის მასწავლებელიც ვარ, რაც დიდწილად დამეხმარა სიტუაციის ანალიზისას. ერთი მხრივ, შვილების ქცევას და გარემოს კარგად ვიცნობ, მეორე მხრივ კი, ვიცი, სკოლის შემდგომი ცხოვრება როგორი აქვთ, რა აწუხებთ, რა მოსწონთ, როგორ გამოხატავენ ემოციებს შინ დაბრუნებისას. მე რომ მათი მასწავლებელი არ ვიყო, ძალიან აღმაშფოთებდა იმის მოსმენა, რასაც მომიყვებოდნენ და ობიექტურობას ავცდებოდი.

ჩემი დაკვირვებით, ბავშვები ხშირად აბუქებენ სიტუაციას და ცდილობენ მსმენელის გულის მოგებას. მხარდაჭერის მოპოვების გაუცნობიერებელი სურვილით ავსებულები, ამბავს ისე ჰყვებიან, საკუთარი საქციელის გამართლებას ცდილობენ. ამ დროს მშობლისთვის ძნელია სიმშვიდის შენარჩუნება და უარყოფითი განწყობა ეუფლება შვილის მასწავლებლისა თუ კლასელის მიმართ. ცხადია, იმას არ ვგულისხმობ, რომ შვილი ყოველთვის უნდა გაამტყუნო, მაგრამ მისი მძაფრი ემოციების მიღმა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სხვა ადამიანების (კლასელების, მსწავლებლების) ქცევის მოტივი. როგორია მშობლის საპასუხო რეაქცია – ამაზეა მიბმული ბავშვის შემდეგი დღე. არ არსებობს პრობლემა, რომელსაც გულწრფელი საუბრით ვერ მოვაგვარებთ. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩვენი, მშობლების, კომენტარები ბავშვის გონებაში ილექება და ეკლიან მავთულხლართებად იქცევა, რადგან ადამიანები ერთმანეთის ფიქრებს ვირეკლავთ და მასწავლებელიც მარტივად გრძნობს, როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ მისდამი.

სწორედ ამიტომ, მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობისას ბალანსის მისაგნებად რამდენიმე აქტივობა ჩავიფიქრე. პირველი ნაბიჯი მშობელთა კრების მოწვევა იყო, სადაც განვიხილეთ ჩემ მიერ ზემოთ აღწერილი პრობლემები.

შევთანხმდით, რომ ბავშვების თანდასწრებით მასწავლებლების შესახებ აგრესიული ტონით არ ვისაუბრებდით და თუკი ბავშვი წყენას გამოხატავდა, პირველ რიგში, გულითადად მოვუსმენდით, დავამშვიდებდით და პრობლემის მოსაგვარებლად დახმარებას აღვუთქვამდით, შემდეგ კი კლასის დამრიგებელს ჩავაყენებდით საქმის კურსში. მასწავლებლებისადმი მშობლის მიერ გამოხატული პატივისცემა ბავშვის განწყობას აუცილებლად ცვლის, რაც საგაკვეთილო პროცესში მის ქცევაზეც აირეკლება. თუკი ბავშვს მშობლებისგან მუდამ ესმის მასწავლებლის კრიტიკა, აგრესიული ტონი საუბრისას, აუცილებლად მოექცევა გავლენის ქვეშ და სკოლაშიც გაიყოლებს უარყოფით განწყობას. მასწავლებლის როლიც გაუფასურდება. სწორედ ამიტომ შევეცადოთ, პატივისცემით ვისაუბროთ ჩვენი შვილების მასწავლებლების შესახებ და თუკი მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა ჩიხში შევა, ჯერ თავად მოსწავლეს ვთხოვოთ პრობლემის მოგვარება, შემდეგ ეტაპზე დამრიგებელი ჩავრთოთ, საუკეთესო გამოსავლად კი მასწავლებელთან პირადი საუბარი მიმაჩნია.

ბავშვების ცნობიერების ასამაღლებლად მომაფიქრდა საკლასო პროექტი, სახელად **მე მიყვარს ჩემი მასწავლებელი.** პროექტის მიზანი იყო, ბავშვებს მასწავლებლები ახლოს გაეცნოთ, მათთან პირადი ურთიერთობის საშუალება ჰქონოდათ და მათდამი ზრუნვა გამოეხატათ.

პროექტი შემდეგ ეტაპებს მოიცავდა:

1. გამოსაძახებელი ჩხირების დახმარებით კლასის სამწევრიან ჯგუფებად დაყოფა;
2. ინტერვიუსთვის კითხვარის შედგენა;
3. თითოეული საგნის მასწავლებელთან ინტერვიუს ჩასაწერად დროისა და ადგილის შეთანხმება;
4. მზადება შეხვედრისთვის;
5. ინტერვიუს ჩაწერა, ფოტოს გადაღება;
6. მასწავლებლებისთვის ნაჭრის ჩანთების შეკერვა და მოხატვა;
7. მათთვის პირადი წერილების მიწერა;
8. პროექტის შემაჯამებელი ღონისძიებისთვის მზადება.

კითხვარი ინტერვიუსთვის

თავდაპირველად ვფიქრობდი, მოსწავლეებს თავად მოეფიქრებინათ კითხვები მასწავლებლებისთვის და მობილური ტელეფონის ხმის ჩამწერით ჩაეწერათ, თუმცა მივხვდი, რომ ამისთვის დიდი დრო დაგვჭირდებოდა და საწყის ეტაპზე გაუჭირდებოდათ თავის გართმევა (ინტერვიუს გაშიფვრა, წერილობით ტექსტად გადაქცევა). ამიტომ გადავწყვიტე, თავად მომემზადებინა ინტერვიუს ფორმა.

თაბახის ფურცელზე დავხატე საჰაერო ბუშტი და მის ირგვლივ ჩავწერე წინადადებები, რომლებიც უნდა დაებოლოებინათ მასწავლებლებს:

- მე შემიძლია...
- როცა მიხარია...
- მასწავლებლობა ნიშნავს...
- მე-5ᵇ კლასზე ვფიქრობ...
- მაბრაზებს...
- ბავშვებო, გირჩევთ...
- ხშირად ვფიქრობ...
- ჩემ შესახებ მინდა, იცოდეთ...
- ჩემი სუპერძალაა...
- ერთხელ, როცა მეხუთე კლასში ვიყავი...
- ჩემი საგანი ამ წამს მახსენებს...

პროექტის განსახორციელებლად ერთი თვე დაგვჭირდა. ბავშვები დამოუკიდებლად უთანხმდებოდნენ მასწავლებლებს შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ. ინტერვიუსთვის მოჰქონდათ ტკბილეული, მე ყავის მოდუღებაში ვეხმარებოდი და ეს ფუსფუსი ქმნიდა განუმეორებელ აურას, რომელსაც მასწავლებლებიც ვგრძნობდით. შევსებული კითხვარები სიხარულით მოჰქონდათ ჩემთან და საგულდაგულოდ ვინახავდით განმარტებითი სიტყვის ლექსიკონში. ბავშვები მიგზავნიდნენ მასწავლებლებთან ერთად გადაღებულ ფოტოებს და აღტაცებით მიზიარებდნენ შთაბეჭდილებებს.

თვალს ვადევნებდი, როგორ აბამდნენ თავს შეხვედრის ორგანიზებას, როგორი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მასწავლებლებთან შეხვედრას და როგორ უთბებოდათ პატარა გულები.

ნაჭრის ჩანთები

ათ მასწავლებელთან ინტერვიუს აღების შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩვენი ხელით ნაჭრის ჩანთები შეგვეკერა მათთვის და საგნის თემატიკის მიხედვით მოგვეხატა.

ჩემი დაკვირვებით, ბავშვები ხშირად აბუქებენ სიტუაციას და ცდილობენ მსმენელის გულის მოგებას. მხარდაჭერის მოპოვების გაუცნობიერებელი სურვილით ავსებულები, ამბავს ისე ჰყვებიან, საკუთარი საქციელის გამართლებას ცდილობენ. ამ დროს მშობლისთვის ძნელია სიმშვიდის შენარჩუნება და უარყოფითი განწყობა ეუფლება შვილის მასწავლებლისა თუ კლასელის მიმართ.

სკოლაში მივიტანე საკერავი მანქანა და სემესტრის ბოლო კვირას გაკვეთილების შემდეგ საკლასო ოთახში ჭრა-კერვა გავმართეთ. თითოეული მოსწავლე დავსვი საკერავ მანქანასთან და გვირისტი გავავლებინე. კერვასა და მოხატვაში მეშვიდეკლასელი გოგოები – მარიამი და ნინი – დაგვეხმარნენ. დღის მეორე ნახევარში, როგორც კი შევატყობინებდი მშობლებს, სკოლაში კერვას ვიწყებ და ვისაც სურვილი აქვს, დამეხმაროს-მეთქი, ცოტა ხანში საკლასო ოთახი ივსებოდა გულაფანცქალებული ბავშვებით, თან მოჰყავდათ და-ძმები და ისინიც გვეხმარებოდნენ.

ჩემი მიზანი იყო მათი დარწმუნება, რომ საკუთარი ხელებით ბევრი რამის კეთება შეგვიძლია. კეთებით სწავლებამ ერთად ყოფნას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა და სემესტრის ბოლო კვირა ყველაზე ნაყოფიერ დროდ იქცა.

შეკერილი ჩანთა პატარა ჯგუფებად დაყოფილ კლასში ინაცვლებდა, რასაც მოჰყვებოდა ჩანთისთვის ნახატის შერჩევა, შემდეგ კი ხატვის პროცესი იწყებოდა და ნელ-ნელა ფანჯრის თაროები გადაივსო სველსაღებავიანი ჩანთებით.

კერვისა და ხატვის პარალელურად ერთმა ჯგუფმა მოსაწვევი ბარათები დაამზადა, მეორემ – აფიშა, მესამემ ინტერვიუს კითხვარებიდან პასუხები შეარჩია, პოსტერზე მასწავლებლები დახატა და მათ გასწვრივ ამოწერილი პასუხები გადაწერა.

მოსწავლის პირადი წერილები

იმისთვის, რომ საგნის მასწავლებლებსაც უკეთესად გაეცნოთ ბავშვები, მათთვის პირადი წერილების მიწერა გადავწყვიტეთ. ერთ გაკვეთილზე შევიმუშავეთ წერილის ქარგა და თითოეულმა მოსწავლემ მისწერა იმ მასწავლებელს, ვისთანაც ინტერვიუ ჩაწერა.

წერილის ქარგა ამგვარი იყო:

- მოიფიქრე მიმართვა;
- გააცანი შენი თავი;
- გაიხსენე სამი რამ, რაც ამ სემესტრში ისწავლე;
- მისწერე, რა ხდება ახლა კლასში;
- დაუსვი ერთი შეკითხვა;
- დაემშვიდობე.

პირადი წერილები ნაჭრის ჩანთებში მოვათავსეთ.

პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება

შემაჯამებელი ღონისძიებისთვის რაღაც ისეთი უნდა მომეფიქრებინა, რაც სასკოლო საზოგადოებას სიხარულს მოჰგვრიდა და ბავშვების შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებასაც მომცემდა. „პოეზია – სიხარულია“ – ეს გზავნილი გალაკტიონის სახლ-მუზეუმის კედელზე ამოვიკითხე და ხშირად მახსენებდა თავს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, პოეზია მექცია ურთიერთობების მედიუმად, ბავშვების ხმებისა და ემოციების ერთგვარ გამტარად.

მურმან ლებანიძის ლექსებისკენ კი რაჭის მონატრებამ მიბიძგა. პოეზიის სწავლების მეთოდებზე ამ ბოლო დროს ბევრს ვფიქრობ და ცალკე სტატიად გაგიზიარებთ, რამდენ უნარს ავითარებს ლექსების კითხვა. ლექსების შერჩევის შემდეგ რამდენიმე გაკვეთილი დავუთმე ხმამაღალ კითხვას. შეარჩიეს საყვარელი სტრიქონები და დახატეს. დავამზადეთ ხელნაკეთი გვირგვინები და ლექსიდან ერთი სიტყვა დააწერეს. გავაკეთეთ ორწუთიანი ჩანაწერი კლასის რადიოსთვის. ჩემს უფროს მეგობარს, ქალბატონ სოფო გუგეშაშვილს, რომელიც ონში ცხოვრობს და უწერის სკოლაში მუშაობისას ჩვენი ლიტერატურული ღონისძიებების ერთგული სტუმარი და დიდი გულშემატკივარი იყო, ერთი ლექსის წაკითხვა და ვიდეოჩანაწერის გამოგზავნა ვთხოვე. სემესტრის ბოლო დღეს, 29 დეკემბერს, საკლასო ოთახი მოვრთეთ – კედელზე შეკერილ-მოხატული ჩანთები ჩამოვკიდეთ, გაფერადებულ ქილებში სანთლები ავანთეთ და მოწვეულ სტუმრებს დაველოდეთ.

ბავშვებმა რიგრიგობით წაიკითხეს მურმან ლებანიძის ლექსები. გადავსახლდით რაჭის სოფლებში, ქვასროლია ბიჭების სინანული გულში გამოვიტანეთ, ქართული ვაზის ჯიშების სახელები ლექსის

სტრიქონებად გავაცოცხლეთ, შავ კორტოხზე მდგარი შავი მუხის მარტოობა გავიზიარეთ და პოეტის ერთ-ერთი კრებულის სათაური „ლიხს იქით და ლიხს აქეთ საქართველო გიყვარდეთ“ მთავარ გზავნილად ჩავიტოვეთ გულში.

განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ ღონისძიებაზე გვესტუმრა ჩემი ორი მასწავლებელი. ნანი მასწავლებელმა მოიტანა 181-ე სკოლის გაზეთი „მერანი“, რომელშიც დაბეჭდილი იყო მერვე კლასში ყოფნისას დაწერილი ჩემი ჩანახატი „ცა, ბებერი ცა“.

სკოლაში ერთი წელი ინგლისურს დედაჩემი, მარისა მასწავლებელი, გვასწავლიდა. ამჯერად დედა, ნანი მასწავლებელთან ერთად, ჩემი მასწავლებლის სტატუსით მოვიწვიე. მისთვის შეკერილ ჩანთაზე დავხატეთ ჯეინ ეარი, რომელიც დედას საყვარელი პერსონაჟია და მთელი ბავშვობა მესმოდა, როგორი დიდსულოვანი ადამიანები იყვნენ მისტერ როჩესტერი და ჯეინ ეარი.

ბავშვებისთვის გასაოცარი იყო ჩემი მასწავლებლების სტუმრობა და ვფიქრობ, მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობის ჩემეული გამოცდილება მათთვის პირად მაგალითად იქცევა.

პროექტის აქტუალობაში რამდენიმე ამბავმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა: ერთხელ შინ დაბრუნებულმა 10 წლის გაბრიელმა სიხარულით მიამბო, თურმე ნინო მასწავლებელს სახლში მოპსის ჯიშის სამი ძაღლი ჰყოლიაო. შემაჯამებელ ღონისძიებაზე ბავშვებმა პირადი წერილებიდან კითხვები დაუსვეს თითოეულ მასწავლებელს და სტუმრებში დიდი სიხალისე შემოიტანეს. ჩემთან აღებული ინტერვიუს შემდეგ კი ათი წლის სალომემ მომწერა: ეს დღე დაუვიწყარი გახდება ჩემთვისო.

მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარებიდან გულისხმიერება და სითბო იფრქვევა. ღონისძიებისთვის შევარჩიე ერთ-ერთი დაუსრულებელი წინადადების პასუხები, თითოეული მასწავლებლის ფოტო მოვიძიე და სლაიდშოუდ ავკინძე. ამ მოულოდნელმა სიურპრიზმა აუდიტორია გაახალისა. მასწავლებლებს ამგვარი წინადადება უნდა დაებოლოებინათ: **როცა მეხუთე კლასში ვიყავი...**

1. „სწორედ მეხუთე კლასში ყოფნისას მასწავლებელმა გამოიჩინა ყურადღება, ყოველდღე მიძახებდა დაფასთან და გამიღვიძა მათემატიკური ნიჭი, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ მისი“. დალი მასწავლებელი
2. „მიხაროდა მოსწავლეობა“. ლელა მასწავლებელი
3. „ვიცელქე და ხელი მოვიტეხე“. მაია მასწავლებელი
4. „ბუნების გაკვეთილზე წავიყვანე ცოცხალი ზაზუნა, რომელიც მათემატიკის გაკვეთილზე გამოიპარა პატარა ყუთიდან და კლასში დარბოდა. ატყდა წივილ-კივილი. ზოგს ეგონა, რომ თაგვი იყო“. ნინო მასწავლებელი
5. „თქვენსავით გაკვირვებული და დაბნეული ვუყურებდი მასწავლებლებს. არ ვიცოდი, შემშინებოდა მასწავლებლებისა თუ შემყვარებოდა ისინი“. თამუნა მასწავლებელი
6. „მასწავლებელი გვყავდა, რომელსაც ჰყავდა ერთი შვილი. მას ერქვა სოსო. როდესაც მასზე რამეს ვიტყოდით, ვიცოდით, მთელ გაკვეთილს მის შესახებ მოგვიყვებოდა და ამ დროს გაკვეთილს აღარ ვაბარებდით“. ნელი მასწავლებელი
7. „განვიცდიდი და ვნერვიულობდი“. ნანა მასწავლებელი
8. „მახსოვს, პირველად როგორ გამიკვირდა, მუსიკის მასწავლებელმა მაგნიტოფონი რომ მოიტანა და ბახის სიმფონია რომ მოგვასმენინა“. ქეთი მასწავლებელი
9. „მეტროში დავიკარგე, შემეშინდა, მაგრამ არ შევიმჩნიე“. მარი მასწავლებელი
10. „მახსოვს, ერთ-ერთი შეჯიბრების დროს წარმატება მოვუტანე სკოლას“. გელა მასწავლებელი
11. „ერთი ბიჭი შემიყვარდა და მისთვის კანფეტები მიმქონდა. მას ეს არ ახარებდა და მალევე ამოვიგდე გულიდან“. ლელა მასწავლებელი

პროექტის სათაურის მთავარი გზავნილი მრავლისმთქმელია – მასწავლებლის სიყვარულის გარეშე სკოლის დღეები მუქი ფერებით ივსება, სიყვარულის გაღვივებას კი ძალისხმევა სჭირდება. ბავშვების სიყვარული ყველას ეყოფა – დაწყებითი თუ შემდგომი საფეხურის დამრიგებლებს, საგნის მასწავლებლებს, დირექტორს, კლასელებსა და კლასელების მშობლებს. მთავარია, უფროსებმა პირადი მაგალითით ვასწავლოთ პატივისცემა, ზრუნვა, მოსმენა, ყურადღება, პატიება, ზრდილობა... როგორც წესი, ბავშვები კოცონად ააბრიალებენ სულ პაწაწინა ენერგიას და გაცემა-დაბრუნების სიხარულით აგვავსებენ.

მასწავლებლებისადმი მშობლის მიერ გამოხატული პატივისცემა ბავშვის განწყობას აუცილებლად ცვლის, რაც საგაკვეთილო პროცესში მის ქცევაზეც აირეკლება. თუკი ბავშვს მშობლებისგან მუდამ ესმის მასწავლებლის კრიტიკა, აგრესიული ტონი საუბრისას, აუცილებლად მოექცევა გავლენის ქვეშ და სკოლაშიც გაიყოლებს უარყოფით განწყობას. მასწავლებლის როლიც გაუფასურდება. სწორედ ამიტომ შევეცადოთ, პატივისცემით ვისაუბროთ ჩვენი შვილების მასწავლებლების შესახებ.

ხათუნა ციხელაშვილი

სახალისო აქტივობები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით

ხელოვნური ინტელექტის სისტემა ალგორითმული მოდელია, რომელიც ასრულებს ისეთ კოგნიტურ და შემეცნებით ფუნქციებს, რაც წარსულში წარმოადგენდა მხოლოდ ადამიანის აზროვნების, განსჯისა და მსჯელობის საგანს *(ლესლი და სხვ. 2021: 8)*[1].

ხელოვნური ინტელექტი ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს პედაგოგს და მოსწავლეს. ამ მოცემულობის მიღება გაგვიადვილებს თანამშრომლობას იმასთან, რაც გარდაუვალია და საჭიროებს სწორად დანერგვას სასწავლო პროცესში, რათა შემდგომი ნაბიჯები ეფექტური და ქმედითი იყოს.

ხელოვნური ინტელექტი ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს პედაგოგს და მოსწავლეს. ამ მოცემულობის მიღება გაგვიადვილებს თანამშრომლობას იმასთან, რაც გარდაუვალია და საჭიროებს სწორად დანერგვას სასწავლო პროცესში, რათა შემდგომი ნაბიჯები ეფექტური და ქმედითი იყოს.

სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტი მასწავლებლისა და მოსწავლისთვის დამხმარე საშუალებად უნდა იქცეს.

მოსწავლეებს ყოველთვის სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა ვინმესგან, ვინც დაეხმარება მათ სასწავლო მასალის გაგებაში, მოტივაციის ამაღლებაში. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სწავლებისას საჭირო უნარების ასათვისებლად მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ ორ მიმართულებაზე:

როგორ დაგეხმარებათ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ასეთი საიტების გამოყენება სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებაში?

მოსწავლეები შეძლებენ ტექსტურ ფორმაში ჩამოყალიბებული მოსაზრებების, ფანტაზიების, დასკვნების ვიზუალურ რესურსად, კერძოდ, სურათებად გარდაქმნას.

ხელოვნური ინტელექტის გამოჩენამ საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას, რომელსაც prompt engineering ჰქვია. სწორედ ამ მიმართულების ათვისება გაგიმარტივებთ ხელოვნურ ინტელექტთან ურთიერთობას სხვადასხვა სფეროში.

როგორ გავწეროთ სწორი Prompt-კოდი:

ვინ ვართ? – მივუთითოთ, რა მიზნით გვსურს რესურსის შექმნა და ვინ ვართ ჩვენ (მასწავლებელი, სტუდენტი, მოსწავლე, მკვლევარი, ილუსტრატორი დ ა.შ.).

პროდუქტი – მივუთითოთ, რა ტიპის პროდუქტი გვინდა მივიღოთ (ნახატი, ფოტო, ანიმაცია, ანიმე, ციფრული არტი, აკვარელი და ა.შ).

შინაარსი – აღწერეთ, ვინ ან რა უნდა იყოს გამოსახული სურათზე, აღწერეთ და დაახასიათეთ ობიექტი, მიუთითეთ მისი მდებარეობა სურათზე, ფერები, ზომები, კადრი (ახლო, ფართო), რა ფონზე განთავსდეს ობიექტი (მაგალითად, მთების, ქალაქის, ტყის და ა.შ.).

დამატებით ინსტრუქციები – სურათი უნდა იყოს მარტივი, რთული, სახალისო, ფერადი, დახატული

1. ტექსტის მიხედვით ნახატის შექმნა	2. ვასაუბროთ სურათი
ამ საიტის გამოყენებით შესაძლებელია ტექსტიდან ნახატების შექმნა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.	ხელოვნური ინტელექტის კიდევ ერთი შესაძლებლობა სურათის ალაპარაკებაა. ეს შეიძლება იყოს თქვენ მიერვე შექმნილი სურათი.

1 წყარო http://rm.coe.int/cahai-2020-23-final-eng-feasibility-study-/1680a0c6da.

ფანქრით, აკვარელით... აღწერეთ ნახატი, რომელიც არ არსებობს, დეტალები თქვენი გამოგონილია, ჩართეთ თქვენი ფანტაზია და ა.შ.

დღეს ბევრი ასეთი საიტი არსებობს. ჩვენ ორზე შევჩერდებით.

Bing Image Creator – საიტზე შესვლისას დაგხვდებათ ქართულენოვანი ინტერფეისი. ავტორიზაციის გავლის შემდეგ შეგიძლიათ ტექსტის შეყვანა შესაბამის უჯრაში სურათის შესაქმნელად. საიტზე შესაძლებელია დღეში 15 რესურსის შექმნა დაჩქარებული წესით. მომდევნო დღეებში შექმნის ფუნქცია არ იზღუდება. ყოველ ჯერზე იქმნება ოთხი მსგავსი შინაარსის ფოტო, რომელთაგან ირჩევთ სასურველ ვარიანტს. აღსანიშნავია, რომ თქვენი შექმნილი ყველა სურათი ინახება საიტზე. შესაძლებელია ფოტოს გაზიარება, გადმოწერა, შენახვა, ასევე, უკუკავშირი. საიტი თავადაც გთავაზობთ სხვადასხვა შინაარსის პრომო-კოდებს, გაძლევთ ინსტრუქციებს კოდის შექმნასთან დაკავშირებით.

საიტზე მუშაობის გზამკვლევი https://www.youtube.com/watch?v=s7vAXwwdmJ0

მაგალითი – საიტზე, ტექსტის გრაფაში ჩავწერეთ: „მაგიდაზე, მიკროსკოპის ქვეშ დგას სინჯარა შიგ ჩასხმული ყვითელი სითხით“. იხილეთ შედეგი.

რადგან გამკაცრდა საავტორო უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე, მათ შორის ფოტოებზე, ეს საიტი კარგი შესაძლებლობაა უნიკალური ფოტოების შესაქმნელად. საჭიროა მხოლოდ სწორი Prompt-კოდი.

მეორე საიტი, რომელსაც სურათების რედაქტირების მეტი შესაძლებლობა აქვს: www.firefly.adobe.com

საიტზე ავტორიზაციის შემდეგ ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შეგიძლიათ 100 სხვადასხვა ენაზე შედგენილი ტექსტის მიხედვით შექმნათ სურათები. აქ ტექსტურ ინფორმაციასთან ერთად შესაძლებელია ფოტოს ატვირთვა, შექმნილი სურათის გადაყვანა სხვადასხვა ფორმატში ფილტრების გამოყენებით, მაგალითად, ნახატი, ფოტო, ციფრული არტი და ა.შ., ფერების და განათების კუთხის რეგულირება.

რესურსის გზამკვლევის ვიდეობმული – როგორ გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში.

განვიხილოთ მარტივი მაგალითი დაწყებით საფეხურზე. გამოვიყენოთ სულხან-საბას იგავ-არაკის ადაპტირებული ტექსტი.

იყო ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი, რომელსაც არაფერი გააჩნდა.

ერთხელ სიზმარი ნახა: თითქოს სამოცი ცხვარი ჰყავდა და გაყიდვა სურდა.

მოვიდა ერთი ვაჭარი და თითო ცხვარში ხუთ-ხუთი კირმანეული (ვერცხლის ფული) შეაძლია. ცხვრის პატრონმა ექვს-ექვსი სთხოვა.

ვაჭრობის დროს გლახაკს გაეღვიძა და სინანულმა შეიპყრო. მაშინვე თვალები დახუჭა და ვაჭარს ხელები გაუშვირა: ორ-ორი კირმანეული მომეცი და მოგცემო!

სულხან-საბა ორბელიანი,
იგავ-არაკები – ადაპტირებული ტექსტი

წყარო: https://www.aura.ge/103-sabavshvo/4898-sulxansaba-orbeliani---xarbi-glaxaki.html

დავალება მოსწავლეს – გაიაზრე მოცემული იგავ-არაკის ტექსტი, მოახერხე ინფორმაციის დეკოდირება და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით უზრუნველყავი შერჩეული მონაკვეთის ილუსტრირება. ამისთვის დაწერე კოდი – აღწერე დასახატი ილუსტრაცია მოცემული სქემის მიხედვით. დაწერილ კოდში გააერთიანე შენი სურვილი და ხელოვნური ინტელექტის ენა.



მაგალითად: ექსპოზიციის ნახატი – მეცხვარე კაცი, სამი ცხვარი, დიდი მინდორი უკანა ფონად. შესრულდეს აკვარელში.

შედეგი: ზემოთ აღწერილი ორივე მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, ტექსტის ფორმატში აზრებისა და წარმოდგენების სწორად გადმოცემაში.

დავალება მოსწავლისგან მოითხოვს ზუსტ კოდს და საჭიროების შემთხვევაში კოდის დახვეწას. კოდში იგულისხმება ტექსტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე, რათა მიიღოს შინაარსთან მაქსიმალურად მიახლოებული ვიზუალური გამოსახულება.

ვასაუბროთ სურათი

ხელოვნური ინტელექტის კიდევ ერთი შესაძლებლობაა სურათის ალაპარაკება. ეს შეიძლება იყოს თქვენ მიერ შექმნილი სურათი, რომელიც სასურველ ინფორმაციას ხმის დადებისა და სახის მიმიკების ამოძრავების გზით გადმოსცემს. გაითვალისწინეთ, არსებობს შეზღუდვა – სურათი უნდა იყოს მკაფიო. აღნიშნული საიტის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა საგნის სწავლებისას. მოსწავლეები შეძლებენ აალაპარაკონ დავალებაში მოცემული პერსონაჟები, დაწერონ მათთვის ტექსტები და პროექტზე მუშობის დროს მიღებული ცოდნა ამ სახით გადმოსცენ.

[რესურსის გზამკვლევის ვიდეობმული]

დავალება მოსწავლეს – შექმენი/შეარჩიე პატარა ბიჭის ფოტო/ნახატი და ტექსტი, რომელიც უნდა გაახმოვანოს ანიმაციამ.

https://share.vidnoz.com/aishare-sIJQAKnkB69hgxdRNcKRf7v417090391821893682

შემდეგ საკუთარი აზრიც დაა ფიქსიროს.

https://share.vidnoz.com/aishare-rleN2VJEmMHOnHcRaYyxDRpD17090402071893682

მაგალითად: რას იტყოდა ვაჟა დღეს იმ საკითხზე, რაც აქტუალური იყო მაშინაც?

https://share.vidnoz.com/aivideo?id=2435196

მოსწავლეებს ყოველთვის სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა ვინმესგან, ვინც დაეხმარება მათ სასწავლო მასალის გაგებაში, მოტივაციის ამაღლებაში. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სწავლებისას საჭირო უნარების ასათვისებლად მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

გამოყენებული მასალა

1. „ხელოვნური ინტელექტი და განათლება“ (2023), ვეინ ჰოლმსი, ჯენ პერსონი, ირენ-ანგელიკა ჩუნტა, ბარბარა ვასონი, ვანია დიმიტროვა.
2. www.bing.com/images/create
3. www.firefly.adobe.com
4. www.vidnoz.com
5. რესურსის გზამკვლევის ვიდეობმული

მეგი კავთუაშვილი

პასიური მშობლების გასააქტიურებლად

მოსწავლეთა მშობლები უზარმაზარი და ამავე დროს მრავალფეროვანი ჯგუფია. საქართველოში დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი ატარებს მოსწავლის მშობლის სტატუსს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის მრავალი მახასიათებლის მქონე პირს შეხვდებით. თითოეულს თავისი მსოფლმხედველობა და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, თავისებური საჭიროება, შესაძლებლობა, ხედვა და მოტივაცია.

პედაგოგები და სკოლის დირექტორები ხშირად ამბობენ, რომ აქტიური, მზრუნველი, გაბედული, მიზანმიმართული და ინტერესიანი მშობლების გვერდით ისეთი ადამიანებიც არიან, ვინც შვილის სასკოლო ცხოვრებაში არ ერთვებიან. მეტიც, მშობლების ყველაზე დიდი ნაწილი პასიურია, დრო არ აქვთ და/ან ინდიფერენტულები არიან სასკოლო ცხოვრების მიმართ.

ე.წ. პასიური მშობლები, ერთი მხრივ, პრობლემას წარმოადგენენ სკოლებისთვის: ნაკლებად ესწრებიან სასკოლო ღონისძიებებს და მშობელთა შეკრებებს; არ ცდილობენ, დაეხმარონ შვილს და სკოლას განვითარებაში; პასუხისმგებლობა სრულად მასწავლებლებზე აქვთ დაკისრებული. არ ინტერესდებიან სასკოლო ცხოვრების შესახებ სოციალურ ქსელში გავრცელებული მულტიმედია მასალებითაც კი; ცდილობენ, არ დაუბრუნონ პედაგოგს უკუკავშირი, ყველა საკითხი, რაც აწუხებთ, განიხილონ ცალკე ჯგუფებში თუ „ჩათებში“, სადაც მასწავლებელი არ არის.

მეორე მხრივ, იგივე მშობლები კომფორტის ზონას უქმნიან განათლების მუშაკებს. ისინი მუდამ დათმობაზე მიდიან; მოქმედებენ მითითებებისა და გავრცელებული სტერეოტიპების მიხედვით; ეგუებიან ნებისმიერ მოცემულობას და შვილსაც იმავეს ასწავლიან; ილუზიას ქმნიან, რომ ყველაფერი წესრიგშია. მაგალითისთვის, პასიური მშობელი არასოდეს ირჯება სკოლაში არსებული პრობლემური სიტუაციის სიღრმისეული გადაჭრისთვის; არაფერს აპროტესტებს; ყოველთვის იმ მხარეს დგას, სადაც უმრავლესობაა და არა იმ მხარეს, სადაც სიმართლეს ხედავს.

პასიური მშობლები ხშირად იყენებენ ფრაზებს: *„ყოველთვის ასე იყო და სულ ასე იქნება“, „ჩემი უფროსი შვილის კლასშიც ასეა“, „ჩვენ მაინც ვერაფერს შევცვლით“, „რა აზრი აქვს“, „მე მაგის დრო არ მაქვს“, „მერე ჩემს შვილს შეექმნება პრობლემა“, „ნიშანს დააკლებენ, დამიჩაგრავენ“* და ა.შ.

ჩამოთვლილი ფრაზებიდანაც ჩანს, რომ მშობლების პასიურობას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია:

- გაუბედობის გამო დემოტივირებული მშობლები;
- დროის არმქონე მშობლები;
- ნიჰილისტი და/ან ინდიფერენტული მშობლები.

თუ პედაგოგს პასიური მშობლების გააქტიურება სურს, პირველი, რაც უნდა გააკეთოს, მათი პასიურობის მიზეზების გარკვევაა. იმის დასადგენად, რომელი მშობელი რომელ ჯგუფს მიეკუთვნება, ყველაზე მარტივი გზა არაფორმალურ გარემოში მშობლებთან ინდივიდუალური გასაუბრებაა. თუ პედაგოგისთვის, მოსწავლეთა დიდი რაოდენობის ან სხვა მიზეზის გამო, ეს ფორმა მიუღებელია, შესაძლოა ფოკუსჯგუფები ან ანკეტირება ჩატარდეს და საფუძვლიანად იქნას შესწავლილი მშობელთა არქეტიპები, რის შემდეგაც დაიგეგმება ცალკეულ ჯგუფთან ეფექტური კომუნიკაციის გზები.

მშობელთა პასიურობის მიზეზების დასადგენად სასურველია, პედაგოგმა ცხრილში მოცემულ შეკითხვებზე მოიპოვოს პასუხები:

პედაგოგები და სკოლის დირექტორები ხშირად ამბობენ, რომ აქტიური, მზრუნველი, გაბედული, მიზანმიმართული და ინტერესიანი მშობლების გვერდით ისეთი ადამიანებიც არიან, ვინც შვილის სასკოლო ცხოვრებაში არ ერთვებიან. მეტიც, მშობლების ყველაზე დიდი ნაწილი პასიურია, დრო არ აქვთ და/ან ინდიფერენტულები არიან სასკოლო ცხოვრების მიმართ.

მშობელთა პასიურობის მიზეზების დასადგენი ცხრილი	
მშობელთა მახასიათებლები: (სტატუსი მოსწავლესთან მიმართებით, სქესი, განათლების დონე, დასაქმების სტატუსი, საცხოვრებელი არეალი, თავისუფალი დროის კოეფიციენტი, შვილების რაოდენობა)	
როგორია ჩართულობისადმი მათი დამოკიდებულება?	**წუხილი და შიში:** • როგორია მათი ზოგადი წარმოდგენა მშობელთა ჩართულობის შესახებ? • როგორ აფასებენ მშობლები პირად გამოცდილებას, საკუთარი თავით რამდენად კმაყოფილნი ან უკმაყოფილონი არიან და რატომ? • რისი გაკეთება მოუწევთ, თუ უფრო აქტიური მშობლები იქნებიან და ამით რა შეიცვლება მათი შვილების ცხოვრებაში? • რაიმე რისკს თუ ხედავენ მშობელთა ჩართულობაში? • რამდენად თავდაჯერებულები არიან სკოლასთან ურთიერთობაში? • რამდენად კომპეტენტურად გრძნობენ თავს სკოლასთან კომუნიკაციის დროს?
	საჭიროებები და მოტივაცია: • რა სჭირდებათ სკოლისგან, პედაგოგისგან იმისთვის, რომ იყვნენ უფრო აქტიური მშობლები? • მათი აზრით, რა მოტივი ამოძრავებთ სხვა აქტიურ და პასიურ მშობლებს? • რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, იყვნენ მშობელთა დიდი ჯგუფის თანამოაზრენი და არ გაემიჯნონ საერთო ხედვებს?
რა განაპირობებს მათ ჩართულობას?	**სარგებლის აღქმა:** • რა სარგებელი მოაქვს ბავშვისთვის მშობლების პასიურობას და აქტიურობას? • რისი მოლოდინის შემთხვევაში გახდებოდა უფრო აქტიური მშობელი? • რას გააკეთებდა სიამოვნებით სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობისას? როგორ იგრძნობდა თავს, სკოლა რომ ასეთ შესაძლებლობას აძლევდეს?
	ცვლილებაზე გავლენის აღქმა: • რამდენად გრძნობენ პასუხისმგებლობას, როგორ განათლებას მიიღებს სკოლაში მათი შვილი? რა სახის საქმეში კონვერტირდება ეს პასუხისმგებლობა? • რამდენად გრძნობენ ძალას, გავლენა მოახდინონ სასკოლო ცხოვრებაზე?
ამ შეკითხვებზე მიღებული პასუხებით პედაგოგი გამოავლენს პასიურ მშობლებს, დაადგენს მათ რაოდენობას, პასიურობის მიზეზებს, მათ წუხილს, შიშს, საჭიროებებს, მოტივაციას. მათთვის პოტენციური სარგებლისა და ცვლილებებზე გავლენის აღქმას. მიღებული ინფორმაცია პედაგოგს დაეხმარება, ისე დაგეგმოს მომავალი აქტივობები, რომ ყველა ძირითადი ჯგუფის საჭიროებები და მოტივაცია გაითვალისწინოს.	

რა შეიძლება შესთავაზოს პედაგოგმა მშობლებს, რომ ხელი შეუწყოს მომავალში მათ გააქტიურებას? ცალკეული კლასის შემთხვევაში, შესაძლოა, განსხვავებული აქტივობების დაგეგმვა გახდეს საჭირო. იმის მიხედვით, თუ რას აჩვენებს მშობლებისგან მიღებული პასუხები. ზოგადი რეკომენდაციებით კი, მასწავლებელმა შემდეგ ფაქტორებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება:

- **გაუბედაობის გამო დემოტივირებული მშობლები** – მასწავლებელი მშობლების რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გეგმავს აქტივობებს, რათა ყველას მიეცეს შანსი, დააგროვოს კარგი გამოცდილება. მასწავლებელი აფასებს მათ წვლილს და ხაზს უსვამს მათ პოზიტიურ გავლენას სკოლის განვითარებაში.

თუ პედაგოგს პასიური მშობლების გააქტიურება სურს, პირველი, რაც უნდა გააკეთოს, მათი პასიურობის მიზეზების გარკვევაა. იმის დასადგენად, რომელი მშობელი რომელ ჯგუფს მიეკუთვნება, ყველაზე მარტივი გზა არაფორმალურ გარემოში მშობლებთან ინდივიდუალური გასაუბრებაა.

- დროის არმქონე მშობლები – მასწავლებელი მშობლების თავისუფალი დროის გათვალისწინებით ადგენს აქტივობების განრიგს და წინასწარ აცნობს მათ, რათა შეძლონ თადარიგის დაჭერა და აქტივობებში ჩართვა. საზღვარგარეთ მცხოვრები მშობლების შემთხვევაში, მათთან ერთად დისტანციურად განიხილავს შესაძლო მონაწილეობის სცენარებს, მაგალითისთვის, სთავაზობს იმ ქვეყანაში არსებული ტრადიციების შესახებ მოამზადონ თემა, სადაც ამჟამად იმყოფებიან და ონლაინ- ფორმატში გაუზიარონ მოსწავლეებს.
- ნიჰილისტი და/ან ინდიფერენტული მშობლები – მასწავლებელი ცდილობს, მშობლებს აჩვენოს, რამდენად დიდი გავლენა აქვს მათ მონაწილეობას ბავშვის განვითარებაზე, უზიარებს მშობელთა ჩართულობის წარმატების მაგალითებს, რათა საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნდეთ. ასევე, უზიარებს სხვადასხვა მულტიმედია მასალებს, სადაც მშობლობის ინდიფერენტული სტილისა და მისი თანმხლები ზიანის შესახებ საუბრობენ სპეციალისტები; სთავაზობს დიალოგისთვის უსაფრთხო სივრცეს, სადაც შესაძლებელი იქნება მათი ხედვების გაზიარება და მსჯელობა.

ნინო ლომიძე

კითხვა – უწინ და ახლა, ჩუმად და ხმამაღლა

ზოგადად, კითხვა სოციალური, საჯარო, ფუნქციური კულტურული აქტი იყო საუკუნეების განმავლობაში. სახალხო მთქმელები, შაირობები, გაბაასებები, ზღაპრებისა და თქმულებების ზეპირსიტყვიერად გადაცემის ტრადიცია – ეს ყველაფერიც „კითხვის“ წინამორბედი ფორმებია.

ერთი გასართობი მაქვს – ცნებებში ღრმად ყვინთვა.

დავინტერესდი, როდის იქცა კითხვა – ეს აქტი – იმად, რაც ახლაა, რატომ და რა მიზნით კითხულობენ ადამიანები, რა იყო „კითხვა“ უწინ და რა არის ის დღეს.

კითხვა – ეგოცენტრიზმი?

როგორ გგონიათ, დიდი ხანია ვკითხულობთ ჩუმად და მარტო?

უცნაური კითხვაა, არა?

თუმცა კითხვის ისტორიას, ამ აქტის ისტორიული განვითარების ხაზს თუ დავაკვირდებით, უცნაურად აღარ მოგვეჩვენება. ამასთან, აღმოჩნდება, რომ წინა საუკუნეებში მარტო კითხვა და საკუთარი თავისთვის კითხვა მიიჩნეოდა უცნაურ, უჩვეულო ქმედებად.

ამის დასტურად ერთ ამონარიდს მოვიშველიებ ნეტარი ავგუსტინეს წიგნიდან „აღსარებანი“.

ბაჩანა ბრეგვაძის თარგმნილი „აღსარებანი“ წარმტაცი საკითხავია თანამედროვე მკითხველისთვის. წიგნში ავგუსტინე ავრელიუსი (354-430 წლები) მოგვითხრობს თავის ცხოვრებაზე, პიროვნულ განვითარებაზე, გულწრფელად გვიზიარებს ფიქრებს, მოსაზრებებს, თვალთახედვას და საოცრად საინტერესოდ აღწერს თანამედროვეობის რეალიებს.

მეექვსე წიგნის მესამე თავში ავგუსტინე ახსენებს მისთვის პატივცემულ სასულიერო პირს, ამბროსის. აღწერს მის ერთ ჩვეულებას – როცა მთხოვნელები არ ჰყავდა, დროის მცირე მონაკვეთს როგორც კი იხელთებდა თავისუფალს, ხორციელ ძალას საზრდოთი ივსებდა და სულიერს – კითხვითო. საგანგებოდ ჩერდება მისთვის ჩვეული კითხვის მანერაზე, რომელიც უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე (ანუ უჩვეულოს იმ პერიოდისთვის). ავგუსტინე წერს:

კითხვისას მისი (ამბროსის) მზერა სწრაფად დასრიალებდა წიგნის ფურცლებზე, ენა კი დუმდაო. ავგუსტინე ცდილობს ამოიცნოს, რატომ მიმართავს კითხვის ამ უჩვეულო მანერას ამბროსი და ასკვნის – ხმამაღლა კითხვას იმიტომ არიდებდა თავს, რომ მისი სმენით მოხიბლული რომელიმე მსმენელი აღარ შეაწუხებდა, არ შეაჩერებდა და რაიმეს განმარტებას არ ითხოვდაო. ამბროსის არ უნდოდა, უფრო ნაკლები დრო დარჩენოდა საკითხავად, ვიდრე თავად სურდა და სულაც, ეგეც რომ არ იყოს, ჩუმად კითხვით ხმას უფრთხილდებოდა, რომელიც ხშირად ეხრინწებოდა ხოლმეო.

ასე საფუძვლიანად „ამართლებს“ ავგუსტინე ამბროსის „ეგოცენტრულ“ და სათავისო ქმედებას – კითხვას.

კითხვა – რეტროსპექტივა

ზოგადად, კითხვა სოციალური, საჯარო, ფუნქციური კულტურული აქტი იყო საუკუნეების განმავლობაში. სახალხო მთქმელები, შაირობები, გაბაასებები, ზღაპრებისა და თქმულებების ზეპირსიტყვიერად გადაცემის ტრადიცია – ეს ყველაფერიც

„კითხვის“ წინამორბედი ფორმებია.

გავიხსენოთ ჰაგიოგრაფიული ჟანრის ტექსტების სპეციფიკა და დანიშნულებაც – ტექსტები იკითხებოდა ეკლესიებში, საჯაროდ, ხმამაღლა და განკუთვნილი იყო მორწმუნეებისთვის: რწმენის გასაძლიერებლად, სწორი/საჭირო მორალური ორიენტირების მოსანიშნად, ინდოქტრინაციისთვის.

აქვე ვახსენოთ მე-19 საუკუნის დასაწყისში აღმოცენებული კულტურული „კერები“ – სალონები. ზოგადად, უძველესი დროიდან ქართველ მეფეთა კარზე ტრადიციულად იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური პაექრობები და თეატრალური წარმოდგენები, კითხვა და პოეტური „შერკინებები“ პოპულარული იყო ოდითგანვე და ამის დამადასტურებელი ფოლკლორული მასალა მრავლად გვაქვს. მე-19 საუკუნეში საჯარო კითხვის ტრადიციამ სალონებში გადაინაცვლა. აქ იკრიბებოდნენ საზოგადოების ნიჭიერი, მოაზროვნე წარმომადგენლები, პოეტები, მუსიკოსები, კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს, თარგმანებს, აწყობდნენ განხილვებს...

ამ საკითხების ხსენება რომანტიკოსების შემოქმედების შესწავლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეებისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა თავის დროზე „არ გვქონოდა ბარათაშვილის კრებული“. კითხვისა და წიგნების გავრცელების ისტორია ბევრ კითხვას მოჰფენს ნათელს.

მა სატრანსპორტო საშუალებამ, გავლენა იქონია მე-19 საუკუნეში დაწერილი ევროპული ტექსტების ჟანრსა და ფორმაზე. წიგნები იწერებოდა და იბეჭდებოდა იმ გათვლით, რომ მატარებლების მგზავრებს შესძლებოდათ, ბაქანზე შეეძინათ იაფი გამოცემები და მგზავრობის დროსვე წაეკითხათ.

მხატვრულ გამონაგონში, მხატვრულ სამყაროში გადაბარგება, იქ ყოფნის განცდა, სხვა როლის მორგება და სხვად გარდასახვის მიმზიდველი მდგომარეობა საინტერესოა.

სასკოლო სისტემური განათლების საწყის ეტაპზე ხმამაღლა კითხვა დასწავლის ერთადერთი საშუალებაც იყო, რადგან სახელმძღვანელოების საკმარისი რაოდენობით ბეჭდვა ვერ ხერხდებოდა. წიგნი ყოველთვის ძვირი სიამოვნება გახლდათ და პორტრეტებზე წიგნით ხელში გამოსახვა სოციალურ უპირატესობაზე მიუთითებდა.

ცოტა რამ საერო ტექსტებზეც ითქვას. საინტერესოა, რომ მხატვრულ ლიტერატურას საუკუნეთა განმავლობაში იგივე დანიშნულება ჰქონდა, რაც დღეს სერიალების ინდუსტრიას აქვს. გაიხსენეთ კლასიკური რომანების, სარაინდო და ისტორიული რომანების სტრუქტურა – თავებად დაყოფა, თავების საინტერესო ადგილებზე „შეჩერება“, რომ ინტერესი გაღვივებულიყო, სიუჟეტური სვლები და ინტრიგები, კომპოზიციური აგებულება ტექსტებისა. სერიალების შემოქმედები მეტწილად იყენებენ და აგრძელებენ ამ ტრადიციას.

ცნობილია ისიც, რომ მატარებელმა, როგორც პოპულარულ-

მოთხრობები, რასაკვირველია, ამისთვის ზედგამოჭრილი იყო.

რომანები დოზირებულად და გაგრძელებებით იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში. მკითხველი ხშირად „ზემოქმედებდა“ სიუჟეტის განვითარებაზე. საყვარელი ან საძულველი პერსონაჟების ბედსა და იღბალს მწერლები ზოგჯერ სწორედ მკითხველთა „დაკვეთით“ ცვლიდნენ (ნიმუშად შეიძლება დასახელდეს ჩარლზ დიკენსის „დიდი იმედები“, რომელშიც მთავარი გმირის, ჰიპის ბედი მეტად ტრაგიკული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მკითხველთა და ასევე გამომცემლის თხოვნით, მწერალმა „გარემოებები შეამსუბუქა“).

კითხვა – მნიშვნელობა

წიგნში „კითხვის ისტორია“ სტივენ როჯერ ფიშერს მოჰყავს ასეთი პარადოქსული ილუსტრაცია: ჯონსმა დაისწავლა ბერძნული ანბანი, ასო-ნიშნები, მაგრამ ბერძნული ენა ჯერ არ იცის. ანდროპოლისი გაიზარდა ბერძნულენოვან გარემოში,

საუბრობს ბერძნულად, მაგრამ ბერძნული ანბანი არ იცის, ვერ კითხულობს. ერთ დღეს ანდროპოლისმა მიიღო წერილი საბერძნეთიდან და ჯონასმა წაუკითხა მას. ჯონასს შეუძლია ასო-ნიშნების ამოკითხვა, გახმოვანება, მაგრამ არ შეუძლია ამოკითხულის გაგება. ანდროპოლისს შეუძლია ამოკითხულის გაგება, მაგრამ არ შეუძლია ასო-ნიშნების ამოკითხვა.

ისმის შეკითხვა – ვინ წაიკითხა? ვინ არის მკითხველი?

პასუხი თვალსაჩინოა (ასკვნის ფიშერი) – ორივე!

მაშ, რას ნიშნავს კითხვა?

მოსწავლეებს ხშირად ვუმეორებ – კითხვა მხოლოდ სტრიქონებისთვის თვალის გაყოლება და დაწერილის მექანიკური ამოკითხვა არაა. კითხვა ინტელექტუალური გარჯაა და აუცილებლად უნდა ტოვებდეს საფიქრალს. საზრდოს მიღებისას რომ დაკმაყოფილების განცდა გვრჩება, ამავენაირად უნდა გასდევდეს კითხვის აქტს დაკმაყოფილების შეგრძნება – რომ რაღაც შეიძინე, ახალი საფიქრალი გაჩნდა, ან ძველი „დალაგდა“. კითხვა, ერთი შეხედვით, პასიური აქტი, სინამდვილეში შინაგანი დინამიკურობითაა გამორჩეული. საინტერესოა, რომ დასმულ კითხვაზე – რა არის კითხვა (მასალის მომზადებისას მცირე გამოკითხვა გავაკეთე) – გამოკითხულთა უმრავლესობამ ასოციაციურად ის სწორედ დინამიკურ პროცესს, მოგზაურობას, სხვა სამყაროში გადაბარგებას დაუკავშირა.

კითხვა – თერაპია, კათარსისი

კითხვა, ბევრ სხვა სარგებელთან ერთად, სიამოვნების მომნიჭებელი, თერაპიული აქტია. ზოგჯერ განტვირთვაში გვეხმარება, დაძაბულობის მოხსნაში, ზოგჯერ მაკურნებელი ეფექტი აქვს. მხატვრულ გამონაგონში, მხატვრულ სამყაროში გადაბარგება, იქ ყოფნის განცდა, სხვა როლის მორგება და სხვად გარდასახვის მიმზიდველი მდგომარეობა საინტერესოა. ნაბოკოვი თავის ლექციებში განასხვავებდა კითხვის ორგვარ ეფექტს: მკითხველს შეუძლია თავი ტექსტის გმირად წარმოიდგინოს – ამას ის ინფანტილურ მიდგომას უწოდებდა; მკითხველს, ამავდროულად, შეუძლია თავადაც იქცეს დემიურგად, თანაშემოქმედად და საკუთარი სამყარო შექმნას წაკითხულიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ინტიმური აქტი დაუვიწყარი, ფასდაუდებელი გამოცდილებაა და, რა თქმა უნდა, საბაზისო საჭიროებად ვერ ჩაითვლება, თუმცა ხარისხიანი, სისხლსავსე ცხოვრების უცილობელ შემდგენლად – კი.

საინტერესო შემეცნებით თავგადასავლებსა და მოგზაურობას გისურვებთ კითხვის საოცარ სამყაროში, ძვირფასო მკითხველებო!

ქეთევან ოსიაშვილი

კონფლიქტები მშობლებსა და შვილებს შორის – გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები

კონფლიქტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, მან შეიძლება ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ ურთიერთობაში იჩინოს თავი. გამონაკლისს არც მშობლებისა და შვილების ურთიერთობა წარმოადგენს. მართალია, ეს კონფლიქტი ორივე მხარისთვის არასასიამოვნოა, მაგრამ წინააღმდეგობების სრულად თავიდან აცილება ყველაზე მშვიდობიან ოჯახებშიც კი შეუძლებელია. უთანხმოება უფროსებსა და ბავშვებს შორის ყოველთვის ხდება, მაგრამ იმისათვის, რომ ის ჩხუბსა და რთულ ურთიერთობაში არ გადაიზარდოს, საჭიროა, ვიცოდეთ კონფლიქტის სწორად მართვა. კარგი იქნება, თუ კონფლიქტის არცერთი მონაწილე არ დარჩება დამცირებული, შეურაცხყოფილი და დამარცხებული.

კონფლიქტი მშობლებსა და შვილებს შორის ოჯახში ქმნის დაძაბულ, ნეგატიურ ატმოსფეროს, რომელიც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. როგორც წესი, ბავშვები უფროსების მაგალითზე სწავლობენ კომუნიკაციას. ამიტომ, პირველ რიგში, ჩვენ, უფროსებს, უნდა შეგვეძლოს კონფლიქტების უმტკივნეულოდ მოგვარება.

მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტმა შეიძლება ნებისმიერ ასაკობრივ საფეხურზე იჩინოს თავი, დაწყებული ადრეული ასაკიდან. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგანაც პატარები განვითარების პროცესში სწავლობენ სხვა ადამიანებთან ურთიერთობას, ემოციების მართვას, მოთხოვნილებებისა და სურვილების გამოხატვას. ადრეულ ასაკში პატარას უჭირს გრძნობებისა და ემოციების მართვა, ამიტომ შეიძლება ხშირად გამოავლინოს ისტერიკა და აგრესია, თუ ის გაბრაზებული, გაღიზიანებული და იმედგაცრუებულია. ასაკის მატებასთან ერთად თავს იჩენს უთანხმოების ახალი მიზეზები, რომლებიც შეიძლება ოჯახური კონფლიქტების მაპროვოცირებელი გახდეს. მნიშვნელოვანია, ასეთ მომენტებში უფროსებმა ვისწავლოთ ბავშვის გაგება და მხარდაჭერა იმისათვის, რომ დავეხმაროთ მას კონფლიქტების გადაჭრაში ჯანსაღი და კონსტრუქციული გზით. ამისათვის კი აუცილებელია, ვიცოდეთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი.

მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტების ყველაზე გავრცელებული მიზეზები:

- **წარუმატებლობა სწავლაში** – მშობლების დიდი ნაწილი ბავშვთან კონფლიქტის მიზეზად სწორედ სწავლაში წარუმატებლობას მიიჩნევს. როდესაც მშობელი ძალისხმევას არ იშურებს, რომ ყველა პირობა შეუქმნას შვილს კომფორტული სწავლისთვის, საპასუხოდ კი ხედავს, რომ ბავშვს სურვილი არა აქვს კარგად სწავლის და დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, როგორც წესი, ის ვერ მალავს უკმაყოფილებას. მშობლის აღშფოთება და უკმაყოფილება შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს პედაგოგის ისეთმა გამოხმაურებებმა, როგორიცაა: „არ ისწავლა“, „არ გააკეთა“, „არ შეასრულა“ და სხვა. ყოველივე ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული შეზღუდვების დაწესება ბავშვისთვის, მისი დასჯა. ასეთ სიტუაციებში მოზარდი ყოველთვის ვერ ახერხებს შეცდომების აღიარებას და ქცევის უკეთესობისკენ შეცვლას. შეხედულებების განსხვავება ან საერთო ენის პოვნის უუნარობა შეიძლება ოჯახში ხანგრძლივი კონფლიქტის მიზეზი გახდეს.
- **ქცევის წესები და მათი დარღვევა** – მოზარდების აზრით, ყველაზე ხშირად მშობლებთან კონფლიქტები ჩნდება ოჯახში დადგენილი

მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტმა შეიძლება ნებისმიერ ასაკობრივ საფეხურზე იჩინოს თავი, დაწყებული ადრეული ასაკიდან. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგანაც პატარები განვითარების პროცესში სწავლობენ სხვა ადამიანებთან ურთიერთობას, ემოციების მართვას, მოთხოვნილებებისა და სურვილების გამოხატვას.

ასაკის მატებასთან ერთად თავს იჩენს უთანხმოების ახალი მიზეზები, რომლებიც შეიძლება ოჯახური კონფლიქტების მაპროვოცირებელი გახდეს. მნიშვნელოვანია, ასეთ მომენტებში უფროსებმა ვისწავლოთ ბავშვის გაგება და მხარდაჭერა იმისათვის, რომ დავეხმაროთ მას კონფლიქტების გადაჭრაში ჯანსაღი და კონსტრუქციული გზით.

წესების დარღვევის გამო – ტელევიზორის, კომპიუტერის, ტელეფონის ბოროტად გამოყენება, დღის რეჟიმის დარღვევა, დისციპლინის ნაკლებობა, ოჯახური მოვალეობების იგნორირება. ბავშვებს უყვართ მშობლების ნერვების გამოცდა სიმტკიცეზე, განსაკუთრებით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იმ იმედით, რომ სხვა ადამიანების თანდასწრებით ნებადართულობის საზღვრები გაფართოვდება. თუმცა დედებისა და მამების უკმაყოფილებას ამძაფრებს გარშემომყოფი ადამიანების რეაქციები, რაც მშობელს უჩენს სირცხვილის გრძნობას შვილის საქციელის გამო. ყოველივე ამის შედეგად კი კონფლიქტი გარდაუვალია.

მშობლებისა და შვილების განსხვავებული მსოფლმხედველობა – ბავშვობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მშობლები მოზარდების მიერ აღიქმებიან, როგორც ყველაზე ჭკვიანები, საუკეთესოები, ყველაზე გამოცდილები. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვები იწყებენ საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას გარემომცველ სამყაროზე: უჩნდებათ საკუთარი ინტერესები, ჩაცმის საკუთარი მანერა, საკუთარი მიზნები და პრიორიტეტები. ამასთან ერთად, ავტორიტეტული ხდება თანატოლების და არა მშობლების მოსაზრებები, რაც უფროსების სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს და კონფლიქტების გაჩენის ალბათობას ზრდის. მამებისა და შვილების პრობლემა ისეთივე ძველია, როგორც სამყარო. ამის გამო კონფლიქტების უმრავლესობა ჩნდება არა მხოლოდ მეამბოხე მოზარდებთან, არამედ მოზარდი თაობის ნებისმიერ წარმომადგენელთან. ბევრი მშობელი ცდილობს, თანამედროვე მოზარდი შეადაროს საკუთარ თავს იმავე ასაკში. ხშირად უფროსებს არ სურთ, მიიღონ ახალი ღირებულებები, გარემომცველი სამყაროს თავისებურებები და პროგრესი. შედეგად, მშობლები იწყებენ ავტორიტეტით ზეწოლას, მოზარდი კი ცდილობს, დაიცვას საკუთარი ინტერესები. ყოველივე აღნიშნული, დიდი ალბათობით, კონფლიქტამდე მიგვიყვანს.

უთანხმოება მშობლებს შორის – მშობლებს შორის უთანხმოებამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვებთან კონფლიქტი მრავალი მიზეზის გამო. პირველ რიგში, კონფლიქტი გარდაუვალია, როდესაც მშობლები სხვადასხვანაირად უდგებიან ბავშვის აღზრდას, მაგ., დედა თვლის, რომ საჭიროა მოლაპარაკება ბავშვთან, მამა კი დარწმუნებულია, რომ დასჯა აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. მშობლების შეუთანხმებლად მოქმედება აბნევს ბავშვს, ის თავს დაუცველად და საკუთარ თავში დაურწმუნებლად გრძნობს. ამ გრძნობებმა შეიძლება აიძულოს ბავშვი, გამომწვევად მოიქცეს და ეჩხუბოს მშობლებს. გარდა ამისა, კონფლიქტები უფროსებს შორის, რომლებიც ემოციური ფორმით ვლინდება ბავშვის თანდასწრებით, უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდზე – ეუფლება შიშის გრძნობა, იკეტება საკუთარ თავში, ან ხდება აგრესიული, კონფლიქტური.

აღზრდის ავტორიტარული სტილი – ოჯახში, სადაც მოზარდი თაობის აზრი არ არის გათვალისწინებული, სადაც მშობლები ჰიპერკონტროლის საშუალებით უფლებას არ აძლევენ ბავშვს, იყოს ინიციატივიანი, შეიძლება გაჩნდეს დაპირისპირება მშობლებსა და შვილებს შორის. ავტორიტარი მშობლები, როგორც წესი, ბავშვის ნაცვლად წყვეტენ ყველა საკითხს, უზღუდავენ მას დამოუკიდებლობას. ასეთ ოჯახში მოზარდი ეჩვევა საკუთარი გრძნობებისა და ემოციების დათრგუნვას და ყველაფერში უფროსების მორჩილი ხდება. მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო ბავშვს უძლიერდება ემოციური დაძაბულობა და რაღაც მომენტში ის აუცილებლად „აფეთქდება“ – დაიწყებს აგრესიის გამოვლენას, დაუმორჩილებლობას, ნებისმიერი მიზეზით ყვირილს, ისტერიკას. ასეთი მოქმედებებით მოზარდი შეეცდება, თავი დაიცვას ზედმეტად მკაცრი უფროსებისაგან.

რეკომენდაციები – როგორ დავძლიოთ კონფლიქტები მოზარდებთან:

- მიუხედავად იმისა, თუ რა იყო მოზარდთან კონფლიქტის მიზეზი, ყოველთვის უნდა ვეცადოთ პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. კარგი იქნება, თუ უარს ვიტყვით ნებისმიერი სასჯელის გამოყენებაზე – შეზღუდვები, მით უმეტეს ფიზიკური ძალადობა, ნამდვილად არ შეუწყობს ხელს თაობებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. უფროსების ასეთმა საქციელმა შეიძლება, პირიქით, ბავშვი კიდევ უფრო მტრულად განაწყოს.
- შევეცადოთ, გავარკვიოთ ჩვენი გაღიზიანების და განაწყენების მიზეზი ემოციებზე დაყრდნობის გარეშე. მივცეთ საკუთარ თავს დრო, შევჩერდეთ, ავიღოთ პაუზა. პაუზა ძალიან სასარგებლოა კონფლიქტის დროს. ის იძლევა დაძაბულობის განელების შესაძლებლობას, რომ ცხელ გულზე რაიმე არასასიამოვნო არ ვუთხრათ მოზარდს. მივცეთ მასაც და საკუთარ თავსაც დამშვიდების შესაძლებლობა, რომ ყველაფერი გავიაზროთ საღი გონებით და ობიექტურად შევაფასოთ. პაუზის დროს შეგვიძლია მივიღოთ უფრო გონივრული გადაწყვეტილება და ვიპოვოთ ოპტიმალური გამოსავალი.
- შევეცადოთ, გავიგოთ მოზარდის სამყარო, მისი მოტივაცია – იმოქმედოს ასე თუ ისე გარკვეულ სიტუაციაში, მისი მიზნები კონფლიქტის პროვოცირებისას.
- ნუ შეგვეშინდება, გამოვხატოთ აზრები გულწრფელად, ვესაუბროთ ბავშვს ჩვენი აღშფოთების მიზეზებზე, დავინტერესდეთ, თუ როგორ გრძნობს ის თავს, რას განიცდის, რა აღელვებს, რა უხარია.
- მივცეთ ბავშვს საშუალება, გამოთქვას თავისი აზრი, ყურადღებით მოვისმინოთ მისი პოზიცია მაშინაც კი, თუ ის არ ემთხვევა ჩვენს პოზიციას.
- განვიხილოთ კონფლიქტი დეტალურად. ნუ შევეცდებით, დავარწმუნოთ ბავშვი ჩვენს სიმართლეში, შევეცადოთ, ერთობლივი ძალისხმევით აღმოვაჩინოთ მიზეზშედეგობრივი კავშირი მოვლენებს შორის.
- შევთავაზოთ მოზარდს კონფლიქტიდან გამოსვლის საკუთარი ვარიანტები და შევადაროთ ისინი მის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტებს.
- ვისწავლოთ დათმობა და ვასწავლოთ ბავშვს კომპრომისზე წასვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უთანხმოების დაძლევა მშვიდად, კონფლიქტის თითოეული მონაწილის აზრებისა და ქცევის მოტივების პატივისცემით. ერთობლივი მუშაობა მოზარდებთან შეცდომების გამოსასწორებლად დაგვეხმარება, უკეთესად გავუგოთ მათ და მათაც შეძლონ ჩვენი გაგება.

თემურ სუყაშვილი

ციფრული ჩვევები და მათი შემოწმება

ტექნოლოგიების განვითარებისა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდის პარალელურად, თავს იჩენს მოზარდებში სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება. ჩვენი მოსწავლეები ეკრანებთან დიდ დროს ატარებენ. ზოგს შეუძლია აამოქმედოს თვითკონტროლის მექანიზმები, ნაწილს მშობლები ეხმარებიან დროის კონტროლში. გვრჩება კიდევ იმ მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, რომელთაც სჭირდებათ დახმარება.

ტექნოლოგიების განვითარებისა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდის პარალელურად, თავს იჩენს მოზარდებში სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება. ჩვენი მოსწავლეები ეკრანებთან დიდ დროს ატარებენ. ზოგს შეუძლია აამოქმედოს თვითკონტროლის მექანიზმები, ნაწილს მშობლები ეხმარებიან დროის კონტროლში. გვრჩება კიდევ იმ მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, რომელთაც სჭირდებათ დახმარება დამოკიდებულების შემცირების, შესაბამისი ჩვევების გამომუშავებისა თუ განმტკიცების კუთხით. ამავდროულად, ვიცით, რომ სოციალურ ქსელებში და ვიდეოთამაშებთან განუსაზღვრელი დროის გატარება მოზარდის ფსიქიკასა და კეთილდღეობაზე უარყოფითად მოქმედებს.

როგორ დავაფიქროთ იმ დროზე, რომელსაც ახალგაზრდები ჭკვიან მოწყობილობებთან ატარებენ? როგორ ჩამოვუყალიბოთ ციფრული ჩვევები? რა და როგორ შევთავაზოთ სანაცვლოდ?

ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება ციფრული ჩვევების გამოვლენისა და შემოწმების ინსტრუმენტი. მნიშვნელოვანია, რომ ამ რესურსის გამოყენებით მოზარდებს ვუბიძგებთ, თვითონ გაწერონ გეგმა-ნაბიჯები, რათა გამოიმუშაონ შესაბამისი უნარები ან უფრო განამტკიცონ სასურველი ციფრული ჩვევა.

როგორ გამოვიყენოთ რესურსი?

შემოთავაზებული რესურსი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. მოსწავლე მუშაობს ინდივიდუალურად ან წყვილში. მასწავლებელი ფასილიტატორის როლში გვევლინება და მკაფიო ინსტრუქციებით ეხმარება მას აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლაში.

შეამოწმე

ჩამოთვალეთ თქვენი ციფრული ჩვევები და გვერდით დახატეთ შესაბამისი ემოცია (ციფრული ჩვევა შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი).

არასასურველი ციფრული ჩვევების მაგალითი:

- ყოველდღე ვატარებ 4-5 საათს სოციალურ ქსელში;
- დაუფიქრებლად ვაზიარებ სენსაციურ ამბებს/ფოტოებს;
- მეგობრებს ვხვდები მხოლოდ ონლაინ;
- გათენებისას და ძილის წინ ვამოწმებ ინსტაგრამს, ტიკტოკს და ა.შ.;
- მუდმივად ჩართული მაქვს ინტერნეტი/WiFi;
- როცა მძინავს, ტელეფონი მიდევს ახლოს/ბალიშის ქვეშ.

სასურველი ჩვევის მაგალითი:

- სპეციალურ ვებგვერდებზე ვამოწმებ საჭვო სურათებსა და ვიდეოებს;
- ყოველდღე ვსწავლობ 10 ახალ უცხო სიტყვას აპლიკაციის დახმარებით;
- ყოველკვირეულად ვკითხულობ სამეცნიერო სტატიას;
- ვიყენებ მობილურ აპლიკაციებს, რომლებიც მეხმარება დროის დაგეგმვაში.

ინსტრუქცია მასწავლებელს

დაფაზე/დიდი ზომის ქაღალდზე დაწერეთ ციფრული ჩვევის მაგალითები. შეიძლება დასაწყისში მოსწავლეებს გაუჭირდეთ ქცევის იდენტიფიცირება, ამიტომ გონებრივი იერიშით ერთობლივად გამოავლინეთ რამდენიმე მაგალითი.

შეარჩიე

შეარჩიე ერთი ან რამდენიმე ციფრული ჩვევა, რომელიც გინდა, რომ შეცვალო ან გააუმჯობესო. რატომ არის ამ კონკრეტული ჩვევის/ჩვევების შეცვლა/გაუმჯობესება მნიშვნელოვანი?

ინსტრუქცია მასწავლებელს

დასაწყისისთვის რთულად მისაღწევი მიზნის დასახვა არ არის სასურველი. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს განუმარტოთ, რომ შეარჩიონ ისეთი ჩვევა, რომლის შეცვლა ან გამტკიცება არ არის დაკავშირებული დიდ სირთულეებთან. აქვე მათ მკაფიოდ უნდა დაასაბუთონ, თუ რატომაა შერჩეული ციფრული ჩვევების შეცვლა ან გაუმჯობესება მნიშვნელოვანი და აუცილებელი.

გამოიწვიე

გამოიწვიე საკუთარი თავი. შეადგინე/ჩამოაყალიბე მკაფიო გეგმა და აღწერე, როგორ აპირებ ჩვევის შეცვლას/ჩანაცვლებას/განმტკიცებას. იფიქრე, როდის გააკეთებ რაღაც განსხვავებულს და რისი გაკეთება შეგიძლია არასასურველი ციფრული ჩვევის სანაცვლოდ. რით ჩაანაცვლებ უარყოფით ჩვევას?

ინსტრუქცია მასწავლებელს

ამ ნაწილში მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს განვუმარტოთ, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ იმის თქმა, თუ რისი შეცვლა გვინდა – მთავარია, რას გავაკეთებთ სანაცვლოდ. ამით ჩვენ მათ ვუბიძგებთ ფიქრისა და მოქმედებისკენ.

გაამყარე/გააძლიერე შენი გამოწვევა

არასასურველი ციფრული ჩვევების შესაცვლელად ადამიანი დამატებით სტიმულებს საჭიროებს. იფიქრე იმაზე, თუ რა შეგიძლია გააკეთო ისე, რომ უკან არ დაუბრუნდე ჩვევებს. საკუთარ თავს მიეცი პირობა და დაწერე მისი შესრულების თარიღი.

ინსტრუქცია მასწავლებელს

მავნე ჩვევებზე უარის თქმა უფროსებსაც გვიჭირს. რამდენჯერ დაგვიწყია დიეტა, ვარჯიში, უარი გვითქვამს ალკოჰოლის მიღებაზე... მაგრამ ნებისყოფა ბოლომდე არ გვყოფნის. ამიტომ მოზარდებს განსაკუთრებული მხარდაჭერა და წახალისება სჭირდებათ.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებთან ერთად განიხილოთ ის ბარიერები, რომელთაც შეიძლება წააწყდნენ/შეეჯახონ ჩვევაზე უარის თქმის ან დადებითი ჩვევის განმტკიცების პროცესში. ამიტომ, შესთავაზეთ მოსწავლეებს, ჩვევაზე უარი თქვან სამი დღით, შემდეგ – ერთი კვირით, გაზარდონ ორ კვირამდე და ა.შ. თუ ვერ შეძლებენ, დააზუსტებინეთ – რატომ? თუ კი – როგორ? რით ჩაანაცვლებენ? ასეთ შემთხვევაში, შეიძლება შესთავაზოთ შემდეგი: ხომ არ აჯობებს, გადახედოთ/დაუბრუნდეთ თავდაპირველ ჩამონათვალს და შეარჩიოთ ისეთი, რომელიც უფრო დაძლევადია/რომელზე უარის თქმაც უფრო მარტივია.

სავარჯიშოს შესრულებისა და შემდგომი დისკუსიების/განხილვების დროს შეიძლება გამოვლინდნენ მოსწავლეები, რომლებსაც მსგავსი ციფრული ჩვევები აქვთ შერჩეული. მეტი მდგრადობისთვის შესაძლებელია, შესთავაზოთ დაწყვილება და პარტნიორთან ერთად დაგეგმვა.

თვალყური ადევნე „მოგზაურობას“

ციფრულ ჩვევებზე უარის თქმა ან დადებითი ჩვევის განმტკიცება ხანგრძლივი პროცესია. ის მოკლე დროში ვერ მიიღწევა. მნიშვნელოვანია, გავზომოთ ჩვენი პროგრესი. ყოველდღე დაუსვი საკუთარ თავს შემდეგი კითხვები:

- როგორ ასრულებ გამოწვევას და გეგმას?
- რამ გაართულა დღეს გამოწვევის შესრულება ან რამ გააადვილა?
- რა შეიძლება გააკეთო ხვალ უკეთ?

ინსტრუქცია მასწავლებელს

მოსწავლეებმა თვითდაკვირვებისთვის შეიძლება აწარმოონ დღიური, გააკეთონ ჩანაწერები, ასევე დოკუმენტური ხასიათის ვიდეოჩანაწერები. ეს მნიშვნელოვანია შედარებისთვის. დათქმული დროის გასვლის შემდეგ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ საკუთარი პროგრესის შეფასება და კლასში გაზიარება.

ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ მათ აქვთ ძალა, შესაძლებლობა და ნებისყოფა, წინ აღუდგნენ ისეთ ციფრულ

ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ მათ აქვთ ძალა, შესაძლებლობა და ნებისყოფა, წინ აღუდგნენ ისეთ ციფრულ ჩვევებს, რომლებიც არ მოსწონთ, ან დავანახოთ სასურველი ციფრული ჩვევების განმტკიცების გზები.

ჩვევებს, რომლებიც არ მოსწონთ, ან დავანახოთ სასურველი ციფრული ჩვევების განმტკიცების გზები. გამხნევების მიზნით, ვუთხრათ, რომ დაიწყონ პატარა ნაბიჯებით. პირველ ეტაპზე საკუთარ თავზე გამარჯვების კარგ მაგალითად გამოდგება სასურველი ჩვევის განმტკიცება.

სოფია მუსტაფაევა X° კლასი

1. შეამოწმე შენი ჩვევები:

   დილით არ ვიყენებ სოციალურ ქსელებს და არ ვრთავ მუსიკას.

   ღამით ვრთავ ინტერნეტს.

   ზედმეტად ხშირად ვამოწმებ შეტყობინებებს.

2. შეარჩიე რომელიმე ჩვევა და იფიქრე, როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება:

   ჩემი ჩვევა: დილით (11:00-მდე) არ ვიყენებ სოციალურ ქსელებს და არ ვრთავ მუსიკას.

   როგორი მინდა იყოს: საერთოდ არ ვიყენებ ტელეფონს ან ნებისმიერ სხვა ელექტრონულ გაჯეტს.

3. ჩამოაყალიბე რამდენიმე გზა, თუ როგორ შეგიძლია მიაღწიო სასურველს:
   1. გათიშული ინტერნეტი.
   2. გამორთული ხმა.
   3. სხვა სასარგებლო საქმის გაკეთება.
   4. მიაქციე ყურადღება უფრო მნიშვნელოვან საკითხებს.

4. შექმენი დამატებითი მოტივაცია:

   დავალების შესრულებისთანავე დავაჯილდოვებ თავს პატარა საჩუქრით. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი ან მოქმედება. მაგალითად, წიგნი, რომელიც ძალიან მინდოდა, ან საყვარელი ბენდის კონცერტის ბილეთი.

5. თვალყური ადევნე შენს მოგზაურობას:

   ამ მიზნით გავაკეთებ ჩანაწერებს.

შემოთავაზებული რესურსი მომზადებულია ჰარვარდის უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების სკოლის ვებგვერდზე განთავსებული მასალების მიხედვით და ადაპტირებულია ქართულ რეალობასთან. ორიგინალურ ვერსიას შეგიძლიათ გაეცნოთ ბმულით:

https://pz.harvard.edu/resources/digital-habits-checkup

სწავლება და ვიდეოთამაშები

ქეთევან კობალაძე

ძვირფასო მკითხველებო, კარგად მოგეხსენებათ, რომ თამაში ადამიანების უძველესი გამოგონებაა. ირანელი ემიგრანტების ოჯახში დაბადებული იალდა ულსი ფიქრობს, რომ შესაძლოა თამაშის მოთხოვნილება ადამიანის გენეტიკის ნაწილია. კალიფორნიის უნივერსიტეტში მოღვაწე ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი ძირითადად განვითარების ფსიქოლოგიის მიმართულებით მუშაობს. ის ავტორია წიგნისა „მედიადედები და ციფრული მამები. ბავშვების აღზრდისადმი თანამედროვე მიდგომები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში“, რომელიც ჩვენი ინტერესის საგანია.

უძველესი ცივილიზაციების ხელნაწერთა შორის ნაპოვნია ჩანაწერები სამაგიდო თამაშების შესახებ, სპორტული თამაშები ხომ საყოველთაოდ ცნობილია. არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რატომ ინარჩუნებს საუკუნეების მანძილზე პოპულარობას სხვადასხვა სახის, შინაარსის, ფუნქციის მქონე თამაშები. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, ისინი სოციალური ურთიერთობების მოთხოვნილებას უკმაყოფილებენ ადამიანებს. არსებობს თეორია, რომ თამაშები შეჯიბრებითობასა და აზარტულობას ავითარებს.

თანამედროვე ეპოქამ თამაშების ახალი კატეგორია დაამკვიდრა. ბავშვები, მოზარდები, ზრდასრულები პრაქტიკულად თანაბარი სიხშირით ერთობიან ვიდეოთამაშებით. ასეთი პოპულარობის მიუხედავად, მშობლების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ვიდეოთამაშები დამღუპველ ზეგავლენას ახდენს მათ შვილებზე, რადგან მათ უუარესდებათ ძილის ხარისხი, გაკვეთილებზე ყურადღების კონცენტრაციას ვერ ახდენენ, უქვეითდებათ კრეატიულობა, ანალიტიკური უნარები და ფიზიკური აქტივობა. შეწუხებულ მშობლებს შორის მეც ვარო, – აღიარებს ამერიკელი ფსიქოლოგი და განაგრძობს: – რეალობის გათვალისწინებით, აუცილებელია, კარგად გავიგოთ ვიდეოთამაშების პლუსები და მინუსებიო.

„თავდაპირველად, კვლევები ვიდეოთამაშების შინაარსს ეხებოდა, – ვკითხულობთ მის წიგნში, – კერძოდ, ყურადღება ექცეოდა იმ გარემოებას, იყო თუ არა კავშირი სისასტიკის დონესა და ბავშვებში თამაშებისგან პროვოცირებულ აგრესიულ ქცევას შორის. შემდგომ, ვიდეოთამაშების პოპულარობის ზრდასთან ერთად, მკვლევრებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ ხომ არ შეუძლია თამაშებს გარკვეული საზროვნო უნარების განვითარების პროვოცირება.

დავიწყოთ ვიდეოთამაშების დადებითი მხარეების ჩამოთვლა. ნეირომეცნიერები და კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისეთი ვიდეოთამაშები, სადაც მონაწილეები სამიზნეებს არჩევენ და შემდეგ ზუსტად ისვრიან, პოზიტიურად აისახება სააზროვნო უნარებზე. კვლევების შედეგად გაირკვა, რომ სივრცეში

ნეირომეცნიერები და კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისეთი ვიდეოთამაშები, სადაც მონაწილეები სამიზნეებს არჩევენ და შემდეგ ზუსტად ისვრიან, პოზიტიურად აისახება სააზროვნო უნარებზე.

ჩვენ არ შეგვიძლია დროის უკუღმა შემობრუნება და არც არის ამის საჭიროება. სამაგიეროდ, უფროსებს შეუძლიათ დაეხმარონ იმ ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც არ აქვთ გამოცდილება, რომ დამოუკიდებლად გაერკვნენ ინტერნეტსივრცის შესაძლო ნეგატიურ შედეგებში.

ორიენტაციისა და ყურადღების კონცენტრაციის უნარები უკეთ აქვთ განვითარებული მსგავსი ვიდეოთამაშებით გატაცებულ ადამიანებს. კრეატიული აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარიც შედის იმ საზაროვნო უნარების რიცხვში, რომელთა განვითარებას ხელს უწყობს ვიდეოთამაშები.

პატივცემულო მშობლებო, თქვენ შესაძლოა არ მოგწონდეთ ის ფაქტი, რომ ვიდეოთამაშები დადებით გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე. თქვენ შეგიძლიათ სულაც არ გაუმხილოთ ეს ფაქტები თქვენს შვილებს, მაგრამ იქნებ მაინც კარგად აწონ-დაწონოთ ყველა ზიანი და სარგებელი, სანამ კატეგორიულად აუკრძალავთ ბავშვებს, ითამაშონ ნებისმიერი სახის ვიდეოთამაში. ცხადია, ეს სულაც არ ათავისუფლებს უფროსებს იმ პასუხისმგებლობისგან, რომ ვიდეოთამაშების შეძენამდე აუცილებელია, საგულდაგულოდ გაეცნონ და შეისწავლონ მათი შინაარსი და გრაფიკა“.

სანამ მშობლები შფოთავენ ვიდეოთამაშებით შვილების გატაცების გამო, სასწავლო დაწესებულებები სწავლების ახალი მეთოდების გამოყენებაზე ფიქრობენ. მათ შორის ვიდეოთამაშებით სწავლებასაც განიხილავენ. იალდა ულსი მშობლებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებს: „თავადაც არ მჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო, დადებითი მხარე ჰქონოდა ბავშვების ამგვარ გატაცებას, სანამ ჩემმა შვილმა სამყაროს აგებულების შესახებ საინტერესო ფაქტების მოყოლა არ დაიწყო. ეს ინფორმაცია მან კომპიუტერული თამაშის საშუალებით გაიგო. მანამდე ბავშვმა ნაციონალური საკალათბურთო გუნდის ისტორია და ყველა მოთამაშის სახელი და გვარი დაიმახსოვრა, რადგან საკალათბურთო ვიდეოთამაშს თამაშობდა. მიზნისკენ თანმიმდევრული სვლა, მუდმივი წახალისება, დაჯილდოება და მყისიერი რეაგირება – ის ელემენტებია, რომლებიც ზრდის მოტივაციას და იმ თეორიას აძლიერებს, რომლის თანახმადაც სწავლება ვიდეოთამაშების გამოყენებით ჩაანაცვლებს ტრადიციული განათლების მოდელს“.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთმა მკვლევარმა, რომელიც იკვლევდა ვიდეოთამაშების გავლენას ქცევით მოტივაციაზე, დაასკვნა, რომ ბავშვებისთვის თამაშები საჭიროა უარყოფითი ემოციების დასაძლევად. თანაც ეს საუკეთესო ალტერნატივაა აგრესიის უკონტროლო ამოფრქვევისა და ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენების წინააღმდეგ. პატარებსა და უფროსებსაც პერიოდულად სჭირდებათ განტვირთვა – მოზარდები ამას ვიდეოთამაშებით ახერხებენ, უფროსი ასაკის ადამიანები – სერიალების ყურებით. ადამიანები ხომ სოციალური არსებები არიან, ჰოდა, ინტერნეტისა და ვიდეოპლატფორმების დახმარებით ბავშვები და მოზარდები პოულობენ თანამოაზრეებს, მაშინაც კი, თუ ისინი პიჟამით სხედან ეკრანთან. თამაშები ფიზიკური ჯანმრთელობის ხელშემწყობიცაა. მშობლებო, არ ინერვიულოთ, თუ თქვენს შვილს უყვარს ვიდეოთამაშები! ირკვევა, რომ ამ გატაცებას ბევრი პლუსი აქვს!

წიგნის ავტორი უარყოფით მხარეებზეც საუბრობს: „ჯერ კიდევ 2009 წელს ნიუ-იორკის ერთ-ერთ სკოლაში სცადეს, დაენერგათ ვიდეოთამაშებით სწავლება. დიდი მოლოდინის, ფინანსური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიუხედავად, ხუთი წლის შემდეგაც არ არსებობს მტკიცებულება, რომ ამ წამოწყებამ პოზიტიური შედეგები გამოიღო. მოსწავლეების აკადემიური მოსწრება

საშუალო დონეს ვერ ასცდა. ამ ინიციატივამ ვერ გადაჭრა ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ხარვეზები.

ვიდეოთამაშების გავლენა აგრესიულ ქცევებზე ყველა მშობლის და უფროსის საფიქრალია. არსებობს კვლევა, რომელიც აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა, გამოიკვეთა უხეში, აგრესიული შინაარსის ვიდეოთამაშების გავლენა ქცევაზე. მეორე კვლევა, ასევე ამერიკაში ჩატარებული, არ ადასტურებს თამაშების ნეგატიურ გავლენას აგრესიულ ქცევაზე. ვიდეოთამაშები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, კვლევები გრძელდება. მანამდე კი ძალიან მნიშვნელოვანია, თვალყური ადევნოთ შვილებს და თუ შეამჩნევთ, რომ მათი ქცევები გახდა უჩვეულოდ უხეში ან დაუნდობელი, შეზღუდეთ მათ მიერ ინტერნეტის მოხმარების დრო. აუცილებლად მიმართეთ სპეციალისტს და სთხოვეთ დახმარება".

ორი სიტყვით ვახსენოთ ვიდეოთამაშებზე დამოკიდებულებაც. მართლაც სამწუხარო რეალობაა, რომ მოზარდების გარკვეული ნაწილი თამაშებზე დამოკიდებული ხდება. ნამდვილი დამოკიდებულება სერიოზული ფსიქოლოგიური გადახრაა, –განმარტავს ამერიკელი ფსიქოლოგი და მოუწოდებს მშობლებს: – გულდასმით დააკვირდით შვილების ქცევას, სანამ დაიწყებთ საუბარს დამოკიდებულებაზეო.

მაშ ასე, შეჯამება:

1. ვიდეოთამაშები სივრცეში ორიენტაციის უნარს ავითარებს;
2. გარკვეულწილად, ავითარებს კრეატიულ აზროვნებას, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა პროფესიულ უნარს აძლიერებს;
3. ვიდეოთამაშებით გატაცება ხელს უწყობს ადამიანებს, წარმატებას მიაღწიონ ისეთ საქმიანობებში, რომლებიც ყურადღების კონცენტრაციასა და მხედველობით სიზუსტეს საჭიროებს;
4. სასტიკი შინაარსის ვიდეოთამაშებით გატაცებასა და აგრესიულ ქცევას შორის კავშირი ძალიან მცირეა.

ტრადიციულად, რამდენიმე რჩევა მშობლებისთვის:

1. ბავშვების ვიდეოთამაშებით გატაცება სავსებით მისაღები საქმიანობაა;
2. ეცადეთ, მრავალფეროვნება შეიტანოთ შვილების თამაშებით გატაცებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სარგებლის მომტანიც კი შეიძლება იყოს, მაინც არ დაუშვათ სხვა თამაშების იგნორირება; განსაკუთრებით ისეთი თამაშები, რომლებიც სუფთა ჰაერზე, ღია სივრცეში აქტიურობას ითხოვს;
3. ყურადღებით შეისწავლეთ იმ ვიდეოთამაშების შინაარსი, რომლებსაც თქვენი შვილები თამაშობენ. ყველა ახალი თამაში უნდა იყოს გატარებული მშობლის კრიტიკული დამოკიდებულების პრიზმაში. განსაკუთრებით ეს ეხება ვიდეოთამაშების შინაარსს (სექსიზმი, ანტისოციალური, ღიად დანაშაულებრივი შინაარსის შემცველი და მსგავსი არასასურველი თემატიკა);
4. თუ შეამჩნევთ შვილებს პრობლემური ქცევის ნიშნებს ან თამაშზე დამოკიდებულების საფრთხეს იგრძნობთ, დროულად გაიარეთ კონსულტაცია ფსიქოლოგთან;
5. ჩვენ არ შეგვიძლია დროის უკუღმა შემობრუნება და არც არის ამის საჭიროება. სამაგიეროდ, უფროსებს შეუძლიათ დაეხმარონ იმ ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც არ აქვთ გამოცდილება, რომ დამოუკიდებლად გაერკვნენ ინტერნეტსივრცის შესაძლო ნეგატიურ შედეგებში;
6. ნეგატიური ფაქტორების ჩამონათვალში ყველაზე თვალსაჩინო პუნქტად უნდა გამოვყოთ პირადი სივრცის ხელყოფა და რეალური ურთიერთობების ონლაინკომუნიკაციით ჩანაცვლება;
7. მოზარდებს ძალიან არ უყვართ, როდესაც მშობლები ცდილობენ, შეუმჩნევლად უთვალთვალონ, რადგან ჰგონიათ, რომ ეს მათი პირადი სივრცის დარღვევაა;
8. ონლაინმიმოწერებს ბავშვები და მოზარდები უმეტესად მაინც რეალურ ურთიერთობებს ამჯობინებენ. ამიტომ უნდა ეცადოთ, დაეხმაროთ შვილებს, გააცნობიერონ, რომ გაჯეტებით და ვიდეოთამაშებით გადაჭარბებული გატაცება ხელს უშლის მეგობრებთან ურთიერთობაში;
9. პირადი სივრცის დაცვის პრობლემა საკმაოდ სერიოზულია, მაგრამ ბავშვები და მოზარდები მას, ხშირ შემთხვევაში, სრულად უგულებელყოფენ. უფროსების მოვალეობაა, დაეხმარონ ახალგაზრდებს, გააცნობიერონ საფრთხეები, დაფიქრდნენ მომავალზე და პასუხისმგებლობით მოეკიდონ უსაფრთხოების საკითხს.

მარიამ ჯამდელიანი

მასწავლებლის დღიური

– და მარო რაზე ოცნებობდა, მას? – თავისუფლებაზე, სიყვარულზე, ევროპაში მოგზაურობაზე, საკუთარ შემოსავალსა და დამოუკიდებელ ცხოვრებაზე.

1921 წელი 19 თებერვალი ტაბახმელა

თბილისის მისადგომები

სუსხია. მთელი კვირა პირმშრალადაა მიწა. ხაკისფერი ლანდები მოძრაობენ აქა-იქ, იმუხლებენ, იმტვერებიან, საუბრობენ მოკლედ, ხმადაბლა. ორ-სამს მოჭიმულ ხერხემალზე ემჩნევა, მეტი რომ იგუმანა... სხვები ჯერ კიდევ გულდინჯად არიან.

– ეცადე, ფეხი არ ამოძრაო! ვიცი, რომ გტკივა. ჩემი ძმის ხომ არ გაგიგია რამე?

– ყოჩაღად უტევენ! ფრთხილად, მანდ ღრმადაა ჭრილობა.

– ვიცი! ორ დღეში უკეთ იქნები. შეგიძლია ნელა წამოდგე? მოიცა! თხილი მაქვს ცოტა, მამამ გამომიგზავნა, გამომართვი. როდემდე უნდა ვუნახო შალვას. თუ რამე შეიტყო, მომძებნე.

შავი, ტალღოვანი თმა ღრმად შეეკეცა მედდას ქუდში... ნუშისყვავილისფერ თხელ მაჯებში კვლავ გაზაფხული ედგა ჯიუტად, უცილობლად...

ცოტაც და სახელოვანი გამარჯვების ანასხლეტები კეფამდე მიაღწევდა და სამუდამო სიჭაბუკედ ამოეტვიფრებოდა...

2024 წელი 23 თებერვალი თბილისი

ლიტერატურის მუზეუმი

წიგნის წარდგენა
სალომე ბენიძის „მარო“

მუშამბის ფონზე წყლისფერი კაბით ადრინდელივით უბრალო და მშვენიერია...

შინ მომყვება... ერთი თავით მაღალია, მკრთალი, მტკიცე და ისეთივე ნამდვილი, როგორიც თბილისის მისადგომებთან.

– ეს მაროა, მაყაშვილი, კოტე მაყაშვილისა, რამდენიმე წელიწადში მისი თანატოლები გახდებით... მის ოცნებებს თქვენ აიხდენთ.

– და მარო რაზე ოცნებობდა, მას?

– თავისუფლებაზე, სიყვარულზე, ევროპაში მოგზაურობაზე, საკუთარ შემოსავალსა და დამოუკიდებელ ცხოვრებაზე.

– ადვილია, მას!

– არის კი?...

2024 წელი 13 მარტი თბილისი

კალიგრაფიის ცენტრი

მეშვიდე კლასი
თემა „თავისუფლების დღიურები“

ნესტან ბაგაურის კალმით ანიდან ჰოემდე ქართული ანბანის მომშვენიერება.

ამ ხნის მანძილზე არ გაგვრიდებია წყლისფერი კაბის ლანდი...

– მას, რა უნდა დავწეროთ?

– ფრაზა მაროს დღიურიდან.

– რომელი, მას?

– „ნუ გეშინიათ, გავიმარჯვებთ სახელოვნად!“

– ასე ლამაზად თუ შემეძლო „თავისუფლების“ წერა, არ მეგონა, მას!

– „თავისუფლება“ ლამაზად უნდა დაიწეროს!

2024 წელი 15 მარტი

წიგნის კლუბი
მეოთხე კლასი

თებერვალში დაწყებული ფიქრი ფიქრს იმატებს.

– ვიდრე წერილებს დაწერენ და ბოთლში შეინახავენ წიგნი უნდა წავაკითხო.

– რა წიგნი?

– თეა ლომაძის „წერილი ბოთლში“.

– რაზეა?

– ზღვისშვილებზე, მეგობრებზე. საერთო ენის პოვნაზე. შემდეგ მეგობრების დაკარგვაზე, მიწის დაკარგვაზე, ზღვის დაკარგვაზე.

– ეს ჩვენ მერე იყო?

– კი, თქვენ მერე.

– ზოგჯერ, რომ ვერ მოესწრები უკეთესია...

– ზოგჯერ, რომ მოესწრები და გაუძლებ კიდევ უფრო უკეთესი...

– გაიგებენ?

– იგრძნობენ.

2024 წელი
30 მარტი

მეშვიდე კლასი
შეხვედრა ისტორიკოსთან
თემა „აფხაზეთი“

– თუ დააკვირდებით აღმოჩენილ წარწერებს, ფრესკებს, თუნდაც ბედიის ბარძიმს, დარწმუნდებით, რომ ჯერ კიდევ მე-9 მე-10 საუკუნეებში საქართველოს ეს კუთხე კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა. დეგრადაცია იწყება დაახლოებით მე-17 საუკუნეში, როდესაც მომთაბარე ტომები მძლავრობენ და იკავებენ ამ კუთხის ნაწილს. ადგილობრივებთან თანაცხოვრება იძაბება მას შემდეგ, რაც სეპარატისტულ აზრს აღვივებს მესამე ძალა და ერთ მიწაზე მცხოვრებ მეზობლებს ერთმანეთს უპირისპირებს, რის შედეგადაც სამოქალაქო ომი გარდაუვალი ხდება.

– ნეტავ, არ დაეჯერებინათ მტრისთვის, მას!

– რა უნდათ, მას, არ ყოფნით თავისი ტრამალები?

– აფხაზეთიდანაა ჩემი მეზობელი, განცხადება ნახა ახლახან, თავის სახლ-კარს ყიდდა ვიღაც.

– აუ, ვიღაცამ ჩემი სახლი რომ გაყიდოს და მე არაფერი შემეძლოს.

– შეგიძლია.

– რა შემიძლია, მას?

– არასოდეს დაივიწყო!

– თუ არასოდეს დამავიწყდება, ოდესმე ისევ დავიბრუნებთ?

– ამის სჯეროდა მაროსაც!

2024 წელი
3 აპრილი

წიგნის კლუბი
მეშვიდე კლასი

– რას კითხულობენ?

– თამრი ფხაკაძის „გიოს“

– გიო ვინაა?

– მათი თანატოლია, ეგეც აფხაზეთიდანაა.

– რაზეა წიგნი?

– ერთ ღამეში გაზრდილ ბავშვებზე, სამუდამოდ დიდებად, გმირებად და ომგამოვლილებად რომ რჩებიან. კიდევ, მაქციებზეა... ვერაგ მაქციებზე...

– მაქციობა გვძლევდა ყოველთვის... ჩვენ გიოზე ცოტა დიდები ვიყავით. მაშინ ზღვაზე არ ვფიქრობდით. თბილისისთვის უნდა მიგვეხედა.

– ზღვა გიოსთვის დედის თვალებივით ძვირფასია, დედაა გიოსთვის ზღვა.

– გადარჩა?

– გიო კი, დედა არა!

2024 წელი
4 მარტი

გორი
წითელსახურავებიანი
სახლების რიგი

ვაშლის კვირტებს გაზაფხული აპობს ხელახლა...

– ეს ხე მართიკოსია.

– მართიკოსი?

– ჰო. ლელა ცუცქირიძის „მართიკოსი“. მამამ დაუტოვა, ვიდრე შინდისში გაჩერდებოდა.

– არც ჩვენ ვიყავით შინდისელებზე მეტნი...

– ახლა მართიკო კითხლობს შენს დღიურს...

– კითხულობს? ის მაინც აიხდენს ყველა ოცნებას.

„ნუ გეშინიათ, გავიმარჯვებთ სახელოვნად!“
– ასე ლამაზად თუ შემეძლო „თავისუფლების“ წერა, არ მეგონა, მას!
– „თავისუფლება“ ლამაზად უნდა დაიწეროს!

– გჯერა?

– მწამს.

2024 წელი
7 აპრილი

ხარება

– პირადობები არ დაგრჩეთ!

– წიგნები ხომ მოგაქვთ?

– კი, კი თან გვაქვს ნინიას „უსაზღვროდ შერიგებული მეზობლები“.

-კარგი, გავდივართ...

ნიქოზი.
ტაძრის ეზო.
მეუფე ისაია.

– პირველად რომ დაგვბომბეს, 22 ჭურვი ჩამოვარდა... სათითაოდ გვაქვს დათვლილი. ამ დღეს, ომი რომ დაიწყო ზედა და ქვედა ნიქოზელ წყვილს ჯვარი დავწერეთ, უცხოელმა სიძემ კი ნათელიღო. მერე, მოხუც ლეილასთან, კოლიასთან და ზამირასთან ვაფარებდით თავს. სოფელი არცერთს არ დაუტოვებია. ჩვენი ხელებით ამოვიყვანეთ სკოლის კედლები ხელახლა. ეს მუსიკის ოთახია. აქ ჩრდილების თეატრი. ამ ოთახში ხატვასა და ხელსაქმეს სწავლობენ ბავშვები. მალე კალიგრაფიის წრეც დაგვემატება. მობრძანდით, იქნებ ჩვენმა ბავშვებმა ერთადაც შეძლონ სიმღერა...

– მეუფეს ტაძრის ეზოში უპოვია ბუჩაჩი და ზღარბუნია. ამ წიგნის მთავარი პერსონაჟებიც ეგენი არიან.

– რაზეა წიგნი?

– წიგნი მამების დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზეა, საზღვრების დადგენის სისუელეზე, კიდევ, ქართული ენის მოფრთხილებასა და დიიიდ, უძლეველ სიყვარულზე.

– სიყვარულზე?

– ჰო, სიყვარულზე?

– დღემდე მახსოვს მისი თვალები...

– რაც ნამდვილია, უსაზღვროა და მარადიული...

– როგორც სამშობლო?

– როგორც სამშობლო.

2024 წელი
9 აპრილი

„აღსრულდა ნება ქართველი ერისა – გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

– ასრულდა შენი ოცნება!

– „აჰ, ძლივს, გვეღირსა, გვეღირსა, გვეღირსა!“

– გვერდებშემოლეწილი, ზღვადამცრალი, წითელსახურავებიანი, ბეჭებაყვლეფილი...

– არც არასოდეს მოგვცემია რაიმე უმსხვერპლოდ...

– არც არასოდეს...

– არც არასოდეს შერჩენია მის მაოხრებელს...

– არც არასოდეს...

– არც არასოდეს დასრულებულა ამბავი ჯვარცმით...

– არც არასოდეს...

რუსთაველის გამზირი.

მილეთის ხალხი დგას მოედანზე. აქა-იქ კრთება წყლისფერი კაბა პეპლის ფრთასავით...

ჰაერში გაზაფხულის ვარდისფერი ზეფირი დნება, სწორედ ისე, 21 საუკუნის წინ, ერთ დაუჯერებელ ღამეს, ქვაზე ჩამომჯდარმა ანგელოზმა რომ ახარა ბეთლემელ გოგოებს: „ჩვენ გავიმარჯვეთ“.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge